ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 37 დღე

№153 (12529) 2 ივლისი ოთხშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

**ბაიერნი ჰამბურგით იწყებს**
ბუნდესლიგა 2008/09. კალენდარი 10

**კატენაჩო მოკვდა, იტალია შემტევ ფეხბურთს ითამაშებს**
მარჩელო ლიპის პრესკონფერენცია 9



**წილისყრა ნიონში**

**ფარერული რუნავიკის შემდეგ, დინამო ბერძნებს ელოდება**

**ზესტაფონი უნგრელებს ზესტაფონში უმასპინძლებს**

**ვიტ ჯორჯიას სლოვაკები ერგო**

მეტოქეები, კომენტარები 2-3

# დონადონი საქართველოს ნაკრებში?

დავით ცაბაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჯერაც მწვრთნელის ძიებაშა. გენერალური მდივანი უჩა უგულავა ვენაში ფოლკერ ფინკესა და ავრამ გრანტს შეხვდა. ამ დღეებში, კიდევ ორ მწვრთნელთან იქნება კონტაქტი. ფრიად სარწმუნო წყაროს ცნობით, საუბარია ზიკოსა და რობერტო დონადონიზე. უგულავა ამ ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს. აი, მისი კომენტარიც: *"ფინკესა და გრანტთან მიმართებაში მხოლოდ დეტალებია გასარკვევი. სატელეფონო საუბარი გვექნება კიდევ ორ მწვრთნელთან... ზიკო და დონადონი? მომიტევეთ, მაგრამ მათ ვინაობას ვერ გაგიმხელთ. სხვათა შორის, კანდიდატებს შორის რჩება პეტარ სეგრტიც. 20 ივლისამდე ფედერაციის ალმასკომს ოთხი-ხუთი მწვრთნელის კანდიდატურას წარვუდგენთ. გვინდა, 1 აგვისტოსთვის ახალი მწვრთნელი გვყავდეს".*




# ყენიას პირველი ვარჯიში პირველ გუნდში

## ორი ლევანის შალკემ ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო


ლევან ყენია №30 4

## რატომ იჩხუბეს ბირჰოფმა და ბალაკმა



ევროპის ჩემპიონატის ფინალის შემდეგ, გერმანიის საფეხბურთო კავშირს გულშემატკივრებისთვის მადლობის გადახდა სურდა. დამარცხების მიუხედავად, გერმანელი ფანები ტრიბუნებს არ ტოვებდნენ და საყვარელ გუნდს ტაშს უკრავდნენ. საფეხბურთო კავშირს საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის უშველებელი ბანერი ჰქონდა დამზადებული. მასზე დიდი ასოებით ეწერა "გმადლობთ". ფეხბურთელებს ამ ბანერის ხელში დაჭერა სთხოვეს. ბუნდესკაპიტანმა **მიხაელ ბალაკმა** განაცხადა, რომ ეს არაფრისმომტანი ჟესტი იქნებოდა და აქციაში მონაწილეობა არ ისურვა.

კაპიტნის პროტესტს ბალაკსა და **ოლივერ ბირჰოფს** შორის შელაპარაკება მოჰყვა. დაპირისპირების ფაქტი მოგვიანებით ბირჰოფმაც დაადასტურა, თუმც ბევრი არაფერი უთქვამს: *"ემოციური შეხლა-შემოხლა გამოვიდა. ბალაკმა ჩვენი იდეა არ მოიწონა და მას შეუფერებელი და არაფრისმომტანი უწოდა. საბოლოოდ, მიხაელის სურვილი გავითვალისწინეთ და ჩანაფიქრზე ხელი ავიღეთ".*

## სავარაუდო მეტოქე. პანათინაიკოსი

# ვინც არ უნდა იყოს მანდ


კოსტას ანტონიუ

ნიონში, უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველი ორი საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრის დასრულების შემდეგ „პანათინაიკოსის" საფეხბურთო კლუბის დირექტორი **კოსტას ანტონიუ** კმაყოფილი ჩანდა შედეგით – ორწლიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნებული „პაო" თბილისის „დინამოსა" და რუნავიკის სამოყვარულო გუნდს შორის გამარჯვებულს შეხვდება. *„ჩვენთვის უმთავრესია, რომ ჩემპიონთა ლიგის ტურნირს დავუბრუნდით. უპირველესი ამოცანა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლაა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ამას უნდა მივაღწიოთ. მეტოქეებს რაც შეეხება, არა აქვს მნიშვნელობა რომელი მათგანი გაიმარჯვებს ურთიერთდაპირისპირებაში - ჩვენ აუცილებლად მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ მას. ორმატჩიანი ბრძოლისთვის სრულად უნდა ვიყოთ მზად"*, - განაცხადა ანტონიუმ, რომელმაც არ გამოყო ფავორიტი "დინამო"-"რუნავიკის" დაპირისპირებაში, განსხვავებით ბერძნული მედიისგან – ინტერნეტსაიტებზე უკვე გაჩნდა პირველი შეფასებები, მეტოქე გუნდების წარდგენები და ასე შემდეგ. ფაქტია, ფარერის კუნძულელებს მხოლოდ „ზრდილობის გულისთვის" ახსენებენ მთელი ყურადღება კი „დინამოზეა" გადატანილი.

განსაკუთრებით სრულყოფილი წარდგენა საქართველოს ჩემპიონის ბერძნულ საიტ „სპორტზე" ვიხილეთ. კარგად ჩანს, რომ ბერძნები არა მარტო „დინამოს" წარსულში არიან კარგად ჩახედული (**ბორის პაიჭაძიდან** დაწყებული, **თენგიზ სულაქველიძით** გაგრძელებული, **კახა კალაძემდე** მათ „დინამოს" ყველა ვარსკვლავი ახსენეს და მოვლენა გაიხსენეს), არამედ დღევანდელობაზეც არცთუ ზედაპირული წარმოდგენა აქვთ. სხვათა შორის, საინტერესოა, როგორ მოიხსენია „სპორტმა" **თემურ ქეცბაია** – მათ წინ დააყოლეს სიტყვა „ჩვენი".

საიტი „სპორტნეტი" „დინამოს" მიერ ჩემპიონობის მოპოვებას გასეირნებას უწოდებს: *„ბოლო სეზონში ჩვენმა შესაძლო მეტოქემ ეროვნული პირველობა.. სეირნობით მოიგო. უახლოეს მდევარს 10 ქულით აჯობა და სეზონში სულ ორჯერ დამარცხდა".*

არც ერთი წყარო დაგვზარდა „დინამოსა" ბერძნულ კლუბებს შორის ურთიერთშეხვედრების გახსენებას. თუკი „კასტორიის" ძლევის ამბავი ჩვენთვის სასიამოვნოდ მოსაგონარია, „პანიონიოსთან" მარცხი (2:5) 2004 ნელს ცუდ ასოციაციებს აღძრავს. ბერძნები არც იმ მატჩთან დაკავშირებულ დეტალებს არიდებენ თავს და აღნიშნავენ რომ უეფამ ის მატჩი „შავ სიაში" შეიტანა, თუმცა დამტკიცებით გუნდებს ვერაფერი დაუმტკიცეს.

ერთ-ერთმა ბერძნულმა საიტმა კი საინტერესო რამეს მიაგნო: „პანიონიოსისგან" იმ თამაშში **ვანგელის მანციოსმა** ჰეთ-თრიკი შეასრულა „დინამოს" კარში, ხოლო **ალექსანდროს ციოლისმა** ერთი გოლი გაიტანა. ორივე ფეხბურთელი დღეს „პანათინაიკოსის" წევრია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## გადაწყდა! დიორს ზესტაფონში ვუმასპინძლებთ

იმერლებმა უეფას სთხოვეს, ზესტაფონის ცენტრალური არენა უეფას მოთხოვნებს აკმაყოფილებს და იქნებ ნება დაგვრთოთ ევროტურნირზე მეტოქეს ჩვენს ქალაქში ვუმასპინძლოთ. ამის გამო უეფამ ზესტაფონში სტადიონის ინსპექტირებისთვის **არმენ სარქისიანი** მოავლინა. რომელმაც ნახა სტადიონი და ზესტაფონელებს რამდენიმე რეკომენდაცია მისცა. გუშინ კი უეფადან საბოლოო პასუხი მოვიდა - "ზესტაფონი" უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე "დიორს" მშობლიურ არენაზე უმასპინძლებს.

*"სარეკონსტრუქციო სამუშაოები პრაქტიკულად დასრულებულია. მხოლოდ კოსმეტიკური სახის მცირე ხარვეზებიღა დარჩა, რომელთა მოგვარებისთვის დიდი დრო ნამდვილად არაა საჭირო. შეიძლება ითქვას, რომ სტადიონი ივლისის შუა რიცხვებში ექსპლუატაციისთვის მზად იქნება"* - გვითხრა "ზესტაფონის" პრესატაშე **სერგო ფუტკარაძემ**.

გაცნობებთ იმასაც, რომ ზესტაფონის ცენტრალური სტადიონის VIP ლოჟაში ადგილების რაოდენობას ასით გაიზარდა. ამ სტადიონის ტევადობა კი 4 100 იქნება.

რას ფიქრობს ზესტაფონელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი **თემურ მახარაძე** ევრომეტოქეზე?

*- "დიორი", ყოფილი "რაბა ეტოა", მდიდარი წარსულისა და ტრადიციების მქონე გუნდი. ბუნებრივია, უკვე დავიწყეთ მეტოქეზე ინფორმაციის შეგროვება. ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ სოლიდური მოწინააღმდეგე შეგვხვდა. "დიორს" კარგი კონტინგენტი ჰყავს. ლეგიონერებიც არ აკლია. მეტოქის გუნდში სლოვაკი, ჩერნოგორიელი, სერბი, ბოსნიელი და გაბონელი ფეხბურთელებიც ასპარეზობენ... ასე რომ, გაბონელთა დერბიც შედგება. ერთი სიტყვით, "დიორთან" ორრაუნდიანი სერიოზული დუელი გველის. ვფიქრობ, ეს მატჩები ორივე გუნდისთვის რთული იქნება"* - გვითხრა მახარაძემ.

უეფას შტაბბინაში გამართული წილისყრის შემდეგ უნგრელებმა იმერლებს განრიგის შეცვლა შესთავაზეს, მაგრამ "ზესტაფონმა" 17 ივლისს პირველი მატჩის შინ ჩატარებაზე უარი განაცხადა.

ზესტაფონელები თურქეთში, ანკარიდან 40 კმ-ის მოშორებით მდებარე პატარ ქალაქ პაპალიაში არიან დაბანაკებულები. მახარაძის გუნდში ორი ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს, რომელთა გვარებს კლუბი ჯერ არ ასახელებს. თურქულ შეკრებაზე "ზესტაფონი" ამხანაგურ მატჩებსაც გამართავს, იმერლები ხვალ აზერბაიჯანის ჩემპიონ ბაქოს "ინტერს" გაეჯიბრებიან..

**დავით ცაგაძე**

# კენჭისყრა ფინანსურად წამგებიანია



გუშინ უეფას შტაბბინაში გამართული კენჭისყრით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ კლუბებს ფინანსურად არ გაუმართლათ.

სატელევიზიო კონტრაქტების მიხედვით, ყველაზე მომგებიანი გერმანულ, ესპანურ, ინგლისურ, იტალიურ, ფრანგულ და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების კლუბებთან დაწყვილება იყო.

მაგალითად, გერმანული კლუბი ჩვენს რომელიმე კლუბს რომ შეხვედროდა, საშინაო შეხვედრის რეპორტაჟში ტელესააგენტოსგან 600 ათას ევროს მიიღებდა, იტალიურ და ესპანურ კლუბებთან– 350 ათასი ევროს, ფრანგულთან 300 ათასს და ა.შ.

ქართული კლუბების უმრავლესობა სპორტულ წარმატებაზე მეტად, თავის გადარჩენასა და ფინანსურ მოგებაზე ფიქრობს და ამ კლუბების გამტყუნება გვიჭირს. ამიტომაც უხარიათ ე.წ. „მომგებიან ქვეყნებთან" დაწყვილება.

ახლა კი დავიანგარიშოთ, ქართული კლუბებიდან ვინ რამდენს მიიღებს.

**ჩემპიონთა ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი**

**თბილისის „დინამო" – „რუნავიკი" (ფარერები) – 7 000 ევრო**

ესეც იმ შემთხვევაში, თუკი ფარერის კუნძულების ტელევიზია მატჩის რეპორტაჟით დაინტერესდება, მაგრამ ეს საკმაოდ ძნელი წარმოსადგენია.

**უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი.**

**„ზესტაფონი" – „დიორ ეტო" (უნგრეთი) 7-10 000 ევრო.**

უნგრეთიდან ზეტაფონური კლუბი მოგების იმედად შეიძლება იყოს. იქ ფეხბურთი გაცილებით პოპულარულია და რაც მთავარია, ტელევიზიებიც უფრო ინტერესდებიან, ვიდრე ფარერებზე.

**უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი.**

**"ვიტ ჯორჯია" – "სპარტაკი" (ტრნავა, სლოვაკეთი) - 7-10 000 ევრო.**

ისევე როგორც "ზესტაფონი", თბილისური კლუბის ხელმძღვანელობასაც მაქსიმუმ 7-10 ათასი ევროს მიღების იმედი თუ ექნება. სლოვაკეთში ფეხბურთი ძალიან უყვართ და რაც მთავარია, ტელევიზიები შიდა თუ საერთაშორისო შეხვედრებ საკმაოდ კარგად აშუქებენ.

თუმცა თავად ტრნავას "სპარტაკი" ძალიან პოპულარული კლუბი არაა და ძნელი სათქმელია, ქართველების ფეხბურთით სლოვაკლური ტელევიზიები თუ დაინტერესდებიან.

რა თქმა უნდა, დამატებით მოგებას კლუბები უეფასგან მიიღებენ. როგორც ცნობილია, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლის შემთხვევაში, ახალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაში 90 ათასი ევროა დაწესებული, უეფაზე - 71 ათასი.

**ინტერტოტოს გათამაშება.**

**„ლოკომოტივი" – "ეტცელა" (ლუქსემბურგი) -**

ინტერტოტოს გათამაშებიდან გამოგდებულმა თბილისის "ლოკომოტივმა" ტელეკონტრაქტითაც ვერ იხეირა, რადგან ლუქსემბურგში მატჩის რეპორტაჟი არ გადაიცემოდა. ლუქსემბურგელებს, ისევე როგორც ჩვენ და მთელ ევროპას, ინტერტოტოს გათამაშება დიდად არ აინტერესებთ. ტურნირში მონაწილეობისთვის კი, თბილისელები 50 ათას ევროს მიიღებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

## დინამო. გერმანული შეკრება

# ცობელთან ორი ჩეხი მცველია

**დინამო–ბლაუ ვაისი 13:0**

გოლები: 1:0 შირანეცი (7. ოდიკაძის პასით), 2:0 ქანთარია (9), 3:0 სპასოევიჩი (12. ნერგაძის პასით), 4:0 გუგავა (24. ოდიკაძის პასით), 5:0 სპასოევიჩი (30. ოდიკაძის პასით), 6:0 გუგავა (35. ოდიკაძის პასით), 7:0 ოდიკაძე (40), 8:0 სპასოევიჩი (42), 9:0 გუგავა (55), 10:0 ოდიკაძე (69. ნერგაძის პასით), 11:0 გ.კაშია (82. თომაშვილის პასით), 12:0 გველესიანი (86. თომაშვილის პასით), 13:0 ოდიკაძე (90)

დინამო: **ლოსაბერიძე, შ. კაშია (58. კრშკო), თომაშვილი, ნესვადბა, შირანეცი (68. შ. კაშია), ოდიკაძე, ფირცხალავა (73. ხმალაძე), ნერგაძე (58. დილმელაშვილი), გუგავა (62. ჯიშკარიანი), ქანთარია, სპასოევიჩი (82. გველესიანი).**

**რაინერ ცობელის** გუნდმა გუშინ გერმანიაში იქაური ქვედალიგოსანი "ბლაუ ვაისი" 13:0 გააცამტვერა. კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძის** ცნობით, **ილია სპასოევიჩმა, გიორგი გუგავამ** და **დავით ოდიკაძემ** სამ-სამი გოლი გაიტანეს. ოდიკაძემ კი ოთხი საგოლე პასი მიითვალა. "დინამოში" ორი ჩეხი მცველი გამოჩნდა: 26 წლის **იაროსლავ ნესვადბა** ("იაბლონეცში", "მლადაში", პეტერბურგის "ზენიტში" და ხორვატულ "ინტერ ზაპრეშიტეში" გამოდიოდა) და 24 წლის **პაველ შირანეცი** ("ოპავაში", "ჰრადეცში", "ლიბერეცში", "ჩასლევში" ასპარეზობდა). მათი "დინამოში" ტრანსფერი რამდენიმე დღეში გადაწყდება. ნესვადბამ გუშინ მარცხენა მცველად, ხოლო შირანეცმა დაცვის ცენტრში ითამაშა. სხვათა შორის, ანგარიში სწორედ შირანეცმა გახსნა.

მატჩის შემდეგ დინამოელებს ჩემპიონთა ლიგის წილისყრაზე კომენტარი ვთხოვეთ.

რაინერ ცობელი: *"ჩემპიონთა ლიგის თუნდაც საკვალიფიკაციო ეტაპზე, არცერთი მატჩი არ იქნება იოლი. ფარერებზე სპეციფიკური კლიმატია და გერმანიის ნაკრებსაც კი გაუჭირდა თამაში.*

დავით დილმელაშვილი: *"ჩვენ ვალდებულები ვართ, ფარერელთა ბარიერი გადავლახოთ. მეორე ეტაპზე კი ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი გვერგო მეტოქედ.*

დავით ოდიკაძე: *"ფეხბურთის თამაში დღეს ყველამ ისწავლა. თუმცა, ფარერელებთან ჩვენ ფავორიტები ვართ. ჯერ პირველი ეტაპი უნდა გადავლახოთ და მომდევნო მეტოქეზე სასაუბროდ დრო ბევრი გვექნება".*

ცობელის გუნდი მომდევნო ამხანაგურ მატჩს ხვალ გამართავს იენის "კარლ ცაისთან".

**დავით ცაგაძე**

## ვიტ ჯორჯია

# ვიტელებმა კვარაცხელია დაიმატეს

თბილისური "ვიტ ჯორჯია" უკრაინაში, ყირიმში ემზადება დამდეგი სეზონისთვის, სადაც გუნდს კაპიტანი **ალექსანდრე კვახაძე** არ გაჰყოლია, თუმც კვახაძე დღეს ჩავა ყირიმში და კრემტეპლიცას ბაზაზე შეუერთდება ვიტელებს.

ამასობაში "ვიტ ჯორჯიამ" ახალი ფეხბურთელი დაიმატა - თავდამსხმელი **ვახტანგ კვარაცხელია,** ვინც წინა სეზონში "ცხინვალში" თამაშობდა. ვეტერინარებს თავდასხმაში განსაკუთრებით მაშინ გაუჭირდათ, გასული სეზონის მეორე წრისთვის გუნდი მთავარმეგოლე **ნიკა გელაშვილმა** რომ დატოვა - "ვიტ ჯორჯია" ბევრ საგოლე მომენტს აცუდებდა, მის ფორვარდებს ძალინ ცოტა გოლი გაჰქონდათ. კვარაცხელიამ ვიტელებთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და თავდასხმაში კონკურენციას გაუწევს **ვასილ ლუჭაშვილს, გიორგი ბერიაშვილს** და **ჯაბა ლიპარტიას.**

ყირიმულ შეკრებაზე "ვიტ ჯორჯია" პირველ საკონტროლო მატჩს ხვალ გამართავს ოდესის "ჩერნომორეცთან".

**დავით თავართქილაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; რედაქტორები: გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: დავით მაისურაძე, ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ევროტურნირები 2008/09. წილისყრა და კალენდარი

### ქართული გუნდების მეტოქეები

# გიჭამიათ ქარიშხალას კვერცხი?

## დინამო ეგზოტიკისთვის მოემზადება



სოფელ რუნავიკის სტადიონი ტრიბუნებით ვერა, მაგრამ გორაკებით შემობჯენილი კი უნდა იყოს

ფარერები კარგად აქვთ დაცდილი ქართულ კლუბებს და ჩვენს ეროვნულ ნაკრებსაც, ამ ქვეყნის გუნდებს ქართველები ჯერ არსაიდან არ გამოუგდიათ და ალბათ "დინამო თბილისი" "რუნავიკთან" თავს არ შეირცხვენს.

ფარერის კუნძულები ეგზოტიკური ქვეყანაა, ძნელად მისადგომია საქართველოდან და ჩვენებურები იქ ფეხბურთის სათამაშოდ თუ ჩავლენ. კარტოფილი და ცხვრის ხორცის ნაირგვარი ასორტიმენტი, ფარერებზე ცხვრის შაშხსაც კი ამზადებენ. დანიურად ფარერები ცხვრის კუნძულს ნიშნავს. იქაური გასტრონომია ამით როდი იწურება, ქარიშხალა და მისი კვერცხი სულაც დელიკატესად ითვლება.

ვერ გეტყვით, დააგემოვნებენ თუ არა დინამოელები ქარიშხალას ტაფამწვარს, მაგრამ სოფელში ჩასვლა კი მოუწევთ.

რუნავიკი ათ კილომეტრზე გადაჭიმული სოფელია, სადაც ოთხიათასამდე კაცი ცხოვრობს, იქაური სტადიონი კი ოთხი ათასს იტევს. დათვლა როდი ემლებათ რუნავიკელებს - მათ სოფელში საკმაოდ მნიშვნელოვანი სათევზაო პორტია, სადაც ხალხი ჯგროდ ირევა.

"რუნავიკი" ფარერების ჩემპიონი პირველად შარშან გახდა, მიმდინარე სეზონში კი ახლა მეორე ადგილზეა. რუნავიკელებს ოთხი სერბი ლეგიონერიც კი ჰყავთ: მცველი **აკო პანდურევიჩი**, ნახევარმცველები - **ნენად სტანკოვიჩი** და **მილან პეიჩიჩი**, თავდამსხმელი **დეიან სტოიკოვიჩი**.

"რუნავიკში" ფარერების ნაკრების ოთხი ფეხბურთელია: **იოჰან ტროესტ დავიდსენი, ოლი ჰანსენი, ეინარ ჰანსენი**(მცველები) და შუახაზელი **ჰიალგრიმ ელტორი.**

"რუნავიკს" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოზე აქამდე არასდროს უთამაშია, უეფას თასზე კი ოთხი თამაშიდან ოთხივე წააგო ( ბურთები 1-15) , ხოლო ინტერტოტოზე ორიდან ორში დამარცხდა (1-7).

"რუნავიკს" დანიელი **იოჰან ნილსენი** წვრთნის.

**დავით ჟავართქილაძე**

# შავ-წითელთა ოქროს ისტორია

ტრნავის "სპარტაკმა" სლოვაკეთის 12 გუნდიან ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა, თანაც ისე, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლას თავიდანვე ჩამოსცილდა. ქვეყნის ჩემპიონ "არტმედიას" "ვიტ ჯორჯიის" მეტოქე მთელი 32 ქულით ჩამორჩა.

"სპარტაკის" ისტორია უკვე 85 წელიწადს ითვლის. კლუბს ოქროს ხანა 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანების დასაწყისში ედგა. 1968, 1969, 1971, 1972 და 1973 წლებში "სპარტაკი" ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი გახდა. იმავე პერიოდში ტრნაველებმა ქვეყნის სამი თასი მოიპოვეს. ამას გარდა, "სპარტაკი" თასს 1951 და 1986 წლებშიც დაეუფლა. კლუბი ევროასპარეზზეც წარმატებით გამოდიოდა. "სპარტაკს" ევროტურნირებზე ერთხელ ნახევარფინალამდე მიუღწევია, ორჯერ კი მეოთხედფინალამდე. 1967 წელს კი სლოვაკებმა "მიტროპის თასი" მოიპოვეს.



პეტერ დოლეჟაი

ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდეგ, "სპარტაკს" შედარებით მოკრძალებული შედეგები ჰქონდა. გუნდს სლოვაკეთის ჩემპიონატი ჯერ არ მოუგია. ტრნაველთათვის ყველაზე წარმატებული 1998 წელი იყო, როცა ქვეყნის თასი და სუპერთასი მოიპოვეს.

"სპარტაკს" ლეგიონერები მრავლად ჰყავს. აქედან ოთხი სენეგალელია, ორი სერბი, ორი ჩეხი და ერთიც ესპანელი. უცხოელთაგან საქვეყნოდ ცნობილი არავინაა, სამაგიეროდ, გუნდს მწვრთნელი ჰყავს ბევრისმნახველი - 45 წლის სერბი **ვლადიმირ ვერმეზოვიჩი**, რომელსაც ბელგრადის "პარტიზანში" უმუშავია.

სლოვაკეთის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში "სპარტაკის" არაერთი ფეხბურთელი თამაშობს, ეროვნულში კი სისტემატურად მხოლოდ ერთი ტრნაველი ხვდება - მარცხენა მცველი **პეტერ დოლეჟაი.**

ტრნაველთა საკლუბო ფერები შავი, წითელი და თეთრია, საშინაო მატჩებს გუნდი "სპარტაკის" 18-ათასიან სტადიონზე ატარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ასი წლით უფროსი

"დიორი ეტო" 1904 წელსაა დაარსებული და "ზესტაფონზე" ხნიერი ზუსტად ერთი საუკუნითაა. წინა სეზონი დიორელებმა საკმაო წარმატებით ჩაატარეს და ეროვნული ჩემპიონატი მესამე ადგილზე დაასრულეს.

კლუბს სახელი ხშირად ეცვლებოდა. პირველად "დიორი ვაგონდიარი" დაარქვეს, მერე კი ხან "ვილჰელმ პიკად" იწოდებოდა, ხან "ვაშაშად", ხანაც "რაბად". ოღონდ "დიორი" სახელწოდებაში ყოველთვის ერია. "დიორი ეტო" კი გუნდს 1994 წელს დაერქვა.

ქალაქ დიორის კლუბს საკმაოდ წარმატებული ისტორია აქვს. ერთი ეგაა, ბოლო წლებში უტიტულოდ რჩება, თორემ წინა საუკუნეში სოლიდური მიღწევები ჰქონდა. 1963, 1982 და 1983 წლებში კლუბმა უნგრეთის ჩემპიონობა მოიპოვა, თასს კი 4-ჯერ დაეუფლა სამჯერ 60-იანებში, ერთხელ კი 1997 წელს.

თავის დროზე, "დიორი" ევროთასებზეც ანგარიშგასაწევი ძალა იყო. 1965 წელს უნგრელებმა ჩემპიონთა თასის ნახევარფინალამდე მიაღწიეს, სადაც ფარ-ხმალი **ეუსებიოს** "ბენფიკასთან" დაყარეს.



საშა სტევანოვიჩი

"დიორმა" თანამედროვე უნგრულ ფეხბურთს ორი საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი გაუზარდა - **ვასილი მიროუტა**, რომელიც წლების განმავლობაში გერმანული "კოტბუსის" ლიდერი იყო, და **მიკლოშ ფეჰერი**, რომელიც ეროვნულ ნაკრებსა და პორტუგალიურ "ბენფიკაში" შედეგიანად ასპარეზობდა. ფეჰერის სიცოცხლე მოედანზე შეწყდა - მას თამაშისას გული გაუჩერდა.

"დიორის" ლიდერად გამოცდილ მეკარეს, სერბ **საშა სტევანოვიჩს** მიიჩნევენ. იგი 31 წლისაა და წლების წინ საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშიც იწვევდნენ. სერბთა უპირველეს გუნდში სტევანოვიჩს 4 მატჩი ჩაუტარებია. უნგრელებს რამდენიმე ლეგიონერი ჰყავთ, მათ შორის ყველაზე საინტერესო ფეხბურთელი ჩერნოგორიის ნაკრების კანდიდატი, ფორვარდი **ბოიან ბრნოვიჩია.**

გუნდის მთავარი მწვრთნელი **შანდორ ეგერვარია**, "დიორის" მთავარი ფორმა მწვანეა, სათადარიგო - თეთრი. ქალაქის სტადიონი 20 ათას მაყურებელს იტევს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### ჩემპიონთა ლიგა

#### I საკვალიფიკაციო რაუნდი

1. ლინფილდი (ჩრ. ირლანდია)-დინამო (ხორვატია)
2. ვალეტა (მალტა)-არტმედია (სლოვაკეთი)
3. **დინამო (საქართველო)-რუნავიკი (ფარერები)**
4. სანტა კოლომა (ანდორა)-კაუნასი (ლიტვა)
5. მურატა (სან მარინო)-გიოტებორგი (შვედეთი)
6. ლანელი (უელსი)-ვენტსპილსი (ლატვია)
7. ანორთოსისი (კვიპროსი)-პიუნიკი (სომხეთი)
8. ინტერი (აზერბაიჯანი)-რაბოტნიჩკი (მაკედონია)
9. ტამპერე (ფინეთი)-ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)
10. დიუდელანჟი (ლუქსემბურგი)-დომზალე (სლოვენია)
11. დინამო (ალბანეთი)-მოდრიცა (ბოსნია)
12. აქტობე (ყაზახეთი)-შერიფი (მოლდოვა)
13. დროგედა (ირლანდია)-ლევადია (ესტონეთი)
14. ბატე (ბელარუსი)-ვალიური (ისლანდია)

#### II საკვალიფიკაციო რაუნდი

რეინჯერსი (შოტლანდია)-4. გამარჯვებული
ბრანი (ნორვეგია)-6. გამარჯვებული
8. გამარჯვებული-პარტიზანი (სერბეთი)
9. გამარჯვებული-2. გამარჯვებული
7. გამარჯვებული-რაპიდი (ავსტრია)
10. გამარჯვებული-1. გამარჯვებული
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)-3. გამარჯვებული
5. გამარჯვებული-ბაზელი (შვეიცარია)
12. გამარჯვებული-სპარტა (ჩეხეთი)
13. გამარჯვებული-დინამო (უკრაინა)
ანდერლეხტი (ბელგია)-14. გამარჯვებული
ბეითარი (ისრაელი)-ვისლა (პოლონეთი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი)-მტკ (უნგრეთი)
ოლბორგი (დანია)-11. გამარჯვებული

### უეფას თასი

#### I საკვალიფიკაციო რაუნდი

ჩერნო მორე (ბულგარეთი)-სენტ ჯულია (ანდორა)
პელისტერი (მაკედონია)-აპოელ (კვიპროსი)
ვადუცი (ლიხტენშტაინი)-ზრინისკი (ბოსნია)
შიროკი ბრიგი (ბოსნია)-პარტიზანი (ალბანეთი)
ჰაპოელი (ირონი, ისრაელი)-მოგრენი (ჩერნოგორია)
კოპერი (სლოვენია)-ვლაზნია (ალბანეთი)
ლუბლიანა (სლოვენია)-ზეტა (ჩერნოგორია)
იუვენესი (სან მარინო)-ჰაპოელი (თელ-ავივი, ისრაელი)
ჰაიდუკი (ხორვატია)-ბირკირკარა (მალტა)
მილანო (მაკედონია)-ომონია (კვიპროსი)
მარსაქსლოკი (მალტა)-სლავენი (ხორვატია)
ზალცბურგი (ავსტრია)-ბანანცი (სომხეთი)
**დიორი ეტო (უნგრეთი)-ზესტაფონი (საქართველო)**
არარატი (სომხეთი)-ბელინცონა (შვეიცარია)
დაჩია (მოლდოვა)-ბორაცი (სერბეთი)
ტობოლი (ყაზახეთი)-აუსტრია (ავსტრია)
ჰერტა (გერმანია)-ნისტრუ (მოლდოვა)
ხაზარი (აზერბაიჯანი)-ლეხი (პოლონეთი)
ლეგია (პოლონეთი)-გომელი (ბელარუსი)
**ტრნავა (სლოვაკეთი)-ვიტ ჯორჯია (საქართველო)**
მტზ-რიპო (ბელარუსი)-ჟილინა (სლოვაკეთი)
შახტიორი (ყაზახეთი)-დებრეცენი (უნგრეთი)
ოლიმპიკი (აზერბაიჯანი)-ვოივოდინა (სერბეთი)
ჰაფნარფიორდური (ისლანდია)-გრევენმახერი (ლუქსემბურგი)
ვეტრა (ლიტვა)-ვიკინგი (ნორვეგია)
უნიონი (ლუქსემბურგი)-კალმარი (შვედეთი)
ჰონკა (ფინეთი)-აკრანესი (ისლანდია)
გლენტორანი (ჩრ. ირლანდია)-მეტალურგსი (ლატვია)
ბრონდბიუ (დანია)-ტორსჰავნი (ფარერები)
ნორდსილანდი (დანია)-ტვმკ (ესტონეთი)
სტეიმური (ფარერები)-მანჩესტერ სიტი (ინგლისი)
ოლიმპსი (ლატვია)-სენტ პატრიკსი (ირლანდია)
იურგორდენი (შვედეთი)-ფლორა (ესტონეთი)
სუდუვა (ლიტვა)-ნიუ საიანტსი (უელსი)
კლიფტონვილი (ჩრ. ირლანდია)-კოპენჰაგენი (დანია)
კორკ სიტი (ირლანდია)-ჰაკა (ფინეთი)
მიდტიულანდი (დანია)-ბანგორ სიტი (უელსი)

### სათამაშო დღეები

#### ჩემპიონთა ლიგა

15/16.07.2008. **პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი**. პირველი მატჩები
22/23.07.2008. **პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი**. საპასუხო მატჩები
29/30.07.2008. **მეორე საკვალიფიკაციო რაუნდი**. პირველი მატჩები
05/06.08.2008. **მეორე საკვალიფიკაციო რაუნდი**. საპასუხო მატჩები
12/13.08.2008. **მესამე საკვალიფიკაციო რაუნდი**. პირველი მატჩები
26/27.08.2008. **მესამე საკვალიფიკაციო მატჩები**. საპასუხო მატჩები
16/17.09.2008. **ჯგუფური ეტაპი**. I ტური
30.09/01.10.2008. **ჯგუფური ეტაპი**. II ტური
21/22.10.2008. **ჯგუფური ეტაპი**. III ტური
04/05.11.2008. **ჯგუფური ეტაპი**. IV ტური
25/26.11.2008. **ჯგუფური ეტაპი**. V ტური
09/10.12.2008. **ჯგუფური ეტაპი**. VI ტური
24/25.02.2009. **1/8 ფინალი**. პირველი მატჩები
10/11.03.2009. **1/8 ფინალი**. საპასუხო მატჩები
07/08.04.2009. **1/4 ფინალი**. პირველი მატჩები
14/15.04.2009. **1/4 ფინალი**. საპასუხო მატჩები
28/29.04.2009. **1/2 ფინალი**.. პირველი მატჩები
05/06.05.2009. **1/2 ფინალი**. საპასუხო მატჩები
27.05.2009. **ფინალი**. რომი

#### უეფას თასი

17.07.2008. **პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი**. პირველი მატჩები
31.07.2008. **პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი**. საპასუხო მატჩები
14.08.2008. **მეორე საკვალიფიკაციო რაუნდი**. პირველი მატჩები
28.08.2008. **მეორე საკვალიფიკაციო რაუნდი**. საპასუხო მატჩები
18.09.2008. **პირველი რაუნდი**. პირველი მატჩები
02.10.2008. **პირველი რაუნდი**. საპასუხო მატჩები
23.10.2008. **ჯგუფური ეტაპი**. I ტური
06.11.2008. **ჯგუფური ეტაპი**. II ტური
27.11.2008. **ჯგუფური ეტაპი**. III ტური
03/04.12.2008. **ჯგუფური ეტაპი**. IV ტური
17/18.12.2008. **ჯგუფური ეტაპი**. V ტური
18/19.02.2009. **1/16 ფინალი**. პირველი მატჩები
26.02.2009. **1/16 ფინალი**. საპასუხო მატჩები
12.03.2009. **1/8 ფინალი**. პირველი მატჩები
18/19.03.2009. **1/8 ფინალი**. საპასუხო მატჩები
09.04.2009. **1/4 ფინალი**. პირველი მატჩები
16.04.2009. **1/4 ფინალი**. საპასუხო მატჩები
30.04.2009. **1/2 ფინალი**. პირველი მატჩები
07.05.2009. **1/2 ფინალი**. საპასუხო მატჩები
20.05.2009. **ფინალი**. სტამბოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკე

# ლევან ყენიამ პირველ გუნდში პირველად ივარჯიშა

## მორჩა ხუმრობა, რუტენი წესრიგს ამყარებს!

"ბაიერნის" შემდეგ, მომავალი სეზონისთვის მზადება გელზენკირხენის "შალკემაც" დაიწყო. "ხუმარების" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ფრედ რუტენმა** შეგირდები გუშინ შეკრიბა და დილის 10 საათზე პირველი ვარჯიშიც ჩაატარა. რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, პირველ გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშა **ლევან ყენიამ**, რომელიც მომავალ სეზონში "შალკეს" რიგებში 30-ე ნომრით იასპარეზებს.

"შალკეს" პირველ ვარჯიშს 4 000-მდე გულშემატკივარი დაესწრო. ფანები ყველაზე მეტად ახალწვეულ **ჯეფერსონ ფარფანს** ელოდნენ, მაგრამ ეს უკანასკნელი არ გამოჩენილა. ფეხბურთელი, რომელშიც გელზენკირხენელებმა 10 მილიონი ევრო გადაიხადეს და რომელიც "შალკეს" ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე გახდა, პირველ ვარჯიშს პირადი პრობლემების გამო დააკლდა.

პერუელი ფორვარდი, რომელმაც "შალკეს" "ეინდჰოვენიდან" მიაშურა, გუნდს დღეს შეუერთდება. ასევე პირადი მიზეზების გამო, პირველ ვარჯიშს დააკლდა დანიელი **პეტერ ლოვენკრანდსიც**. ამბობენ, ამ უკანასკნელს, ისევე, როგორც მის თანამემამულე **სიორენ ლარსენს**, "შალკეში" მომავალი აღარ აქვსო. ორშაბათს გაირკვა, რომ **მათიას აბელი** "კაიზერსლაუტერნში" გადადის.

ყენიასთან ერთად, პირველ გუნდში 19-წლამდელთა გუნდის კიდევ ორმა გამორჩეულმა ფიგურამ ივარჯიშა. ესენი არიან: **კარლოს ძამბრანო** და **მოჰამედ ამსიფი**. "შალკეს" ფანებს იმედი აქვთ, რომ კლუბის ხელმძღვანელები სატრანსფერო ბაზარზე კიდევ გააქტიურდებიან. ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშაა ჰოლანდიელი ნახევარმცველის, **ორლანდო ენგელაარის** ტრანსფერი, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. "შალკეს" და "ტვენტეს" ბოსები სატრანსფერო თანხაზე ვერ თანხმდებიან - ევროპის ჩემპიონატზე კარგად გამოსვლის შემდეგ, "ტვენტემ" ენგელაარს ფასი მოუმატა.

**გოტფრიდ ლენცი**



ლევან ყენიამ 30-ნომრიანი მაისურა გუშინ პირველად მოირგო




# ბიჭი სამეფო უბნის გუნდიდან

## ბარაბაძე ესტონური აიაქსიდან დანიურ რაკეტამდე



ბურთით მიხეილ ბარაბაძე

**იმ დროს, როდესაც ქართველი ახალგაზრდობის ყაზახეთ–აზერბაიჯანში მასიური გადაბარგებით გული ყოველ სატრანსფერო პერიოდში გვისკდება, იშვიათი გამონათებებიც ხდება. ასეთია „თბილისისა" და „ნორჩი დინამოელის" ყოფილი ფორვარდი მიხეილ ბარაბაძე, რომელიც იანვარში დანიის პირველი ლიგის კლუბში, კოპენჰაგენის „ჰიკში" ჩაირიცხა.**

**გავიდა ნახევარი წელიწადი, 19 წლის ქართველმა „ჰიკის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდრა და გაცილებით ძლიერი კლუბების ინტერესი გამოიწვია. პატარა ბიჭი დანიაში აშკარად გაიზარდა – კლასითაც და ფიზიკურადაც. „თბილისის" ტანდაბალ თავდამსხმელს ახლა ველარ იცნობთ, ნამდვილი ათლეტია და კუნთების მასა დაეტყო.**

**- დანიაში თამაშობ, მაგრამ საქართველოში ბევრს არ აქვს წარმოდგენა, ვინაა მიშა ბარაბაძე?**

- 7 წლიდან ვთამაშობდი „ნორჩ დინამოელში" თამაზ კოსტავასთან და თენგიზ კაციასთან. 16 წლის ვიყავი, „თბილისში" რომ მიმიწვიეს. თუმცა მწვრთნელი რომ შეიცვალა, აღარ მათამაშებდნენ და რეგიონალლიგის „ნორჩ დინამოში" გადავედი.

**- ნორმალურად საქართველოშიც არ გიცნობდნენ და დანიაში როგორ გაგიცვნეს და მიგიწვიეს?**

- დანიასა და შვედეთში ცნობილი ტურნირები ტარდება - „დანა კაპი" და „გოტია კაპი", სადაც ესტონეთის „აიაქსში" ვითამაშე, 7 თამაშში 5 ბურთი გავიტანე და 7 საგოლე გადაცემა გავაკეთე. ესტონურ კლუბში თამაში ძალიან წამადგა. დანიასა და შვედეთში, თურმე, მენეჯერები მაკვირდებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი გავიცანი, ურთიერთობა გავაგრძელე და პირველი ლიგის კლუბ „ჰიკში" გასინჯვა შემომთავაზა. „ჰიკში" ტესტირება ორი თვე გაგრძელდა. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიჭირდა, საკმაოდ მძიმე ვარჯიშები მქონდა, უცხო გუნდთან და გარემოსთან შეგუებაც რთული აღმოჩნდა, მაგრამ გავძელი და მერე ისე შევეჩვიე, თითქოს, მთელი ცხოვრება ასე ვვარჯიშობდი. სხვათა შორის, „ჰიკი" სამეფო უბნის გუნდია და საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი გვყავს.

**- მამუკა კვარაცხელიასგან ვიცი, რომ „ჰიკის" ფანები პირველივე მატჩში მოხიბლე, როდესაც შვიდი მეტოქე მოატყუე და ბურთი კარიდან მერვემ გამოიტანა...**

- დაახლოებით ასე იყო, ეგაა, მხოლოდ სამი მცველი და მეკარე მოვატყუე. ტრაბახში არ ჩამომართვათ და მეორე დღეს კოპენჰაგენის ერთ-ერთ გაზეთში დაწერეს – რა იყო ეს, კოსმოსური ხომალდი თუ რაკეტა? არა, ეს ბარაბაძეაო!

**- დანიაში ფეხბურთი საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარდა და ევროპულ ფეხბურთში თავისი ადგილი იპოვა. მომზადების განსაკუთრებული მეთოდები აქვთ, თუ რაშია მათი წარმატებების საიდუმლო?**

- შეიძლება, ევროპელებისთვის განსაკუთრებული არაფერიც არ აქვთ, მაგრამ ნიჭიერი ხალხია. „ჰიკში" ყველა ფეხბურთელს მომზადების ინდივიდუალურ გეგმას გვიდგენდნენ. სხვათა შორის, იონ-დალ ტომასონის ფიზმომზადების ყოფილი მწვრთნელი მავარჯიშებდა. დაუჯერებლად მოგეჩვენებათ, მაგრამ ამ ექვს თვეში სისწრაფეში ისე მოვუმატე, თავადაც მიკვირს. ეტყობა, სისტემა კარგადაა მოფიქრებული და მოთამაშე გეგმაზომიერად გაიზრდება. რთული მოსამზადებელი ეტაპია, მაგრამ სასარგებლო, თანაც ინდივიდუალური დატვირთვებია.

ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ ურთიერთობები ნდობაზეა დამყარებული და არა მოთამაშეთა კონტროლზე. თუ არ გინდა ვარჯიში, არავინ დაგაძალებს, მაგრამ თავად წააგებ. მოიტყუები, რომ ესა და ეს გააკეთე, მაგრამ შენ ვერ გაიზრდები და მწვრთნელი რას დაკარგავს? გაგაგდებს გუნდიდან და სხვას აიყვანს. ასე რომ, თავი არ უნდა მოიტყუო, ივარჯიშო და მოგებული დარჩები.

ვთქვი, რომ დანიელები ნიჭიერები არიან, მაგრამ ჩვენს ბავშვებს ვერ შეედრებიან. ეგაა, მათ სწორად ზრდიან, ყოველ შაბათ-კვირას ევროპის ქვეყნებში თამაშობენ 14-15-16 წლის ბიჭები, გამოცდილებას იძენენ და უცხოებთან თამაშის შიშს იხსნიან. ფეხბურთელი ასე იზრდება და არა ჩვენნაირ პირობებში.

**- ბევრი ფიქრობს, რადგან მდიდარ ქვეყანაში ცხოვრობ, ყველაფერი ლამაზად და უპრობლემოდ გაქვს.**

- ასე ნაღდად არაა. სხვათა შორის, მივხვდი, მთავარია, უცხო ქვეყანას შეეგუო, ბარიერი გადალახო და ყველა დანარჩენ სირთულეს გადალახავ. სპორტული თვალსაზრისით, ჩემთვის მთავარი სირთულე სისწრაფის მომატება იყო და ესეც მოვახერხე. მწვრთნელმა მითხრა, შენ ისე უმატებ, მალე დანიაში ვერავინ დაგეწევაო.

**- დანიის უმაღლეს დივიზიონში გადასვლის რეალური იმედი თუ გაგაჩნია?**

- წამოსვლამდე მწვრთნელი მელაპარაკა, რომელსაც ძალიან დავუახლოვდი. თურმე, მენეჯერები ესაუბრნენ და შესაძლოა, ახალ სეზონი სხვა კლუბში დავიწყო. როგორც გავიგე, დაინტერესდა ჰოლანდიის პირველი ლიგის ორი გუნდი, ბელგიის ერთი უმაღლესლიგელი და ორი დანიური კლუბი. რამდენად მართალია, ვერ გეტყვით, მაგრამ "ბრონდბიუს" დაინტერესებაზეც მითხრეს. ვნახოთ.

**- თავდაპირველად ენის ბარიერი არ გქონია?**

- ინგლისური ვიცოდი და პრობლემა არ მქონია.

**- დანია სპორტული ზრდისთვის საინტერესოა, მაგრამ მაინც და მაინც დიდი ხელფასებს არ იხდიან.**

- ასეა, მაგრამ რამდენიმე კომპანიამ სარეკლამო აქციებში მონაწილეობა შემომთავაზა და სიამოვნებით დავთანხმდი. ამით კი სერიოზული შეღავათი მივიღე. მაგალითად, „ფრედ პერის" და „დიზელი 55"-ის ტანსაცმელი ჩემთვის უფასოა, ისევე როგორც „პუმას" ფეხსაცმელები. მითხრეს, ჩვენს ტანსაცმელს თუ ჩაიცვამ, ყველაფერს უფასოდ მიიღებო და დასაფიქრებელი რა იყო?

მაგარ ქვეყანაში მოვხვდი. თავიდან ყველაფერი მიკვირდა. ერთხელ საკონტროლო თამაშამდე, სტადიონზე ასაკოვანი ადამიანი ველოსიპედით მოვიდა, მხარზე ხელი დამარტყა, აბა, შენ იცი, ჩვენი იმედები უნდა გაამართლოო. ერთი ჩვეულებრივი გულშემატკივარი მეგონა. გავიდა ერთი თვე, ტესტირება დავამთავრე და „ჰიკის" ოფისში კონტრაქტის გასაფორმებლად მივედი. გუნდის იურისტი კოპენჰაგენის ერთ-ერთი საუკეთესო ადვოკატია და ხელშეკრულებას მისი დახმარებით გავაფორმებთო. შევედი კაბინეტში და ის ველოსიპედისტი არ დამხვდა?! დანიის პრინცი ბავშვებს ტყეებში ასევე ველოსიპედით ასეირნებს. ერთხელ შვედეთის მეფე კოპენჰაგენში „ფერარით" დაქროდა და სიჩქარის გადაჭარბებისთვის დააჯარიმეს. აბა, საქართველოში გავლენიან და მდიდარ ადამიანს ველოსიპედზე ნახავთ, ან თანამდებობის პირს დააჯარიმებენ? ეს ხომ გამორიცხულია!

**მერაბ მამულაშვილი**

სპეციალისტის აზრი. ინტერვიუ თენგიზ სულაკველიძესთან

# სანახაობაც იყო და სამართლიანობის ზეიმიც

სამკვირიანი სანახაობა - ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა; ლაურეატებიც გამოვლინდნენ და მწვრთნელ-ფეხბურთელთა უმრავლესობა ხანმოკლე შვებულებაში გავიდა. მოკლედ, ახლა ის დროა, განვლილი ჩემპიონატი სპეციალისტებმა შეაფასონ. ჩვენი პირველი რესპონდენტი თენგიზ სულაქველიძეა - 80-იანი წლების თბილისის "დინამოს" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ სულაქველიძე ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქართველ ფეხბურთელთაგან, ვისაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე უთამაშია. ეგ კი არა, 1988 წლის ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ვერცხლის მედალიც მოიპოვა.

**- ბატონო თენგიზ, ახლახან დასრულებულ ევროპის ჩემპიონატს როგორ შეაფასებდით?**

- ამ გათამაშების ისტორიაში, უდავოდ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ყოველ შემთხვევაში, რაც მინახავს, ეს ყველაზე საინტერესო გახლდათ. თითქმის ყველა მატჩი დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ბევრი იყო მოულოდნელი შედეგიც - ანუ, ფავორიტისა და აუტსაიდერის ცნება არ არსებობდა.

**- თქვენი სიმპათია რომელმა გუნდმა დაიმსახურა?**

- ესპანეთმა, ჰოლანდიამ და პორტუგალიამ - იმ ნაკრებებმა, ყველაზე სანახაობრივი ფეხბურთი რომ აჩვენეს. მინდა, რუსეთის ნაკრების თამაშიც აღვნიშნო - შემადგენლობის გათვალისწინებით ნორმალურ შედეგს მიაღწია.

**- როგორ ფიქრობთ, ესპანეთი ევროპის ჩემპიონი დამსახურებულად გახდა?**

- ამ საკითხზე საკამათო არავის უნდა ჰქონდეს - ესპანეთის ნაკრები სტაბილური შემადგენლობით, ტექნიკური თუ ფიზიკური მომზადებით ყველა დანარჩენზე ერთი თავით მაღლა იდგა. და მთავარი - ესპანელთა სათამაშო სტილი შეტევა და მხოლოდ შეტევა იყო. ასეთი ფეხბურთი კი მხოლოდ სიმპათიას იმსახურებს და ესპანელთა გამარჯვება სამართლიანობის ზეიმადაც შეიძლება შევაფასოთ.

**- ესპანეთის ნაკრები და ლუის არაგონესი - ამ თემაზე კამათი დღემდე არ წყდება...**

- რა არის აქ საკამათო? რა თქმა უნდა, მაღალი დონის შემსრულებლების გარეშე საბოლოო წარმატებას ვერ მიაღწევ; თუმცა თანამედროვე ფეხბურთში მწვრთნელის როლიც უმნიშვნელოვანესია. ლუის არაგონესი რამხელა რისკზე წავიდა, როცა ჩემპიონატზე ესპანური ფეხბურთის სიმბოლო რაული არ წაიყვანა. ანუ, კარგად იცოდა, მის არჩეულ სათამაშო სქემას რომელი ფეხბურთელი როგორ მოერგებოდა.

**- არაგონესმა ჩემპიონატის მსვლელობის დროს ბევრი გააოცა, როცა თითქმის ყველა მატჩში წამყვან ფეხბურთელებს ცვლიდა.**

- ესპანეთის ნაკრების სიძლიერე იმაშიც გამოიხატა, რომ მწვრთნელს სრულფასოვანი რეზერვი ჰყავდა. გეთანხმებით, ხანდახან უცნაურადაც ჩანდა, როცა ერთდროულად ორ ან სამ წამყვან ფეხბურთელს ცვლიდა, მაგრამ თავის გადაწყვეტილებაში დარწმუნებული იყო და ყველა შემთხვევაში ამ შეცვლებმა გაამართლა კიდეც.

**- ჩემპიონატის დაწყების წინ ბრძანეთ, რომ რუსეთის ნაკრებისთვის ჯგუფიდან გასვლა იდეალური შედეგი იქნებოდა...**

- მე კი არა, თვითონ რუსებიც არ ელოდნენ მათი ნაკრები ნახევარფინალამდე თუ გააღწევდა. რა თქმა უნდა, მწვრთნელის ფაქტორმაც ბევრი რამ გადაწყვიტა - გუუს ჰიდინკმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის სპეციალისტია. ამასთან, რამდენიმე რუსმა ფეხბურთელმაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა ესპანეთთან ნახევარფინალში ყველაფერი თავის ადგილას დადგა...

**- ამ მატჩზეც გვინდა გკითხოთ: მანამდე რუსებმა ჰოლანდიას"გადაურბინეს", აი, ესპანეთთან კი არაფერი გამოუვიდათ.**

- რუსეთმა ჰოლანდია, მართლაც, ყველაფერში დაჯაბნა: ბურთის ფლობაში, სისწრაფეში და ტაქტიკაში. ანუ, იმ მატჩში ყველაფერი "ჩადეს", თუმცა გამორიცხულია, რომ ფეხბურთელმა სამ დღეში სასურველი კონდიციები დაკარგოს. ანუ, ესპანეთთან უკვე რუსები იყვნენ სტატისტების როლში და მეტოქის სწრაფ და გააზრებულ თამაშსაც ვერაფერი დაუპირისპირეს.

**- თქვენს ფავორიტზე, იტალიის ნაკრებზე რას გვეტყოდით?**

- ასეთი თამაშით ჯგუფიდან გასვლაც არ ეკუთვნოდა. იტალიის ნაკრებში არ იყო ლიდერი - ფეხბურთელი, ვინც თანაგუნდელებს აიყოლიებდა. რაღა თქმა უნდა, ჯანლუიჯი ბუფონი მსოფლიო დონის მეკარეა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის - ნახევარდაცვაში და თავდასხმაში, სულ მცირე, სამიოთხი მაღალი კლასის შემსრულებელი მაინც უნდა გყავდეს. აღარაფერს ვამბობ მწვრთნელის ფაქტორზე - იტალიის ნაკრები აშკარად იმსახურებდა რობერტო დონადონიზე უკეთეს სპეციალისტს...

**- ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?**

- ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს ესპანეთის ნაკრების ფორვარდებმა - დავიდ ვილიამ და ფერნანდო ტორესმა. თავდასხმაში თავის საქმეს ხომ აკეთებდნენ, ამას გარდა მთელი მატჩის განმავლობაში უბურთოდაც ბევრს მანევრირებდნენ და ხშირ შემთხვევაში საკუთარ საჯარიმოში მცველებსაც ეხმარებდნენ. თანაც, ყველაფერ ამას სწრაფად აკეთებდნენ.

**- თქვენი ამპლუის ფეხბურთელებიდან ვინ მოგეწონათ?**

- ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი მარკოს სენა. ნამდვილი საყრდენი იყო - მეტოქის შეტევების ჩაშლაც დიდებულად ეხერხებოდა, თანაგუნდელების იერიშების წამოწყებაც და ამასთან ერთად, ტექნიკურიც გახლავთ.

**- უეფას პრეზიდენტის დაგეგმილ ორ ნოვაციას - ჩემპიონატის აგვისტოში ჩატარებასა და ფინალურ ტურნირზე გუნდების რაოდენობის გაზრდას როგორ შეაფასებდით?**

- ჩემი აზრით, აგვისტოში გადატანა უპრიანი იქნებოდა - ფეხბურთელთა უმრავლესობას კლუბებში მომქანცველი სეზონი აქვს; ეროვნული ჩემპიონატი, ევროპის საკლუბო ტურნირები, სანაკრებო მატჩები - ამ ყველაფრის მერე შესვენება და ძალების აღდგენა აუცილებელია. იმ ნოვაციასაც მივესალმები, ფინალურ ტურნირზე 24-მა გუნდმა რომ უნდა ითამაშოს. ეს, პირველ ყოვლისა, ფეხბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს და საქართველოს ნაკრებისთვისაც კარგი იქნება.

**გია ტუხაშვილი**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სკოლბურთი

# პეპსის თასი რაჭველებს

სკოლბურთში პეპსის თასის გათამაშება წლეულს მესამედ ჩატარდა. ტურნირი, რომლის ორგანიზატორები ფეხბურთის ფედერაცია, ეზოს ფეხბურთის ასოციაცია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, თბილისის მერია და კომპანია "პეპსი" არიან, პირველად 2006 წელს გაიმართა. მას მერე ამ გათამაშების მასშტაბები საგრძნობლად გაიზარდა და ამჯერად უკვე პეპსის თასზე 1 600-მდე სკოლის გუნდი მონაწილეობდა. ტურნირი ორ ეტაპად წარიმართა. პირველი რაუნდი რეგიონული პრინციპით ჩატარდა და მეორე, დასკვნით ეტაპზე 16 გუნდი გავიდა. აქედან 5 გუნდი თბილისის იყო, 11 კი რეგიონების.

**189-ე საჯარო სკოლა** (თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამარჯვებული), **კრწანისის საჯარო სკოლა** (თბილისი, მთაწმინდა-კრწანისის რ-ნი), **თ. ნათენაძის სახელობის სკოლა** (თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი), **22-ე საჯარო სკოლა** (თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი), **182-ე საჯარო სკოლა** (თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი), **საგარეჯოს მე-4 სკოლა** (კახეთის რეგიონი), **რუსთავის 25-ე სკოლა** (ქვემო ქართლი), **ტირძნისის საჯარო სკოლა** (შიდა ქართლი), **ქუთაისის მე-40 საჯარო სკოლა** (იმერეთის რეგიონი), **ამბროლაურის პირველი საჯარო სკოლა** (რაჭის რეგიონი), **ლანჩხუთის მე-2 საჯარო სკოლა** (გურიის რეგიონი), **ჯვარის პირველი საჯარო სკოლა** (სამეგრელოს რეგიონი), **ახალსოფლის საჯარო სკოლა** (ხელვაჩაური, აჭარის რეგიონი), **მცხეთის მართლმადიდებლური გიმნაზია** (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), **წნისის საჯარო სკოლა** (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), **გალის საშუალო სკოლა** (აფხაზეთის რეგიონი).

დასკვნითი რაუნდის მატჩები ბათუმში, "ადელის" სპორტკომპლექსის მოედანზე გაიმართა. შესაბამისად, ტურნირის ორგანიზებაში აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტრო, ბათუმის მერია და აჭარის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციაც ჩაერთვნენ. ნახევარფინალში ამბროლაურის პირველი და თბილისის 182-ე საჯარო სკოლის გუნდების მატჩი უგოლოდ დასრულდა, პენალტების სერიაში კი რაჭველებმა 4:2 მოიგეს. მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში რუსთავის 25-ე სკოლის გუნდმა ქუთაისის მე-40 სკოლის კრებული 3:1 დაამარცხა. ფინალში კი ამბროლაურელებმა დაძაბულ ბრძოლაში რუსთაველები 1:0 დაამარცხეს.

ტრნირის გამარჯვებულ ამბროლაურის პირველ საჯარო სკოლას პეპსის თასი გადაეცა. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ამბროლაურელთა გუნდის ნახევარმცველი **მალხაზ ფარჯიანი** დაასახელეს. დაპირებისამებრ, გათამაშების ორგანიზატორთა მხარდაჭერით გამარჯვებული გუნდი ბარსელონის "კოსტა ბრავას" საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებს.

**დავით ცაბაძე**

# რეიტინგში მხოლოდ დინამოა

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) ივნისის საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა. ამ ჩამონათვალში არცთუ დიდი ხნის წინ რამდენიმე ქართული კლუბი ხვდებოდა, ბოლო პერიოდში კი იქ მხოლოდ "დინამოს" სახელი ფიგურირებს. 350-გუნდიან რეიტინგში საქართველოს ჩემპიონი 242-ე ადგილზეა. წინა თვის სიაში "დინამო" 243-ე იყო.

საკლუბო რეიტინგის საუკეთესო ათეული კი ასეთია:

1. მანჩესტერი (ინგლისი)
2. ჩელსი (ინგლისი)
3. ბაიერნი (გერმანია)
4. რეინჯერსი (შოტლანდია)
5. ბარსელონა (ესპანეთი)
6. რომა (იტალია)
7. ლივერპული (ინგლისი)
8. არსენალი (ინგლისი)
9. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)
10. ინტერი (იტალია)

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ღვინიანიძის დაბრუნება

**მათე ღვინიანიძე** უკვე მწყობრშია და გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს. შეგახსენებთ, ახალგაზრდა ქართველ მცველს გასული წლის ბოლოს მენისკის ოპერაცია გაუკეთეს, რამაც ნახევარი წელიწადი დააკარგვინა. "მიუნხენ 1860"-მა უკვე დაიწყო ახალი სეზონისთვის მზადება და მათეს პრობლემები საერთოდ არ შეჰქმნია. დღეს "ცისფერი ლომები" ამხანაგურად სამოყვარულო "მაზინგს" შეხვდებიან. სავარაუდოდ, ღვინიანიძემ დღეს რამდენიმე წუთით უნდა ითამაშოს. მის კონდიციებს კლუბის ექიმები დადებით შეფასებას აძლევენ.



# რატომ არ ჩამოვიდა იზმაილოვი თბილისში?

შემტევი ნახევარმცველი **მარატ იზმაილოვი** წელიწადზე მეტია, მოსკოვის "ლოკომოტივმა" ლისაბონის "სპორტინგში" გაანათხოვრა. ახლა პორტუგალიელებმა ფეხბურთელი საბოლოოდ გამოისყიდეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით იზმაილოვს "სპორტ-ექსპრესმა" ინტერვიუ ჩამოართვა.

ერთ-ერთი კითხვა ჩვენთვის საინტერესო გამოდგა, ჟურნალისტმა ჰკითხა – როგორც ვიცი, შოთა არველაძემ გამოსამშვიდობებელ მატჩზე მიგიწვიათ, მაგრამ თბილისში ჩასვლა ვერ მოახერხეთ და რა იყო ამის მიზეზიო?

*"სამწუხაროდ, თბილისში გამგზავრება გადაუდებელი ოჯახური პრობლემების გამო ვერ მოვახერხე. შოთას უდიდეს პატივს ვცემ, როგორც პიროვნებას და როგორც ფეხბურთელს. სამწუხაროა, რომ ასეთი ფეხბურთელები მიდიან. შემთხვევით ვისარგებლებ და მსურს შოთას ყოველივე საუკეთესო ვუსურვო"*- განაცხადა იზმაილოვმა.

ბევრისთვის უცნობია, სამი წლის წინ, ჯერ კიდევ მოსკოვის "ლოკომოტივში" თამაშისას იზმაილოვმა მენისკის უმძიმესი ტრავმა მიიღო და რუს ექიმებთან მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო, მას არველაძე დაეხმარა და გერმანიაში საუკეთესო ექიმი მიასწავლა. მათი მეგობრობაც იქიდან დაიწყო.

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერები

# მოურინიო: ლემპარდი ინტერში გაისად მოვა

# ლემპარდი: გაისად? ვნახოთ, ვნახოთ...

## მოურინიოს გარანტია მილანელ გულშემატკივრებს, რას მოასწავებს დეკუს ლონდონში გადასვლა...



მოურინიო ლემპარდს მაინც დაელოდება



დეკუ და ჩელსის აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კენიონი

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ **დეკუმ** "ჩელსისთან" კონტრაქტი გააფორმა. პორტუგალიელი ნახევარმცველი **ლუიშ ფეიპე სკოლარის** უმთავრესი სამიზნე იყო. დეკუს ფასდაუდებელი გამოცდილება გააჩნია. მას ორჯერ აქვს მოგებული ჩემპიონთა თასი - 2004 წელს "პორტუში" ჟოზე მოურინიოსთან ერთად და 2006 წელს "ბარსელონაში".

დეკუს მეტსახელად "მაჯიკოს" უწოდებენ. მისი პროფესიული კარიერა "კორინთიანსში" დაიწყო. 1999 წელს დეკუ პორტუგალიაში გადავიდა და მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და თითოჯერ უეფას თასსა და ჩემპიონთა თასს დაეუფლა. 2004 წელს დეკუმ "ბარსელონას" მიაშურა.

ლონდონში ჩასვლის შემდეგ ფეხბურთელმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"დარწმუნებული ვარ, კარგ დროს ჩამოვედი. "ჩელსისთან" ერთად ბევრი ტიტულის მოპოვებას ვაპირებ. შევეცდებით, გუნდი არა მხოლოდ ინგლისში, არამედ ევროპაშიც საუკეთესო იყოს. ვიცი, რომ ჩემპიონთა თასის მოგება ლონდონელთა ოცნებაა."*

ტრანსფერის დეტალები არ გახმაურებულა. სპეკულაციების თანახმად, ლონდონელებს 10 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ. ფეხბურთელი კი ოთხწლიან კონტრაქტზე მოაწერს წელს.

დეკუს შარშანდელი სეზონის უმეტესი ნაწილი გაუცდა. ფეხბურთელს ქრონიკული ტრავმები აწუხებდა. ამის მიუხედავად, პორტუგალიის ნაკრების ექიმებმა სასწაული შეძლეს და ფეხბურთელი ფეხზე დააყენეს. დეკუ პორტუგალიელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

სკოლარი შეგირდის ტრანსფერით კმაყოფილია. მისი მორიგი ამოცანაა ორი ლიდერის, **ფრენკ ლემპარდისა** და **რიკარდო კარვალიოს** შენარჩუნება. გუშინ სეუ ლუიში მუშაობას შეუდგა. მან კლუბის ხელმძღვანელობის წინაშე სწორედ ეს ორი საკითხი დააყენა.

"არისტოკრატებს" ბევრი დრო არა აქვთ. ფეხბურთელები შვებულებიდან ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდებიან. მომდევნო შვიდი დღის განმავლობაში უნდა გადაწყდეს, იყიდის თუ არა "ჩელსი" **რობინიოს**. და საერთოდ, როგორ წარიმართება კლუბის სატრანსფერო კამპანია.

ლემპარდს კონტრაქტში ერთი წელი აქვს დარჩენილი. ფეხბურთელს ხელშეკრულების გაგრძელება ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს შესთავაზეს, მაგრამ მან თავაზიანი უარი განაცხადა. ერთი კვირის წინ იტალიურმა გაზეთებმა მკითხველებს აუწყეს, რომ ლემპარდის "ინტერში" ტრანსფერი გადაწყვეტილი იყო. ისიც კი დაიწერა - **ჟოზე მოურინიომ** შვებულება ხუთი დღით ადრე შეწყვიტა, რათა ლონდონში გაემგზავროს და ყოფილ კლუბთან მოლაპარაკებები პირადად აწარმოოსო. ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. ინგლისელ მიმომხილველებს ნიშანდობლივად ეჩვენათ, რომ ფეხბურთელს სპეკულაციების უარყოფა არ უცდია.

"ჩელსის" პრესსამსახურმა განაცხადა, რომ "ინტერისაგან" ოფიციალური შეთავაზება არ მიუღია. "გაძეტა დელო სპორტმა" ივარაუდა, რომ "ნერაძურის" ნახევარმცველის შეძენა 10 მილიონი ევრო დაუჯდება. ლემპარდი ოჯახის წევრებთან ერთად, იტალიაში ისვენებს. ის პატარა ქალაქ ტაორმინაში იმყოფება. ტაორმინა კატანიის მახლობლად სიცილიაში მდებარეობს. ორიოდე დღის წინ ფრენკმა ბაზარში გაისეირნა. ის დახლებს შორის დაიარებოდა და ნაყინს მიირთმევდა. გულშემატკივრებმა ფრენკი მაშინვე იცნეს და გამოელაპარაკნენ. მაშინვე ჰკითხეს, აპირებდა თუ არა "ინტერში" გადასვლას. ფეხბურთელმა მიუგო: *"ვნახოთ. ისე, აქ მეუღლესა და შვილებთან ერთად დასასვენებლად ჩამოვედი და არავისთან შეხვედრას არ ვაპირებ."*

ლემპარდის მსგავსად, კარვალიოს შეძენაც "ინტერს" უნდა. კარვალიოს შვებულება მხოლოდ ახლა დაეწყო. ის ევროპის ჩემპიონატზე იმყოფებოდა, ამიტომ მინიმუმ ორ კვირას დაისვენებს.

გუშინ მოურინიო ლემპარდთან დაკავშირებულ სპეკულაციებს გამოეხმაურა. მწვრთნელმა აღიარა, რომ ამ ზაფხულს ფრენკის შეძენა გაუჭირდება, მაგრამ იმედს არ დავკარგავთ და მომდევნო შანსს დაველოდებითო. დეკუს ტრანსფერმა ლემპარდთან დაკავშირებული სპეკულაციები კიდევ უფრო გააძლიერა. მოურინიო კი საზოგადოებას სიმშვიდისაკენ მოუწოდებს: *"წელს ალბათ არაფერი გამოგვივა, არა იმიტომ, რომ ფეხბურთელს იტალიაში გადმოსვლა არ უნდა. საქმეს ის ართულებს, რომ "ჩელსის" მისი გაყიდვა არ სურს. გაისად, როდესაც ის თავისუფალი აგენტი გახდება, დარწმუნებული ვარ, რომ მილანში ჩამოვა. 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ 2009-10 წლების სეზონში ის "ინტერის" ფეხბურთელი იქნება."*

ტრანსფერის მოლოდინში

# ვალენსია ვილიას 40 მილიონად აფასებს

## ღამურებმა ბარსელონელთა შეთავაზება უარყვეს, იუვენტუსი ტრეზეგეს შესაძლო ტრანასფერის ამბავს არ ადასტურებს...

"ბარსელონა" **დავიდ ვილიას** შეძენას ცდილობს. ესპანური სააგენტოების მტკიცებით, მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე გაიმართა. კატალონიელებმა "ვალენსიას" 30 მილიონი ევრო შესთავაზეს. "ღამურებმა" მეტოქე თავაზიანი უარით გაისტუმრეს. მათ ათი მილიონით მეტი მოითხოვეს.

ევროს შემდეგ, მიმომხილველები ფასის მომატებას ელიან. ვილიამ ტურნირზე ოთხი გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირი გახდა. დავიდმა ფინალურ მატჩში ვერ ითამაშა, რადგან ნახევარფინალში, რუსეთთან შეხვედრისას მძიმედ დაშავდა.

"ბარსელონა" წარმატების იმედს არ კარგავს. "კამპ ნოუზე" გადასვლა ვილიასაც ძალიან უნდა. ის ვალენსიელებს ტრანსფერში ხელის შეწყობას სთხოვს. ბარსელონელებს **ემანუელ ადებაიორის** შეძენა სურდათ. "არსენალთან" გარიგება არ შედგა. "ბარსა" გაორმაგებული ენერგიით ცდილობს ვილიას დასაკუთრებას.

ვილიას ინგლისიდან რამდენიმე სარფიანი შეთავაზება აქვს. შარშან იანვრისას მას "ჩელსი" ეპატიჟებოდა. **რომან აბრამოვიჩმა** ესპანელი ფორვარდის შეძენა არ ისურვა, რის გამოც მასა და **ჟოზე მოურინიოს** შორის პირველი სერიოზული კონფლიქტი მოხდა. "არისტოკრატებმა" დავიდ ვილია გასულ ზაფხულსაც ახსენეს, მაგრამ ტრანსფერი არც მაშინ შედგა.

მაისის მიწურულს ვალენსიელი თავდამსხმელით "ტოტენჰემი" დაინტერესდა. **ხუანდე რამოსმა** ვალენსიელებს გარიგება შესთავაზა. უცნობია "ღამურების" რეაქცია, როცა შეიტყობენ, რომ ვილიას შესაძენად 30 მილიონი ევროც კი არ არის საკმარისი. სავარაუდოდ, "ტოტენჰემი" ბრძოლას გამოეთიშება.



დავიდ ვილია

ესპანელი მიმომხილველები ასეთ ვარაუდსაც გამოთქვამენ - "ვალენსიას" არ სურს, ვილიას გაყიდვით გულშემატკივრები აიმხედროს. ამიტომაც "ბარსელონასთან" მოლაპარაკებებს ფარულად გამართავსო. სხვა წყაროების მტკიცებით, ვალენსიელები ვილიას უკეთეს ხელფასს შესთავაზებენ იმ იმედით, რომ ის "მესტალიაზე" დარჩება. ამჟამად დავიდ წელიწადში 2 მილიონ ევროს უხდიან. მისი ხელფასი ორჯერ ნაკლებია **ფრანსესკ ფაბრეგასის, ჩაბი ალონსოსა** და **ანდრეს ინიესტას** შემოსავალზე. **ფერნანდო ტორესი** მასზე სულ მთლად სამჯერ მეტს იღებს. თუ "ვალენსია" ევროპის ჩემპიონების შემოსავლებს შორის ამ შეუსაბამობას აღმოფხვრის, შეუძლია, ვილიას შენარჩუნებაზე იოცნებოს. სხვა შემთხვევაში, დავიდს უფრო მაღალ ხელფასს ბარსელონაში დანიშნავენ და "კამპ ნოუზე" უკრავენ თავს.

"ბარსელონა" სათადარიგო ვარიანტზეც მუშაობს. თუ ვილიას ტრანსფერი არ შედგება, კატალონიელები "იუვენტუსს" დაუკავშირდებიან და **დავიდ ტრეზეგეს** სანაცვლოდ **სამუელ ეტოოს** შესთავაზებენ. ერთი თვეა, ფრანგ თავდამსხმელს "ბარსაში" ტრანსფერს უწინასწარმეტყველებენ. კატალონიური გამოცემა "დიარიო სპორტი" იმასაც კი იუწყება, რომ ტრეზეგე **პეპ გუარდიოლას** სიის სათავეშია. დავიდმა სერია A-ს გასულ სეზონში 20 გოლი გაიტანა და კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

რაც შეეხება ეტოოს, მან "ბარსელონის" შემადგენლობაში 136 მატჩი ჩაატარა და 89 გოლი შეაგდო. კამერუნელი ვარსკვლავი იტალიური ვარიანტის განსახილველად მზადაა. "იუვენტუსს" მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. ინფორმაცია ფეხბურთელების შესაძლო გაცვლის თაობაზე არც ბარსელონელებს დაუდასტურებიათ.

სკანდალი

# იულიანო კოკაინზე დაიჭირეს

"იუვენტუსის" ყოფილი მცველი **მარკ იულიანო** კოკაინის მოხმარებაში ამხილეს. ფეხბურთელმა დოპინგტესტი ერთი თვის წინ ჩააბარა. ტესტის პასუხი გუშინ გახმაურდა. ფეხბურთელს უმკაცრესი სასჯელი ელოდება.

იულიანო სერია B-ს "რავენაში" თამაშობს, მაგრამ თუ მას ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, სავარაუდოდ, კარიერის დასრულება მოუწევს. იულიანო 34 წლისაა. მას ყოველთვის მისაბაძ ფეხბურთელად მიიჩნევდნენ. ამიტომ ინფორმაცია იულიანოს ნარკომანობის შესახებ, შოკისმომგვრელი აღმოჩნდა.

იტალიის ოლიმპიური კომიტეტი მოკლე განცხადებით შემოიფარგლა: *"ეს წუთია, რომის ლაბორატორიამ ტესტების შედეგები მოგვაწოდა. მარკ იულიანოს ტესტში კოკაინის კვალი აღმოჩნდა. ანალიზი "რავენისა" და "ჩეზენის" მატჩის შემდეგ გაკეთდა."*

მარკ იულიანომ პროფესიული კარიერა 1990 წელს, "სალერნიტანაში" დაიწყო. 1996 წელს მან "იუვენტუსს" მიაშურა. იულიანომ ტურინულ გრანდში ცხრა სეზონი გაატარა, 187 მატჩი ჩაატარა და 7 გოლი შეაგდო.

2005 წლის ზაფხულში მან "მალიორკას" მიაშურა. ესპანეთში გატარებული ერთი წლის შემდეგ კვლავ იტალიაში დაბრუნდა და "სამპდორიაში" ჩაირიცხა. ტრავმების გამო, იულიანოს თითქმის მთელი სეზონი გაუცდა. მან გენუელთა შემადგენლობაში მხოლოდ ოთხჯერ ითამაშა.

ასეთივე უსახური აღმოჩნდა მომდევნო სეზონი "მესინაში". საბოლოოდ, იულიანომ "რავენას" მიაშურა და აი, დიდ სკანდალშიც გაყო თავი. ფეხბურთელს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

# ბერბატოვი: 23 მილიონად ფერგისთან

**სერ ალექს ფერგიუსონს დიმიტარ ბერბატოვის** შესაძენად 23 მილიონი გირვანქა გამოუყვეს. "ეშმაკები" ლიონელ **ქარიმ ბენზემას** ეპატიჟებოდნენ, მაგრამ გარიგება არ შედგა. საფრანგეთის ჩემპიონებმა იმდენად დიდი კომპენსაცია მოითხოვეს, რომ "იუნაიტედმა" მოლაპარაკებების გაგრძელება ზედმეტად მიიჩნია. "მანჩესტერს" ბერბატოვის შეძენა ერთი წლის წინაც სურდა. მაშინ გარიგება არ შედგა. საკითხი ხელახლა დაისვა დღის წესრიგში. ფერგის ბერბატოვი **კარლოს ტევესისა** და **უეინ რუნის** დუბლიორად სჭირდება. ფეხბურთელს "მანჩესტერში" გადასვლა ძალიან უნდა, მაგრამ უცნობია, აწყობს თუ არა როლი, რომელსაც მას "ოლდ ტრეფორდზე" უმზადებენ. კლუბებს მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაუკეთებიათ.

# უიფალუში ატლეტიკოში ჩაირიცხა

"ატლეტიკომ" ჩეხეთის ნაკრების მცველი **ტომაშ უიფალუში** გადაიბირა. ესპანელებმა მას სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია. უიფალუშმა გასული სეზონი "ფიორენტინაში" გაატარა. მისმა გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგის საგზური მიიღო. ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ რაუნდში ითამაშებს "ატლეტიკოც". უიფალუშს ფლორენციელებთან კონტრაქტი 30 ივნისს ამოეწურა და მადრიდში უკომპენსაციოდ გადავიდა. უიფალუში ევროპის ჩემპიონატზე ჩეხეთის ნაკრების კაპიტანი იყო. მის გარდა, "ატლეტიკომ" ჰოლანდიის ნაკრების მცველ **ჯონი ჰეიტინგასაც** გაუფორმა კონტრაქტი. რიგში დგანან "ლიონის" მეკარე **გრეგორი კუპე**, აგრეთვე ბრაზილიელი თავდამსხმელი **რიკარდო ოლივეირა**, რომელიც სეგუნდა დივიზიონში გავარდნილი "სარაგოსის" საკუთრებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A 2008/09. ტრანსფერები

# ვიერი ისევ ატალანტაში

ევროპის ჩემპიონატი დასრულდა და დროა, ტრანსფერებზე საფუძვლიანად გადავერთოთ. ზაფხულის მთავარი სალაპარაკო-გასარჩევი თემა ახლა სწორედ ესაა. მართალია, სატრანსფერო სპეკულაციებზე ევროპირველობის დღეებშიც ვწერდით, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, არა იმ ინტენსივობით, როგორც ჩვეულებრივ პირობებში ხდება...

ვნახოთ, რა ხდება იტალიურ ბაზარზე. იქაური კლუბები აქტიურ მოძრაობაში არიან. ზოგმა ახალი მოთამაშეები უკვე დაიბევა, ზოგმა გაასხვისა და შევსებას ელოდება... მოკლედ, ნორმალური საზაფხულო ფუსფუსია. თუ მიმდინარე მოვლენებს გავაანალიზებთ, მომავალი სეზონიდან სერია A-ს ხარისხი მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს. რატომ? იმიტომ, რომ იტალიურ კლუბებს, თუ არ ჩავთვლით "მილანის" ბოლო ორ სალიგო ფინალს, მზერა ევროწარმატებებისკენ უჭირავთ და სატრანსფერო სტრატეგიაც სწორედ ამის მიხედვით იგეგმება. "ინტერი", "რომა" და "იუვენტუსი" ხმამაღლა აცხადებენ, რომ მომავალ სეზონში მიზნად ჩემპიონთა ლიგის მოგებას ისახავენ, "როსონერის" მთავარი ამოცანა კი, ალბათ, სკუდეტოს დალაშქვრა იქნება...

ერთი სიტყვით, გადავხედოთ მიმდინარე სიტუაციას...



### ატალანტა

**მივიდნენ:** კრისტიან ვიერი (თავ, ფიორენტინა), ხაიმე ვალდესი (ნახ, ლეჩე/ჩილე), მარინო დეფენდი (თავ, კიევო), მიკელე რინალდი (მცვ, უდინეზე), კრისტიან ტიბონი (თავ, უდინეზე), ლუიზიტო კამპიზი (ნახ, მასეზე).

**წავიდნენ:** ანტონიო ლანჯელა (თავ, უდინეზე), მორის კაროციერი (მცვ, პალერმო), ფერნანდო ტისონე (ნახ, უდინეზე).

**მოლაპარაკება:** მიკელე ანაკლერიო (მცვ, პიაჩენცა), ფედერიკო პელუზო (მცვ, ალბინოლეფე), დანიელე კაჩა (თავ, პიაჩენცა), ნიკოლას კორდოვა (ნახ, მესინა), ვიტორ უგო პელე (ნახ, ინტერი), დიორდ დარიჩი (მცვ, ნაპოლი), ვიქტორ ობინა (თავ, კიევო).

*მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი*

### ბოლონია

**მივიდნენ:** კრისტიან ძენონი (მცვ, სამპდორია), სერჯო ვოლპი (ნახ, სამპდორია), მარკო ბერნაჩი (თავ, ასკოლი), გაბრიელე პანესა (თავ, აველინო), მასიმო კოდა (თავ, კროტონე).

**წავიდნენ:** დავიდე დი ჯენარო (თავ, ჯენოა), კრისტიან ბუკი (თავ, ნაპოლი).

**მოლაპარაკება:** სტეფანო გუბერტი (ნახ, ასკოლი), სიმონე პეშე (ნახ, ასკოლი), ედისონ კავანი (თავ, პალერმო), ტომას ლოკატელი (ნახ, სიენა), დარიო როდრიგესი (ნახ, პენიაროლი/ურუგვაი), დიეგო კოელიო (მცვ, ატლეტიკო მინეირო/ბრაზილია), ფრედი ადუ (თავ, ბენფიკა).

*მწვრთნელი: დანიელე არიგონი*

### კალიარი

**მივიდნენ:** დავიდე ასტორი (მცვ, კრემონეზე), ფედერიკო მარკეტი (მეკ, ალბინოლეფე), ჯო ბისერა (მცვ, მაკაბი თელ-ავივი/ურუგვაი), ვინჩენცო მარუოკო (მეკ, რავენა).

**წავიდნენ:** მარკო სტორარი (მეკ, მილანი), ლუკა კაპეკი (მეკ, რავენა), დავიდე მარკინი (ნახ, ტრიესტინა).

**მოლაპარაკება:** პასკუალე ფოჯა (ნახ, ლაციო), ფაბრიციო ძამბრელა (ნახ, ბრეშა), ვალტერ ბრესანი (მეკ, სვინკოლატო).

*მწვრთნელი: მასიმო ალეგრი (ახალი)*

### კატანია

**მივიდნენ:** ხულიან დი კოზმო (თავ, ვირტუსი/არგენტინა), ტომაშ კოსიცკი (მეკ, ინტერი ბრატისლავა/სლოვაკეთი), ეზეკილ კარბონი (მცვ, ზალცბურგი/არგენტინა), პაბლო ლედესმა (ნახ, ბოკა ხუნიორსი), მირკო დ'ელია (თავ, ფრანკავილა), ანდერსო ბაბუ (თავ, ტრიესტინა/ბრაზილია), მიკელე პაოლუჩი (თავ, ატალანტა), ნიკულაე დიკა (თავ, სტიაუა/რუმინეთი), ანდრეა კატელანი (თავ, რეჯანა).

**წავიდნენ:** ჯენეროზო როსი (მეკ, ტრიესტინა), ინასიო პია (თავ, ნაპოლი).

**მოლაპარაკება:** დანიელე კაჩა (თავ, პიაჩენცა), დავიდე სუჩი (თავ, რავენა).

*მწვრთნელი: ვალტერ ძენგა*

### კიევო

**მივიდნენ:** ნიკოლას ფრეი (მცვ, მოდენა/საფრანგეთი), მაიკოლ ანდრიანი (ნახ, სანსოვინო), მაჰამეტ დიაგურაგა (მცვ, მასეზე/საფრანგეთი), მარკუს ნ'ზე კუასი (მცვ, სანსოვინო/განა).

**წავიდნენ:** ალეანდრო როზი (ნახ, რომა), მარინო დეფენდი (თავ, ატალანტა), ანჯელო ანტონაცო (მცვ, ფროზინონე).

**მოლაპარაკება:** ფრანჩესკო ტავანო (თავ, ლივორნო), დანიელე კაჩა (თავ, პიაჩენცა), დიორდ გარიჩი (მცვ, ნაპოლი), ნიკოლას კორდოვა (ნახ, მესინა), ფრანჩესკო ტოლდო (მეკ, ინტერი), ბიაჯო პაგანო (მცვ, რიმინი), დანიელე კაპელი (მცვ, ატალანტა), ხოსე იგნასიო კასტილიო (თავ, პიზა), გაეტანო დე როზა (მცვ, ჯენოა).

*მწვრთნელი: ჯუზეპე იაკინი*

### ფიორენტინა

**მივიდნენ:** სტევან იოვეტიჩი (თავ, პარტიზანი ბელგრადი/ჩერნოგორია), ფელიპე მელუ (ნახ, ალმერია/ბრაზილია), ალბერტო ჯილარდინო (თავ, მილანი), ნიკოლა გულანი (ნახ, სამპდორია/სერბეთი), მიკელე დ'ამბროზიო (ნახ, პოტენცა).

**წავიდნენ:** ტომაშ უიფალუში (მცვ, ატლეტიკო), ფაბიო ლივერანი (ნახ, პალერმო), ალესანდრო პოტენცა (მცვ, ჯენოა), სამუელ დი კარმინე (თავ, ქუინზ პარკი), კრისტიან ვიერი (თავ, ატალანტა), დანიელე კაჩა (თავ, პიაჩენცა).

**მოლაპარაკება:** ხუან მანუელ ვარგასი (ნახ, კატანია), ჯანლუკა კომოტო (მცვ, ტორინო), ანტონი რევეიერი (მცვ, ლიონი), ნიკოლას ბურდისო (მცვ, ინტერი), სერხიო ალმირონი (ნახ, იუვენტუსი), მაურიციო დომიცი (მცვ, ნაპოლი), უგო კამპანიარო (მცვ, სამპდორია), მაკდონალდ მარიგა (ნახ, პარმა), ანჯელო პალომბო (ნახ, სამპდორია), ანდრეა მანტოვანი (მცვ, კიევო).

*მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი*

### ჯენოა

**მივიდნენ:** დიეგო პოლენტა (მცვ, დანუბიო/ურუგვაი), ფრანჩესკო მოდესტო (მცვ, რეჯინა), დავიდე დი ჯენარო (ნახ, ბოლონია), ანდრეა გასბარონი (თავ, პარმა), ალესანდრო პოტენცა (მცვ, ფიორენტინა), ჯუზეპე ბიავა (მცვ, პალერმო), სალვატორე ბოკეტი (მცვ, ფროზინონე), რაფაელე პალადინო (თავ, იუვენტუსი), ჯანდომენიკო მესტო (მცვ, უდინეზე).

**წავიდნენ:** მარკო ბორიელო (თავ, მილანი), ჩეზარე ბოვო (მცვ, პალერმო), აბდულაი კონკო (მცვ, სევილია), სანტოს გლეისონი (მცვ, რეჯინა).

**მოლაპარაკება:** როლანდო ბიანკი (თავ, ლაციო).

*მწვრთნელი: ჯან პიერო გასპერინი*

### ინტერი

**მივიდნენ:** ადრიანო (თავ, სან პაულო/ბრაზილია), ალვარო რეკობა (თავ, ტორინო/ურუგვაი).

**წავიდნენ:** ნუნუ მანიშე (ნახ, ატლეტიკო).

**მოლაპარაკება:** ფრენკ ლემპარდი (ნახ, ჩელსი), რიკარდო კარვალიო (მცვ, ჩელსი), დიდიე დროგბა (თავ, ჩელსი), ალექსანდრ გლები (ნახ, არსენალი), სამუელ ეტო'ო (თავ, ბარსელონა), რიკარდო კვარეშმა (ნახ, პორტუ), ამანტინო მანსინი (თავ, რომა), ალბერტო აკვილანი (ნახ, რომა).

*მწვრთნელი: ჟოზე მოურინიო (ახალი)*

### იუვენტუსი

**მივიდნენ:** ოლოფ მელბერგი (მცვ, ასტონ ვილა/შვედეთი), სებასტიან ჯოვინკო (ნახ, ემპოლი), კლაუდიო მარკიზიო (ნახ, ემპოლი), ალბინ ეკდალი (ნახ, ბრომაპოიკარნა), კარვალიო ამაური (თავ, პალერმო/ბრაზილია), პაოლო დე ჩელიე (ნახ, სიენა), რეი ვოლპატო (თავ, ემპოლი), დარიო კნეჟევიჩი (მცვ, ლივორნო/ხორვატია).

**წავიდნენ:** ანტონიო ნოჩერინო (ნახ, პალერმო), გილერმო სტენდარდო (მცვ, ლაციო), რაფაელე პალადინო (თავ, ჯენოა).

**მოლაპარაკება:** ჩაბი ალონსო (ნახ, ლივერპული), დეიან სტანკოვიჩი (ნახ, ინტერი).

*მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი*

### ლაციო

**მივიდნენ:** ხუან პაბლო კარისო (მეკ, რივერ პლეიტი/არგენტინა), სიმონე ინძაგი (თავ, ატალანტა), გილერმო სტენდარდო (მცვ, იუვენტუსი), პასკუალე ფოჯა (ნახ, კალიარი), მაური სარატე (თავ, ბირმინგემ სიტი/არგენტინა),

**წავიდნენ:** როლანდო ბიანკი (თავ, მანჩესტერ სიტი).

**მოლაპარაკება:** სიმონე ბარონე (ნახ, ტორინო), აუგუსტო ფერნანდესი (მცვ, რივერ პლეიტი), კოზმინ მოტი (მცვ, დინამო ბუქარესტი), დარიო დაინელი (მცვ, ფიორენტინა), ხონას გუტიერესი (ნახ, მალიორკა), როდრიგო პალასიო (თავ, ბოკა ხუნიორსი), ნიკოლა ამორუზო (თავ, რეჯინა), ბრუნო ფორნაროლი (თავ, ნასიონალი მონტევიდეო), მარკო ჩელინი (თავ, ალბინოლეფე).

*მწვრთნელი: დელიო როსი*

### ლეჩე

**მივიდნენ:** ფრანკ ფელტშერი (ნახ, გრასჰოპერსი/შვეიცარია).

**წავიდნენ:** ხაიმე ვალდესი (თავ, ატალანტა).

**მოლაპარაკება:** ფაბრიციო მიკოლი (თავ, პალერმო), ჯენარო დელვეკიო (ნახ, სამპდორია), ანდრეა რუსოტო (თავ, ბელინცონა), ტომას ლოკატელი (ნახ, სიენა), მანუელ კოპოლა (ნახ, სიენა), ჰუსეინ ხარჯა (ნახ, სიენა), სტეფანო ოკაკა-ჩუკა (თავ, რომა), ბრუნო ფორნაროლი (თავ, ნასიონალი მონტევიდეო), დანიელე კაჩა (თავ, პიაჩენცა), ბერნარდო კორადი (თავ, პარმა), ედისონ კავანი (თავ, პალერმო).

*მწვრთნელი: მარიო ბერეტა (ახალი)*

### მილანი

**მივიდნენ:** მატიო ფლამინი (ნახ, არსენალი/საფრანგეთი), მარკო ბორიელო (თავ, ჯენოა), კრისტიან აბიატი (მეკ, ატლეტიკო), ჯანლუკა ძამბროტა (მცვ, ბარსელონა), ლუკა ანტონინი (ნახ, ემპოლი), ინაციო აბატე (ნახ, ემპოლი), მარკო სტორარი (მეკ, კალიარი).

**წავიდნენ:** ალბერტო ჯილარდინო (თავ, ფიორენტინა), იოან გურკუფი (ნახ, ბორდო), მარკუშ კაფუ (მცვ, კონტრაქტი დაუმთავრდა), სერჟინიო (მცვ, კონტრაქტი დაუმთავრდა), ვილი ობამეიანგი (თავ, დიჟონი).

**მოლაპარაკება:** რონალდინო (თავ, ბარსელონა/ბრაზილია), სამუელ ეტო'ო (თავ, ბარსელონა/კამერუნი), ემანუელ ადებაიორი (თავ, არსენალი/ტოგო).

*მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი*

### ნაპოლი

**მივიდნენ:** ლეანდრო რინაუდო (მცვ, პალერმო), კრისტიან მაჯო (ნახ, სამპდორია), ხერმან დენისი (თავ, ინდეპენდიენტე/არგენტინა).

**წავიდნენ:** რობერტო სოსა (თავ, ხიმნასია ლა-პლატა), ერმინიო რულო (მცვ, ტრიესტინა).

**მოლაპარაკება:** მარეკ ჩეხი (მცვ, პორტუ), ბრუნო ფორნაროლი (თავ, ნასიონალი მონტევიდეო/ურუგვაი), ალესანდრო დიამანტი (თავ, ლივორნო), ფრანჩესკო ტავანო (თავ, ლივორნო), ფრანკო ბრიენცა (თავ, რეჯინა), პაბლო გრანოკე (თავ, ტრიესტინა), ფერნანდო მარტინესი (ნახ, ატლეტიკო ტიგრე/მექსიკა), ლუკა ჩიგარინი (ნახ, პარმა), სალვატორე არონიკა (მცვ, რეჯინა).

*მწვრთნელი: ედოარდო რეია*

### პალერმო

**მივიდნენ:** სიმონ კიაერი (მცვ, მიდტიულანდი/დანია), დე მელუ (თავ, ლე მანი), ანდრეა რაჯი (მცვ, ემპოლი), ფაბიო ლივერანი (ნახ, ფიორენტინა), დავიდე ლანცაფამე (თავ, ბარი), ანტონიო ნოჩერინო (ნახ, იუვენტუსი), იგორ ბუდანი (თავ, პარმა/ხორვატია), მარკო ამელია (მეკ, ლივორნო), ჩეზარე ბოვო (მცვ, ჯენოა), მორის კაროციერი (მცვ, ატალანტა).

**წავიდნენ:** ანდრეა ბარცალი (მცვ, ვოლფსბურგი), კრისტიან ძაკარდო (მცვ, ვოლფსბურგი), კარვალიო ამაური (თავ, იუვენტუსი), ლეანდრო რინაუდო (მცვ, ნაპოლი), ჯუზეპე ბიავა (მცვ, ჯენოა).

**მოლაპარაკება:** სერჯო ფლოკარი (თავ, ატალანტა), ბრუნო ფორნაროლი (თავ, ნასიონალი მონტევიდეო/ურუგვაი).

*მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო*

### რეჯინა

**მივიდნენ:** ანტონიო რიცო (მცვ, პერუჯა), ფაბიანო (მცვ, ჯენოა/ბრაზილია), სანტოს გლეისონი (მცვ, ჯენოა/ბრაზილია).

**წავიდნენ:** ფრანჩესკო მოდესტო (მცვ, ჯენოა), ჯანდომენიკო მესტო (ნახ, ჯენოა).

**მოლაპარაკება:** ალბერტო პალოსკი (თავ, მილანი), კარლოს კარმონა (ნახ, ო'ჰიგინსი/მექსიკა), ემილიანო ბონაცოლი (თავ, სამპდორია), ნიკოლა პოცი (თავ, ემპოლი), ალესანდრო პელიკორი (თავ, აველინო), ბერნარდო კორადი (თავ, პარმა), მატია მორანდი (ნახ, ლენიანო), ტრევორ ტრევიზანი (მცვ, პიზა).

*მწვრთნელი: ნევიო ორლანდი*

### რომა

**მივიდნენ:** ვინჩენცო მონტელა (თავ, სამპდორია), ალესიო ჩერჩი (თავ, პიზა), ჯონ არნე რიისე (მცვ, ლივერპული/ნორვეგია), სიმონე ლორია (მცვ, სიენა), სტეფანო ოკაკა-ჩუკა (მცვ, მოდენა), ალეანდრო როზი (ნახ, კიევო), გილერმო არტური (მეკ, სიენა).

**წავიდნენ:** აჰმედ ბარუსო (ნახ, სიენა), ჯანლუკა კურჩი (მეკ, სიენა).

**მოლაპარაკება:** ანტონიო დი ნატალე (თავ, უდინეზე), ვინჩენცო იაკვინტა (თავ, იუვენტუსი), კლაას იან ჰუნტელაარი (თავ, აიაქსი), ჟერემი მატიო (ნახ, ტულუზი), ფრედი (თავ, ლიონი).

*მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი*

### სამპდორია

**მივიდნენ:** არავინ

**წავიდნენ:** სერჯო ვოლპი (ნახ, ბოლონია), კრისტიან მაჯო (ნახ, ნაპოლი), ვინჩენცო მონტელა (თავ, რომა), კრისტიან ძენონი (მცვ, ბოლონია).

**მოლაპარაკება:** სერხიო ალმირონი (ნახ, იუვენტუსი), მარკო მოტა (მცვ, ტორინო), ინაციო აბატე (ნახ, ემპოლი), გაბი მუდინგაი (ნახ, ლაციო), მარიუს სტანკიავიჩუსი (ნახ, ბრეშა), ნიკოლა ამორუზო (თავ, რეჯინა), ჯამპიერო პინცი (ნახ, უდინეზე), ალესანდრო მატრი (თავ, კალიარი), პაბლო კაბალიერო (თავ, ნასიონალი მონტევიდეო).

*მწვრთნელი: ვალტერ მაძარი*

### სიენა

**მივიდნენ:** ანტონიო ციტო (ნახ, ტარანტო), მანუელ მანჩინი (ნახ, ტარანტო), ჯანლუკა კურჩი (მეკ, რომა), აჰმედ ბარუსო (ნახ, რომა/განა), გონკალვო ჟარდიმ ბრანდაუ (მცვ, ბელენენსეში/პორტუგალია).

**წავიდნენ:** პაოლო დე ჩელიე (ნახ, იუვენტუსი), სიმონე ლორია (მცვ, რომა), ფერნანდო ფორესტიერი (თავ, ჯენოა), ენრიკო კიეზა (თავ, ფილინე), გილერმო არტური (მეკ, რომა).

**მოლაპარაკება:** ემანუელ კალაიო (თავ, ნაპოლი), პაოლო ბიანკო (მცვ, კალიარი), გილერმე სიკეირა (ნახ, უდინეზე), მარკო ანდრეოლი (მცვ, რომა), აბდელ გეზალი (თავ, ჯენოა).

*მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო (ახალი)*

### ტორინო

**მივიდნენ:** ანჯელო ოგბონა (მცვ, კროტონე), ელვის აბრუსკატო (თავ, ლეჩე), მარკო მორო (თავ, მესინა), მატია დე სტეფანო (მცვ, პავია).

**წავიდნენ:** მარკო მოტა (მცვ, უდინეზე), პაოლო ერნან დელაფიორე (მცვ, პალერმო), მარკო პიზანო (მცვ, პალერმო), ალვარო რეკობა (თავ, ინტერი).

**მოლაპარაკება:** ნიკოლა პოცი (თავ, ემპოლი), პედრო ჟერომელი (მცვ, გიმარაეში), ადამ კოკოშკა (მცვ, ვისლა), ივან კლასნიჩი (თავ, ვერდერი), სანტიაგო მორეტო (მცვ, ტიგრე), მარიუს სტანკიავიჩუსი (მცვ, ბრეშა), ვალტერ ბრესანი (მეკ, სვინკოლატო).

*მწვრთნელი: ჯანი დე ბიაზი (ახალი)*

### უდინეზე

**მივიდნენ:** ანტონიო ლანჯელა (თავ, ატალანტა), ალექსის სანჩესი (თავ, რივერ პლეიტი/ჩილე), დანიელ ბრადასკია (თავ, ტრევიზო), ჯოვანი პასკუალე (მცვ, ლივორნო), გაეტანო კალა (მცვ, მესინა), ფერნანდო ტისონე (ნახ, ატალანტა/არგენტინა).

**წავიდნენ:** ტომაშ ზივოკი (ნახ, ბეშიქთაში), ანტონიო კანდრევა (ნახ, ლივორნო), ანდრეა მილიორინია (მცვ, ლივორნო), ანდრეა დოსენა (მცვ, ლივერპული), ფედერიკო ლაურიტო (თავ, ლივორნო), ჯანდომენიკო მესტო (მცვ, ჯენოა).

**მოლაპარაკება:** ფერნანდო ფორესტიერი (თავ, სიენა).

*მწვრთნელი: პასკუალე მარინო*

ინტერვიუ იოახიმ ლიოვთან

# გერმანია ამაყობს ვიცე-ჩემპიონობით

## მომდევნო მიზანი: ორი წლის შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონობა



იოახიმ ლიოვი ბრანდენბურგის კარიბჭესთან, ფანებთან შეხვედრის დროს

ვენიდან სამშობლოში დაბრუნებულმა, ევროპის ჩემპიონატის ფინალში დამარცხებულმა გერმანიის ნაკრებმა, ორშაბათს, ნაშუადღევს ბერლინში, ბრანდენბურგის კარიბჭესთან კონტინენტის ვიცე-ჩემპიონობობა იზეიმა. ალემან ფეხბურთელებთან და მათთან გამოსამშვიდობებლად 100 000-მდე გერმანელი ქომაგი შეიკრიბა. ერთი სიტყვით, გერმანელებმა ვიცე-ჩემპიონობა ჩემპიონებზე არანაკლებ იზეიმეს და თუკი ფეხბურთელებს კვირას სახეები ჩამოსტიროდათ, ორშაბათს თითოეული მათგანი ძალიან კარგ ხასიათზე იყო.

კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ბუნდესგუნდის ქომაგთა უსაყვარლესი ფეხბურთელი ბასტიან შვაინშტაიგერია, რადგან ფანები ამ უკანასკნელს ყველაზე დიდი ოვაციებით შეხვდნენ. 100 000 გულშემატკივარი თითოეულ ფეხბურთელს მიესალმა, ყოველმა მათგანმა თავისი სიტყვა წარმოსთქვა. ლუკას პოდოლსკიმ იმღერა, მიხაელ ბალაკმა ფანებს ამცნო, რომ სულ მალე, მიუნხენში ქორნილს გადაიხდის და სიმონესთან შეუღლდება. ჩინებულ ხასიათზე იყო შვაინიც, რომელიც კვირას ცრემლებს ღვარღვარებდა. *"გუშინ, ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავით. დღეს კი, თქვენ რომ გხედავთ, თავს ძალიან კარგად ვგრძნობთ. დიდი მადლობა ასეთი მხარდაჭერისთვის. თქვენს გარეშე ვერაფერს მივაღწევდით,"* - ასე მიმართა შვაინშტაიგერმა ქომაგებს.

დამარცხებულები არ ზეიმობენ ხოლმეო, ამბობენ ის გულშემატკივრები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ გერმანიის ნაკრებს სიხარულის საფუძველი არა აქვს. რა თქმა უნდა, მიღწევაა ის, რომ გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა, მაგრამ როდესაც ფინალში წაგებული გუნდი მეორე დღეს ზეიმობს, მღერის და ცეკვავს, ეს როგორღაც ულამაზო ფაქტია.

"ბილდის" კორესპონდენტმა, იოახიმ ლიოვთან ინტერვიუ სწორედ ამ კითხვით დაიწყო:

**- ისე იზეიმეთ, როგორც ევროპის ჩემპიონებმა. ჰერ ლიოვ, ხომ არ გგონიათ, რომ გერმანიის ნაკრები კონტინენტის ჩემპიონი გახდა?**

- ბერლინში ხალხმა შესანიშნავი დახვედრა მოგვიწყო. აეროპორტიდან ბრანდენბურგის კარიბჭემდე, ათასობით ადამიანი ტაშს გვიკრავდა და აპლოდისმენტებით გვამკობდა. განწყობა ისეთი იყო, თითქოს მართლაც ევროპის ჩემპიონები გავხდით. ყოველ შემთხვევაში, ჩვენმა ფანებმა ესპანელებზე არანაკლები დახვედრა მოგვიწყვეს. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ არ ვართ ევროპის ჩემპიონები.

**- ფინალის შემდეგ ისე ხომ არ გამოთვერით, რომ ფეხბურთელებს შესთავაზეთ, ამიერიდან შენობით მოგმართონ?**

- შედარებით ასაკოვანი მოთამაშეები, მაგალითად მიხაელ ბალაკი, ტორსტენ ფრინგსი და იენს ლემანი ყოველთვის შენობით მომმართავენ. 2004 წლიდან ასეა და ეს ჩვეულებრივი ამბავია. რაც შეეხება ფინალის შემდგომ ღამეს. რა თქმა უნდა, ყველანი ერთად ვიყავით, ვივახშმეთ, ცოტაც დავლიეთ. მაგრამ მარცხით მოყენებული ჭრილობა ორშაბათამდე ვერ მოვიშუშეთ. განსაკუთრებით საშინელი გრძნობა იმ დროს დაგვეუფლა, როცა ერნსტ-ჰაპელ-შტადიონის მიდამოებს ვტოვებდით. ფინალში წაგებამ განსაკუთრებით ძლიერი და ხანგრძლივი ტკივილი იცის.

**- დაჯილდოვების ცერემონიალზე, მედლის მისაღებად ძალიან სწრაფად გაემართეთ. ალბათ გსურდათ, რომ ის ყველაფერი მალე დამთავრებულიყო...**

- არა, უეფას პროტოკოლში ეწერა ასე. მანამდე ანგელა მერკელი მესაუბრა და მითხრა, შეგიძლია იამაყო, გერმანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე შესანიშნავად იასპარეზაო.

**- მსოფლიო პრესამ და საერთაშორისო ექსპერტებმა ბუნდესგუნდის მიერ ფინალში ნაჩვენები თამაში ძალიან გააკრიტიკეს. კრიტიკა განსაკუთრებით დაცვის ხაზს შეეხ.ო. ეთანხმებით თუ არა საერთო მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გერმანიის ნაკრებს ასეთი სუსტი დაცვა არასდროს ჰყოლია?**

- ამ მოსაზრებას ნამდვილად არ ვეთანხმები. ფინალში, პირველი 15 წუთის განმავლობაში ძალიან კარგად ვითამაშეთ და მინდოდა, რომ ბოლომდე ასე გაგრძელებულიყო, მაგრამ მერე უპირატესობა ესპანელებმა მოიპოვეს. მეტოქეს შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს, ესპანეთის ნაკრების ყველაზე ძლიერი რგოლი კი ნახევარდაცვაა, სადაც ფაბრეგასი, ჩავი და ინიესტა სრულ კონტროლს ამყარებენ. მოკლედ, ესპანელებმა გვაჯობეს და ამის აღიარება არავის უჭირს.

**- როდის გადაგეწურათ იმედი, როდის იგრძენით, რომ ტიტული დაკარგული იყო?**

- მეორე ტაიმის შუაში მივხვდი, რომ ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ უდიდესი "ძალადობის" შედეგად შეგვეძლო. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა.

**- ბუნდესგუნდი მწვერვალისგან ისევ ძალიან შორსაა?**

- ჩვენ ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავედით, ეს ტურნირი კი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საუკეთესოა. კონტინენტის პირველობის ფინალში გასვლა საკმაოდ დიდი მიღწევაა და თუ დააკვირდებით, გერმანიის ნაკრები ბოლო ორ წელიწადში ძალიან სტაბილური გუნდი გახდა. თუმცა გამოსასწორებელი კიდევ ბევრია. მომავალში ესპანურ ხარს რქებში უნდა ვწვდეთ და ძირს დავაგდოთ.

**- ბალაკი, ფრინგსი, ლემანი - 2010 წლის მუნდიალზე სამივე ითამაშებს თუ ნელ-ნელა ახალი გუნდის შენებას დაიწყებთ? იქნება სერიოზული გარდატეხები?**

- ბალაკი და ფრინგსი ჯერ კიდევ დამშეული ლომები არიან. ეჭვი არ მეპარება, რომ 2010 წლის მუნდიალზე ორივეს ვიხილავთ. ბასტიან შვაინშტაიგერს, ლუკას პოდოლსკისა და ფილიპ ლამს ჯერ ზენიტისთვის არ მიუღწევიათ და მათგან კიდევ ძალიან ბევრი რამ არის მოსალოდნელი. იენს ლემანს ჯერ ჩემთვის არ უთქვამს, რომ სანაკრებო კარიერის დასრულება სურს. უახლოეს მომავალში მასთან შეხვედრა მექნება და ყველაფერზე დავილაპარაკებთ. ფაქტია, რომ 2010 წლამდე კიდევ არაერთ ახალ ფეხბურთელს გამოვცდით, ყველას მივცემთ თავის გამოჩენისა და დამკვიდრების შანსს. მაგრამ ტოტალური გარდატეხა არ იქნება, ახალი გუნდის აშენება საჭირო არ არის. ამ გუნდმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ძალიან კარგად იასპარეზა. ამასთან, ბუნდესგუნდი ერთადერთი ნაკრებია, რომელიც მუნდიალზეც და ევროზეც ნახევარფინალში იყო. ამით უნდა ვამაყობდეთ.

**- დროის უკან დაბრუნება რომ შეგვეძლოს, რომელიმე გადაწყვეტილებას შეცვლიდით?**

- დიახ. ახლა ვფიქრობ, რომ ნახევარფინალში, თურქეთთან 4-4-2-ით უნდა გვეთამაშა და არა ხუთი ნახევარმცველით. ასე მეტოქეს მძიმე წნეხის ქვეშ მოვაქცევდით და დიდხანს აღარ ვინერვიულებდით. თუმცა ფინალში მაინც გავედით და ახლა ამის გამო ტრაგედიას არ ვქმნი.

**- მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა აწუხებდა, ბალაკმა ფინალში მაინც ითამაშა...**

- ექიმებმა მიხაელს მწვანე აუნთეს და რატომ არ უნდა ეთამაშა? მინდოდა, რომ გადაწყვეტილება ძალიან სწრაფად, შუადღემდე მიგველო, რათა დანარჩენ ფეხბურთელებს ძალიან არ ენერვიულათ და მშვიდად ყოფილიყვნენ. ასეც მოხდა.

**- თქვენს კონტრაქტს ვადა 2010 წლამდე აქვს. ახლავე ხომ არ გსურთ მისი გახანგრძლივება?**

- არა, ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ. გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტის თემაზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა. ეს მაშინ უნდა მოხდეს, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი დასრულდება.

**გოტფრიდ ლენცი**

ბუნდესკაპიტანი

# მუდმივად ვიცე

## ზედმეტს სთხოვენ თუ უბრალოდ, არ უმართლებს?

ევროპის ჩემპიონატის ფინალის შემდეგ, ფრანგული გაზეთი Le Parisien წერდა, **მიხაელ ბალაკი** უიღბლო კაპიტანიაო. მან ისევ ვერ შესძლო საერთაშორისო ტიტულის მოგება და იძულებული გახდა, კვლავ ვიცე-ჩემპიონობით დაკმაყოფილებულიყო. ბალა იმედგაცრუებული და ემოციებისგან დაცლილი იდგა და უყურებდა კვარცხლბეკს, სადაც ესპანელებს ოქროს მედლებით აჯილდოვებდნენ.

ბალაკს უკვე შეარქვეს "მუდმივი ვიცე" - მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ტიტული მოგებული აქვს. მაგრამ მეორე ადგილზე გაცილებით ხშირად გადიოდა - თავად განსაჯეთ, ეს ბალაკისთვის რიგით მე-10 ვიცე-ჩემპიონობაა. მხოლოდ ამ სეზონში მან სამ ტურნირზე დაიკავა მეორე ადგილი: ინგლისის ჩემპიონატზე, ჩემპიონთა ლიგაში და ევროპის ჩემპიონატზე.

ბალაკი თვით უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინისაც** შეეცოდა: მან ბუნდესკაპიტანი გულში ჩაიკრა. *"ბალა ძალიან ცუდ ხასიათზე იყო. ფინალის შემდეგ, ფაქტობრივად, აღარაფერი უთქვამს, საერთოდ არ ლაპარაკობდა. ვიცი, რომ მას ყველაზე მეტად დასწყდა გული და ყველაზე მეტად გაუცრუვდა იმედი. ძალიან ძნელია, როცა ბევრ ფინალში გითამაშია და თითქმის ყველა წაგებული გაქვს,"* - ამბობს **არნე ფრიდრიხი**.

თანაც, მიხაელზე ვერავინ იტყვის, არ იბრძოლაო. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმირებული იყო, ფინალში ძალიან მონდომა და არც ერთ ორთაბრძოლას არ გაურბოდა. თუმცა ფაქტია, რომ საკუთარ თავს მაინც არ ჰგავდა. საერთო ჯამში, მან ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე მეტი ირბინა - 67.77 კილომეტრი.

რას ამბობენ ექსპერტები ბალაკის შესახებ?

მისი ექს-ბოსი **რაინერ კალმუნდი** (ლევერკუზენი): *"როცა გუნდს არ ჰყავს მაღალი კლასის თავდამსხმელი და როცა მცველები ძალიან ცუდ ფორმაში არიან, დაუშვებელია, ბალაკს მოსთხოვო, ევროპის ჩემპიონატი მოგაგებინოს. დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებს ერთი ფეხბურთელი იგებდა. ფაქტია, რომ ყოველი ასეთი მარცხის შემდეგ მიხაელი უფრო და უფრო ძლიერდება."*

ლეგენდარული **გიუნტერ ნეტცერი**: *"არ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ მიხაელ ბალაკი შესანიშნავი ფეხბურთელია. მაგრამ ფაქტია, რომ ის არც ამჯერად იყო გერმანიის ნაკრების ლიდერი, რომელიც თავის გუნდს ტიტულს მოაგებინებდა. მას ეს უბრალოდ, არ შეუძლია. იმიტომ კი არა, რომ ცუდი ფეხბურთელია, არამედ იმის გამო, რომ ხასიათი აქვს სხვანაირი, ლიდერობისთვის სხვანაირი ხასიათი და სხვანაირი მიდგომაა საჭირო."*

გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **თეო ცვანციგერი**: *"მიხაელს ვუთხარი, რომ ჯერ კიდევ აქვს დრო და შანსი, დიდი ტიტულები მოიგოს."*

...მას მერე, რაც მიხაელი საფეხბურთო ასპარეზზე გამოჩნდა, ყურადღება მიიქცია და გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი გახდა, მუდმივად უკიჟინებენ, რომ ისეთი უნდა იყოს, როგორიც, მაგალითად, **შტეფან ეფენბერგი** გახლდათ - მრისხანე, მყვირალა, ზოგჯერ უზრდელი, მუდმივად უკმეხი, მაგრამ მებრძოლი და "სისხლის მსმელი". ბალაკიც რამდენჯერმე შეეცადა, ასეთი ყოფილიყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ასეთი არ არის და ვერც იქნება, იმიტომ, რომ მას სხვანაირი ხასიათი აქვს. აუცილებელი სულაც არ არის, ლიდერი ეფენბერგივით იქცეოდეს და ამ შემთხვევაში აბსოლუტურად მართალია "ლევერკუზენის" ყოფილი ბოსი **რაინერ კალმუნდი,** რომლის ხელშიც ჩამოყალიბდა ბალაკი დიდ ფეხბურთელად. ის ვერ იქნება ვინმე სხვა, ის მიხაელ ბალაკია.

არადა, უკვე 31 წლისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ 2010 წელს 33-ის იქნება. შესაბამისად, მომავალი მუნდიალი მისთვის უკანასკნელი გამოდგება. გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა** ფინალის შემდეგ მიხაელს უთხრა, არა უშავს, ცოტაც მოვიცადოთ და ორ წელიწადში მსოფლიოს ჩემპიონობა ერთად ვიზეიმოთო. დროა! დროა, ბალაკმა სერიოზული ტიტული მოიგოს...

**გოტფრიდ ლენცი**




ანგელა მერკელი და მიხაელ ბალაკი ფინალის შემდეგ

### ბალაკის ათი ვიცე-ტიტული

**2000 წელი:** გერმანიის ვიცე-ჩემპიონი ლევერკუზენთან ერთად
**2002 წელი:** ჩემპიონთა ლიგის ვიცე-ჩემპიონი ლევერკუზენთან ერთად
**2002 წელი:** გერმანიის თასის ვიცე-მფლობელი ლევერკუზენთან ერთად
**2002 წელი:** გერმანიის ვიცე-ჩემპიონი ლევერკუზენთან ერთად
**2002 წელი:** მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი
**2004 წელი:** გერმანიის ვიცე ჩემპიონი ბაიერნთან ერთად
**2007 წელი:** ინგლისის ვიცე-ჩემპიონი ჩელსისთან ერთად
**2008 წელი:** ჩემპიონთა ლიგის ვიცე-ჩემპიონი ჩელსისთან ერთად
**2008 წელი:** ინგლისის ვიცე-ჩემპიონი ჩელსისთან ერთად
**2008 წელი:** ევროპის ვიცე-ჩემპიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჩელო ლიპის პრესკონფერენცია

# კატენაჩო მოკვდა

## აძურის თავკაცი ტოტისა და ნესტას ნაკრებში დაბრუნებას არ სთხოვს



იტალიის ნაკრებში დაბრუნებულმა **მარჩელო ლიპიმ** გუშინ პირველი პრესკონფერენცია გამართა. ის უკვე შეუდგა საქმეს და ჟურნალისტებსაც სწორედ ამაზე ესაუბრა.

*"ბედნიერი ვარ, რომ დავბრუნდი იქ, სადაც ერთი დიდი და ტრიუმფალური ციკლი დავასრულე, - დაიწყო მარჩელომ, - თუნდაც ასე შეგიძლიათ იფიქროთ: დავბრუნდი იმიტომ, რომ ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა ვერ ითამაშა ისე და ვერ აჩვენა ის შედეგი, რასაც ყველა ველოდით. როცა ესა თუ ის ნაციონალური ფედერაცია მთხოვდა, რომ მათ ნაკრებს ჩავდგომოდი სათავეში, მე ასე ვპასუხობდი: მწვრთნელმა, რომელმაც საკუთარი ქვეყნის ეროვნულ გუნდთან ერთად მსოფლიო თასი მოიგო, სხვა ქვეყნის ნაკრებში აღარ უნდა იმაშაოს-მეთქი...*

*...ამ პერიოდში ბევრი საინტერესო, ვიტყოდი, ძალიან საინტერესო წინადადება მივიღე. მაგრამ ევროპის ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო მეტად ვფიქრობდი იტალიის ნაკრებზე. თუ "აძურის" დავჭირდებოდი, მინდოდა, გუნდში დაბრუნება შემძლებოდა. არ ჩამოვთვლი იმ კლუბებსა და ნაკრებებს, რომელთაც უარი შევუთვალე. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წინაშე თავს დავალებულად ვთვლიდი. ვალის გადასახდელად ყველა ალტერნატიულ შეთავაზებაზე უარი უნდა მეთქვა".*

იტალიური მედია ევროპის ჩემპიონატამდეც დარწმუნებული იყო, რომ ლიპი დაბრუნდებოდა. მარჩელო კი ამბობს, რომ ფედერაციასთან კონტრაქტის გაფორმებას მხოლოდ ტურნირის შემდეგ დათანხმდა. *"იტალიის ნაკრები ევროპის უძლიერეს გუნდად მიმაჩნია. ევროს დაწყებამდე ფედერაციას ვუთხარი - მიგულეთ დონადონის ქომაგად. იმედია, "აძური" მაქსიმალურ შედეგს აჩვენებს, მაგრამ თუ ევრო წარუმატებელი აღმოჩნდება, დავბრუნდები-მეთქი. ახლა თქვენ გადაწყვიტეთ, გამართლებული იყო თუ არა ჩემი პოზიცია. ვიღაცამ დაწერა, ლიპიმ კონტრაქტი ივნისის დასაწყისში გააფორმა და თუ იტალია ჩემპიონი გახდებოდა და დონადონი მუშაობას გააგრძელებდა, ფედერაციას ჯარიმის გადახდა მოუწევდაო. მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა, კონტრაქტი დღემდე არ გამიფორმებია და არც ფინანსური საკითხი განმიხილავს".*

ორი წლის წინ, როდესაც **რობერტო დონადონი** დანიშნეს, მან ლიპის სქემა 4-3-3 მაშინვე შეცვალა. მარჩელოს ჰკითხეს, ძველი ფეხბურთელებით ძველ ტაქტიკას დაუბრუნდებით, თუ გუნდს ახლებურად ათამაშებთო. ლიპიმ მიუგო: *"სიფრთხილე გვმართებს. ესპანეთის მაგალითი გადამდებია. ესპანელებმა შედეგს ახალგაზრდა ფეხბურთელებით მიაღწიეს. მათ ნაკრებში არასოდეს არაფერი მოეგოთ, სამაგიეროდ, საკლუბო დონეზე დიდი გამოცდილება ჰქონდათ დაგროვილი და ევროპის ჩემპიონობისათვის მზად იყვნენ. ჩვენ განსხვავებულ ვითარებაში ვიმყოფებით. ჩვენს განკარგულებაშია ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი, რომელიც ორი წლის წინ საუცხოოდ ითამაშა და მსოფლიო თასს დაეუფლა. საჭიროა ბალანსის პოვნა ამ გამოცდილ მოთამაშეებსა და ახალგაზრდებს შორის, რომლებიც ნაკრებში აუცილებლად გამოჩნდებიან. ძალიან მიყვარს თითოეული ფეხბურთელი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემთან ერთად მოიგო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა გუნდში დარჩება. ზოგიერთის ადგილს ახალგაზრდები დაიჭერენ".*

ევროპის აწდასრულებული ჩემპიონატისას, ესპანეთმა შთამბეჭდავი, შემტევი ფეხბურთი ითამაშა. იტალიას ბევრი კრიტიკა დაატყდა თავს იმის გამო, რომ ბოლომდე არ იყენებდა თავის შემტევ პოტენციალს.

ლიპი: *"საკლუბო და სანაკრებო დონეზე არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ კატენაჩოს ეპოქა წარსულს ჩაბარდა. იტალიური ფეხბურთი დიდი ხანია, გათავისუფლდა კლიშეებისაგან. იტალიის ნაკრებსა და მის კლუბებს დაცვაში ჯდომის გარდა, შეტევაც საუცხოოდ გამოსდით. გაიხსენეთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ზოგიერთი მატჩისას მინდორზე ოთხი თავდამსხმელი გვყავდა. ჩვენი ამოცანაა, მებრძოლი გუნდის შექმნა, რომელიც აგრესიულ, შემტევ და გააზრებულ ფეხბურთს ითამაშებს. ძალიან მომწონს "მანჩესტერ იუნაიტედი", სადაც უეინ რუნი ნახევარდაცვაში, მოედნის სიღრმიდან თამაშობს. ვამაყობ იმით, რომ მსგავსი სქემა "იუნაიტედზე" ადრე იტალიის ნაკრებში მოვსინჯეთ. რა თქმა უნდა, მასზე უარის თქმას არც მომავალში ვაპირებთ".*

ფრანჩესკო ტოტი და **ალესანდრო ნესტა** ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გამოეთხოვნენ. სპეკულაციების თანახმად, ლიპის დანიშვნის შემდეგ, ორივეს "აძურიში" დაბრუნება სურს.

ლიპი: *"ჩემი აზრით, ვალდებულნი ვართ, პატივი ვცეთ ორი დიდი ფეხბურთელის გადაწყვეტილებას. მათ ნაკრებს ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს. მე არ ვაპირებ, რომელიმე მათგანს გადაწყვეტილების შეცვლა ვთხოვო. სხვა დროს, თუკი ვინმე აღმოჩნდება ისევ ვითარებაში, როდესაც ნაკრებსა და კლუბში ძალების გადანაწილებას ვეღარ მოახერხებს, ვურჩევ, არ თქვას, რომ ნაკრებიდან მიდის. აუხსნას საზოგადოებას, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო, დროებით, მთელი ენერგიის დახარჯვას კლუბში აპირებს. მაგრამ თუ ნაკრებს ტრავმებისა და დისკვალიფიკაციების გამო პრობლემები შეექმნება, მაშინვე ითამაშებს. ვატყობ, რომ ზოგიერთი, რომელმაც სანაკრებო კარიერა დაასრულა, ნანობს, რომ ასე მოიქცა. ტოტის ტელეფონით ხშირად ვესაუბრები. ჩემს დაბადების დღეზეც მეწვია. ნაკრებზე არასოდეს გვილაპარაკია. არა მგონია, ეს თემა მომავალში წამოვწიოთ. ვიმეორებ, პროფესიონალების გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. თანაც ვიცი, რომ მათ ეს გადაწყვეტილება დიდი ტკივილის ფასად დაუჯდათ".*

ლიპიმ ტაქტიკისა და შემადგენლობის განხილვისაგან თავი შეიკავა: *"ჩემი მიზანია იმ ბრძოლისუნარიანი გუნდის აღდგენა, რომელიც დავტოვე. აუცილებელი არაა, ეს იმ ფეხბურთელების ხარჯზე გავაკეთო, ვინც "აძურიში" ორი წლის წინ თამაშობდა. გამოჩნდებიან ახალგაზრდები, რომლებიც გუნდს შე[...] ავსებენ. ნაკრებში ყოფნისას, არაერთ[...] ტაქტიკური სქემა მოვსინჯე. საჭიროა[...] დაცვასა და ნახევარდაცვას შორი[...] მტკიცე კავშირის უზრუნველყოფა. აგ[...] რეთვე, ორი-სამი უნივერსალური ფეხ[...]ბურთელის ყოლა. წინა ხაზში[...] მნიშვნელობა არა აქვს, ისინი ცენტრა[...]ლური თავდამსხმელები იქნებიან, გარე[...] მარბები, თუ უკან დახეულ[...] ფორვარდები. მთავარია, ყველამ ზუს[...]ტად იცოდეს რა ევალება, როდესაც[...] გუნდი უტევს და როდესაც თავს იცავს[...] როდესაც 90 წუთს შეტევაში ატარებ[...] ესე იგი, უსუსტესი მეტოქე გყავს. დი[...] გუნდს ევალება, იცოდეს, როგორ შეუ[...]ტიოს, როგორ შეინარჩუნოს თამაში[...] ტემპი და თავი როგორ დაიცვას... რ[...] თქმა უნდა, დავბრუნდი იმ მოგონებები[...] გამო, რომელიც ორი წლის წინანდელ[...] მუნდიალთან მაკავშირებს. სიამოვნე[...]ბით გავიმეორებდი თითოეულ წუთს[...] მათ შორის, იმ წუთებსაც, რომელიც 30[...] 35 ფეხბურთელისაგან ფსიქოლოგიუ[...]რად ძლიერი კოლექტივი[...] გასაკეთებლად დავხარჯე. ფსიქოლო[...]გიური მომზადება - ესაა უმთავრესი პი[...]რობა დიდი ტურნირის მოსაგებად".*

ლიპიმ მუნდიალის შემდეგ ორი წელ[...] დაისვენა. მან ბევრი იმოგზაურა, დანარ[...]ჩენი დრო სახლში ან საკუთარ იახტაზ[...] გაატარა. მარჩელო ამბობს, უდარდე[...]ლად ყოფნას მინდვრის კიდეზე დგომ[...] და ნერვიულობა მირჩევნიაო: *"რამდენი[...]მე კილოგრამი მოვიმატე, მაგრამ პენსი[...]აში გასვლაზე არ მიფიქრია. მსოფლიო[...] ბევრი ქვეყანა მოვიარე. ვისაც ვხვდებო[...]დი, ყველას ჩვენი გამარჯვების ამბავ[...] ვუყვებოდი. 23 უნივერსიტეტში ლექცი[...] წავიკითხე. შეძლებისდაგვარად, ყველ[...] მატჩს ვუყურებდი, უარს ვამბობდი ყვე[...]ლა წინადადებაზე, სანამ "აძურიში[...] დაბრუნება არ შემომთავაზეს... უფლე[...]ბა არ გვაქვს, შესარჩევი მატჩები ფორ[...]მალობად აღვიქვათ. ამაზე დი[...] შეცდომას ვერ დავუშვებთ. მსოფლიო[...] ჩემპიონატზე მაშინ დავიწყებთ ფიქრს[...] როდესაც ფინალურ ეტაპზე გავალთ".*

იტალიელთა ჯგუფშია საქართვე[...]ლო. აგრეთვე ირლანდია, რომელსა[...] **ჯოვანი ტრაპატონი** უხელმძღვანე[...]ლებს: *"ირლანდიელებს 2005 წლის აგ[...]ვისტოში, ამხანაგური მატჩისა[...] შევხვდით. ძნელი თამაში გამოვიდა. ს[...]ზონის დასაწყისი იყო. იმ შეხვედრა[...] ჩვენი გუნდის არა ერთი სისუსტე დაგ[...]ვანახა. დარწმუნებული ვარ, ტრაპატო[...]ნი ირლანდიას დიდ ძალას შემატებ[...] ჯოვანის გუნდი სერიოზული მეტოქ[...] იქნება".*

მოამზად[...]
**შალვა ბიბილაშვილ[...]**

ვარსკვლავი

# ერთი დღე ბექჰემებთან

## დევიდმა და მინი-დევიდებმა ბევერლი ჰილსის ქუჩებში გაისეირნეს...



დევიდი და მისი უმცროსი ვაჟები, რომეო და კრუსი



**დევიდ ბექჰემმა** უმცროს ვაჟებს ხელი მოჰკიდა და ბევერლი ჰილსის ქუჩებში გაისეირნა. ფოტოგრაფებს მათი გადაადგილება არ გამოჰპარვიათ და კვალში ჩაუდგნენ. შემდეგ კი თავიანთი ნამუშევარი სარფიანად მიჰყიდეს ბრიტანულ ტაბლოიდ "დეილი მეილს". გაზეთი არ შემცდარა. მკითხველი ბექჰემების ერთ ჩვეულებრივ ამერიკულ დღეს დიდი ინტერესით გაეცნო.

**რომეოსა და კრუსს** თმები ზუსტად ისე ჰქონდათ შეჭრილი, როგორც სახელოვან მამას. ამიტომაც, გალაქტიკოს პატარა ასლებს ჰგავდნენ. უფროსი ვაჟი **ბრუკლინი** და დედიკო **ვიქტორია** შინ დარჩნენ. დანარჩენი ოჯახობა ავტომობილში მოკალათდა და მოგზაურობა დაიწყო.

დევიდმა სასეირნოდ "როლს როისი" შეარჩია. ამ მოდელის სრული სახელია "როლს როის ფანტომ დროპჰედ კუპე". ის არც მეტი, არც ნაკლები 300 ათასი გირვანქა (600 ათასი დოლარი) ღირს. ეს ავტომობილი დევიდის უძვირფასესი კოლექციის მარგალიტია.

შვიდი წლის რომეო და სამი წლის კრუსი დედისა და ძამიკოს არყოფნას ოდნავადაც არ დაუმწუხრებია. ისინი უკანა სავარძელში ისხდნენ და მხიარულად ატარებდნენ დროს. ბექჰემებმა ბევერლი ჰილსს რამდენჯერმე შემოუარეს. ერთ-ერთ შუქნიშანთან დევიდი მავანმა ლამაზმანმა იცნო და მაშინვე გამოელაპარაკა.

სხვა მხრივ, დღემ უშფოთველად ჩაიარა. ბექზი სხვა გულშემატკივრებს არ უცვნიათ და არც შეუწუხებიათ (წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, დევიდს გადახდილი მანქანით მანჩესტერის ან ლონდონის ქუჩებში რომ გაევლო). სამაგიეროდ, ნამდვილი ფურორი მოახდინა ორი დღით ადრე, ბევერლი ჰილსის ცენტრში გახსნილმა სარეკლამო ბილბორდმა. 30-მეტრიან დაფაზე ბექჰემი **ჯორჯო არმანის** საცვალშია გამოსახული. ამ ფოტომ გავრცელებისთანავე დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

ამერიკელთა რეაქციამ მოლოდინს გადააჭარბა. ბექჰემი ამბობს: *"აჟიოტაჟმა გამაოცა, თუმცა რეკლამა სწორ[...] ამისათვის გაკეთდა. არმანი კმაყოფი[...] უნდა იყოს. მისი პროდუქცია წარმატ[...]ბით გაიყიდება."*

აქვე გეტყვით, რომ ბექჰემი საკუთ[...]რი გამაგრილებელი სასმელის ჩამოსხმ[...] აპირებს. ის "პეპსისთან" თანამშრომლო[...]ბის გაწყვეტას გეგმავს. ამერიკული კო[...]პანია დევიდს წლიურად 2 მილიო[...] გირვანქას უხდის. მათი ურთიერთობა [...]წელია, გრძელდება. "პეპსის" ფეხბურთ[...]ლის გაშვება არ სურს და გაუმჯობეს[...]ბულ ჰონორარს ჰპირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანია. ბუნდესლიგა 2008/2009



**I ტური**

15.08.08

ბაიერნი-ჰამბურგი

16.08.08

შალკე-ჰანოვერი
ვოლფსბურგი-კიოლნი
ლევერკუზენი-ბორუსია (დ)
აინტრახტი-ჰერტა
კარლსრუე-ბოხუმი
კოტბუსი-ჰოფენჰაიმი
არმინია-ვერდერი
ბორუსია (მ)-შტუტგარტი

**II ტური**

23.08.08

ვერდერი-შალკე
ჰამბურგი-კარლსრუე
შტუტგარტი-ლევერკუზენი
ჰანოვერი-კოტბუსი
ჰერტა-არმინია
ბოხუმი-ვოლფსბურგი
ბორუსია (დ)-ბაიერნი
ჰოფენჰაიმი-ბორუსია (მ)
კიოლნი-აინტრახტი

**III ტური**

30.08.08

ბაიერნი-ჰერტა
შალკე-გბოხუმი
ვოლფსბურგი-აინტრახტი
შტუტგარტი-ჰანოვერი
ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი
კარლსრუე-კიოლნი
კოტბუსი-ბორუსია (დ)
არმინია-ჰამბურგი
ბორუსია (მ)-ვერდერი

**IV ტური**

13.09.08

ვერდერი-კოტბუსი
ჰამბურგი-ლევერკუზენი
ჰანოვერი-ბორუსია (მ)
აინტრახტი-კარლსრუე
ჰერტა-ვოლფსბურგი
ბოხუმი-არმინია
ბორუსია (დ)-შალკე
ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი
კიოლნი-ბაიერნი

**V ტური**

20.09.08

ბაიერნი-ვერდერი
შალკე-აინტრახტი
ვოლფსბურგი-ჰამბურგი
შტუტგარტი-კარლსრუე
ლევერკუზენი-ჰანოვერი
კოტბუსი-ბოხუმი
არმინია-კიოლნი
ბორუსია (მ)-ჰერტა
ჰოფენჰაიმი-ბორუსია (დ)

**VI ტური**

27.09.08

ვერდერი-ჰოფენჰაიმი
ჰამბურგი-ბორუსია (მ)
ჰანოვერი-ბაიერნი
აინტრახტი-არმინია
ჰერტა-კოტბუსი
კარლსრუე-ვოლფსბურგი
ბოხუმი-ლევერკუზენი
ბორუსია (დ)-შტუტგარტი
კიოლნი-შალკე

**VII ტური**

04.10.08

ბაიერნი-ბოხუმი
შალკე-ვოლფსბურგი
შტუტგარტი-ვერდერი
ლევერკუზენი-ჰერტა
ბორუსია (დ)-ჰანოვერი
კოტბუსი-ჰამბურგი
არმინია-კარლსრუე
ბორუსია (მ)-კიოლნი
ჰოფენჰაიმი-აინტრახტი

**VIII ტური**

18.10.08

ვერდერი-ბორუსია (დ)
ჰამბურგი-შალკე
ვოლფსბურგი-არმინია
ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი
აინტრახტი-ლევერკუზენი
ჰერტა-შტუტგარტი
კარლსრუე-ბაიერნი
ბოხუმი-ბორუსია (მ)
კიოლნი-კოტბუსი

**IX ტური**

25.10.08

ბაიერნი-ვოლფსბურგი
შალკე-არმინია
შტუტგარტი-ბოხუმი
ლევერკუზენი-კიოლნი
ჰანოვერი-ვერდერი
ბორუსია (დ)-ჰერტა
კოტბუსი-აინტრახტი
ბორუსია (მ)-კარლსრუე
ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი

**X ტური**

28.10.08

ვერდერი-ლევერკუზენი
ჰამბურგი-შტუტგარტი
ვოლფსბურგი-ბორუსია (მ)
აინტრახტი-ბაიერნი
ჰერტა-ჰანოვერი
კარლსრუე-შალკე
ბოხუმი-ჰოფენჰაიმი
არმინია-კოტბუსი
კიოლნი-ბორუსია (დ)

**XI ტური**

01.11.08

ბაიერნი-არმინია
ვერდერი-ჰერტა
შტუტგარტი-კიოლნი
ლევერკუზენი-ვოლფსბურგი
ჰანოვერი-ჰამბურგი
ბორუსია (დ)-ბოხუმი
კოტბუსი-შალკე
ბორუსია (მ)-აინტრახტი
ჰოფენჰაიმი-კარლსრუე

**XII ტური**

08.11.08

შალკე-ბაიერნი
ჰამბურგი-ბორუსია (დ)
ვოლფსბურგი-კოტბუსი
აინტრახტი-შტუტგარტი
ჰერტა-ჰოფენჰაიმი
კარლსრუე-ლევერკუზენი
ბოხუმი-ვერდერი
არმინია-ბორუსია (მ)
კიოლნი-ჰანოვერი

**XIII ტური**

15.11.08

ვერდერი-კიოლნი
შტუტგარტი-არმინია
ლევერკუზენი-შალკე
ჰანოვერი-ბოხუმი
ჰერტა-ჰამბურგი
ბორუსია (დ)-აინტრახტი
კოტბუსი-კარლსრუე
ბორუსია (მ)-ბაიერნი
ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი

**XIV ტური**

22.11.08

ბაიერნი-კოტბუსი
შალკე-ბორუსია (მ)
ჰამბურგი-ვერდერი
ვოლფსბურგი-შტუტგარტი
აინტრახტი-ჰანოვერი
კარლსრუე-ბორუსია (დ)
ბოხუმი-ჰერტა
არმინია-ლევერკუზენი
კიოლნი-ჰოფენჰაიმი

**XV ტური**

29.11.08

ვერდერი-აინტრახტი
შტუტგარტი-შალკე
ლევერკუზენი-ბაიერნი
ჰანოვერი-კარლსრუე
ჰერტა-კიოლნი
ბოხუმი-ჰამბურგი
ბორუსია (დ)-ვოლფსბურგი
ბორუსია (მ)-კოტბუსი
ჰოფენჰაიმი-არმინია

**XVI ტური**

06.12.08

ბაიერნი-ჰოფენჰაიმი
შალკე-ჰერტა
ვოლფსბურგი-ჰანოვერი
აინტრახტი-ბოხუმი
კარლსრუე-ვერდერი
კოტბუსი-შტუტგარტი
არმინია-ბორუსია (დ)
ბორუსია (მ)-ლევერკუზენი
კიოლნი-ჰამბურგი

**XVII ტური**

13.12.08

ვერდერი-ვოლფსბურგი
ჰამბურგი-აინტრახტი
შტუტგარტი-ბაიერნი
ლევერკუზენი-კოტბუსი
ჰანოვერი-არმინია
ჰერტა-კარლსრუე
ბოხუმი-კიოლნი
ბორუსია (დ)-ბორუსია (მ)
ჰოფენჰაიმი-შალკე

**XVIII ტური**

31.01.09

ჰამბურგი-ბაიერნი
ჰანოვერი-შალკე
კიოლნი-ვოლფსბურგი
ბორუსია (დ)-ლევერკუზენი
ჰერტა-აინტრახტი
ბოხუმი-კარლსრუე
ჰოფენჰაიმი-კოტბუსი
ვერდერი-არმინია
შტუტგარტი-ბორუსია (მ)

**XIX ტური**

07.02.09

შალკე-ვერდერი
კარლსრუე-ჰამბურგი
ლევერკუზენი-შტუტგარტი
კოტბუსი-ჰანოვერი
არმინია-ჰერტა
ვოლფსბურგი-ბოხუმი
ბაიერნი-ბორუსია (დ)
ბორუსია (მ)-ჰოფენჰაიმი
აინტრახტი-კიოლნი

**XX ტური**

14.02.09

ჰერტა-ბაიერნი
ბოხუმი-შალკე
აინტრახტი-ვოლფსბურგი
ჰანოვერი-შტუტგარტი
ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი
კიოლნი-კარლსრუე
ბორუსია (დ)-კოტბუსი
ჰამბურგი-არმინია
ვერდერი-ბორუსია (მ)

**XXI ტური**

21.02.09

კოტბუსი-ვერდერი
ლევერკუზენი-ჰამბურგი
ბორუსია (მ)-ჰანოვერი
კარლსრუე-აინტრახტი
ვოლფსბურგი-ჰერტა
არმინია-ბოხუმი
შალკე-ბორუსია (დ)
შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი
ბაიერნი-კიოლნი

**XXII ტური**

28.02.09

ვერდერი-ბაიერნი
აინტრახტი-შალკე
ჰამბურგი-ვოლფსბურგი
კარლსრუე-შტუტგარტი
ჰანოვერი-ლევერკუზენი
ბოხუმი-კოტბუსი
კიოლნი-არმინია
ჰერტა-ბორუსია (მ)
ბორუსია (დ)-ჰოფენჰაიმი

**XXIII ტური**

07.03.09

ჰოფენჰაიმი-ვერდერი
ბორუსია (მ)-ჰამბურგი
ბაიერნი-ჰანოვერი
არმინია-აინტრახტი
კოტბუსი-ჰერტა
ვოლფსბურგი-კარლსრუე
ლევერკუზენი-ბოხუმი
შტუტგარტი-ბორუსია (დ)
შალკე-კიოლნი

**XXIV ტური**

14.03.09

ბოხუმი-ბაიერნი
ვოლფსბურგი-შალკე
ვერდერი-შტუტგარტი
ჰერტა-ლევერკუზენი
ჰანოვერი-ბორუსია (დ)
ჰამბურგი-კოტბუსი
კარლსრუე-არმინია
კიოლნი-ბორუსია (მ)
აინტრახტი-ჰოფენჰაიმი

**XXV ტური**

21.03.09

ბორუსია (დ)-ვერდერი
შალკე-ჰამბურგი
არმინია-ვოლფსბურგი
ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი
ლევერკუზენი-აინტრახტი
შტუტგარტი-ჰერტა
ბაიერნი-კარლსრუე
ბორუსია (მ)-ბოხუმი
კოტბუსი-კიოლნი

**XXVI ტური**

04.04.09

ვოლფსბურგი-ბაიერნი
არმინია-შალკე
ბოხუმი-შტუტგარტი
კიოლნი-ლევერკუზენი
ვერდერი-ჰანოვერი
ჰერტა-ბორუსია (დ)
აინტრახტი-კოტბუსი
კარლსრუე-ბორუსია (მ)
ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი

**XXVII ტური**

10.04.09

ლევერკუზენი-ვერდერი
შტუტგარტი-ჰამბურგი
ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი
ბაიერნი-აინტრახტი
ჰანოვერი-ჰერტა
შალკე-კარლსრუე
ჰოფენჰაიმი-ბოხუმი
კოტბუსი-არმინია
ბორუსია (დ)-კიოლნი

**XXVIII ტური**

18.04.09

არმინია-ბაიერნი
ჰერტა-ვერდერი
კიოლნი-შტუტგარტი
ვოლფსბურგი-ლევერკუზენი
ჰამბურგი-ჰანოვერი
ბოხუმი-ბორუსია (დ)
შალკე-კოტბუსი
აინტრახტი-ბორუსია (მ)
კარლსრუე-ჰოფენჰაიმი

**XXIX ტური**

25.04.09

ბაიერნი-შალკე
ბორუსია (დ)-ჰამბურგი
კოტბუსი-ვოლფსბურგი
შტუტგარტი-აინტრახტი
ჰოფენჰაიმი-ჰერტა
ლევერკუზენი-კარლსრუე
ვერდერი-ბოხუმი
ბორუსია (მ)-არმინია
ჰანოვერი-კიოლნი

**XXX ტური**

02.05.09

კიოლნი-ვერდერი
არმინია-შტუტგარტი
შალკე-ლევერკუზენი
ბოხუმი-ჰანოვერი
ჰამბურგი-ჰერტა
აინტრახტი-ბორუსია (დ)
კარლსრუე-კოტბუსი
ბაიერნი-ბორუსია (მ)
ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი

**XXXI ტური**

09.05.09

კოტბუსი-ბაიერნი
ბორუსია (მ)-შალკე
ვერდერი-ჰამბურგი
შტუტგარტი-ვოლფსბურგი
ჰანოვერი-აინტრახტი
ბორუსია (დ)-კარლსრუე
ჰერტა-ბოხუმი
ლევერკუზენი-არმინია
ჰოფენჰაიმი-კიოლნი

**XXXII ტური**

12.05.09

აინტრახტი-ვერდერი
შალკე-შტუტგარტი
ბაიერნი-ლევერკუზენი
კარლსრუე-ჰანოვერი
კიოლნი-ჰერტა
ჰამბურგი-ბოხუმი
ვოლფსბურგი-ბორუსია (დ)
კოტბუსი-ბორუსია (მ)
არმინია-ჰოფენჰაიმი

**XXXIII ტური**

16.05.09

ჰოფენჰაიმი-ბაიერნი
ჰერტა-შალკე
ჰანოვერი-ვოლფსბურგი
ბოხუმი-აინტრახტი
ვერდერი-კარლსრუე
შტუტგარტი-კოტბუსი
ბორუსია (დ)-არმინია
ლევერკუზენი-ბორუსია (მ)
ჰამბურგი-კიოლნი

**XXXIV ტური**

23.05.09

ვოლფსბურგი-ვერდერი
აინტრახტი-ჰამბურგი
ბაიერნი-შტუტგარტი
კოტბუსი-ლევერკუზენი
არმინია-ჰანოვერი
კარლსრუე-ჰერტა
კიოლნი-ბოხუმი
ბორუსია (მ)-ბორუსია (დ)
შალკე-ჰოფენჰაიმი

კალათბურთი. ნაკრების კანდიდატთა წარდგენა

# ოცნებამდე მისვლას შრომა სჭირდება



**კოკა ტომარაძე**

დაიბადა: 05. 07. 1990
სიმაღლე: 196 სმ.
პოზიცია: მსროლელი\ფორვარდი
გუნდი: ბარსელონა (ესპანეთი)

**კარიერა**

2004-05 – არონა (ესპანეთი)
2005-08 – ბარსელონა (ესპანეთი)

**მიღწევები**

ესპანეთის კადეტთა ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი (2006)
ესპანეთის ჭაბუკთა ჩემპიონატის გამარჯვებული (2007)
ესპანეთის ჭაბუკთა ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი (2008)
ესპანეთის ახალგაზრდული ჩემპიონატის მესამე პიზიორი (2008)

დღეს, ვაგრძელებთ ნაკრების კანდიდატთა წარდგენას. ამჯერად შეგახვედრებთ ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელს **კოკა ტომარაძეს**, რომელიც "ბარსელონას" ღირსებას იცავს და ივლისის ბოლოს იუნიორთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს ითამაშებს.

შეიძლება ვინმემ იფიქროს – ეროვნული გუნდის კანდიდატები მწვრთნელმა ჯერ ახალგაზრდულ გუნდში უნდა ეძებოს და მერე იუნიორებშიო. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, 18-ნლამდელებს პირველ გუნდში მოხვედრის არანაკლები შანსი აქვთ, ვიდრე 20-ნლამდელებს. 4 წლით უკან გადავინაცვლოთ და გავიხსენოთ, რომ **დრაჟენ ბრაიკოვიჩისა და ზურაბ ტომარაძის** ეროვნულ ნაკრებში სამი საკვანძო კალათბურთელი სწორედ ჭაბუკთა ნაკრებს წარმოადგენდა – **მანუჩარ მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე** და **გიორგი ცინცაძე**. სწორედ ამიტომ 4 წლის წინანდელი და დღევანდელი 18-წლამდელთა ნაკრებების შედარება იუნიორთა მაშინდელ მწვრთნელ **თამაზ ოქრუაშვილს** ვთხოვეთ.

*"მარკოიშვილი, ცინცაძე და სანიკიძე დიდ ძალას წარმოადგენდნენ როგორც ჭაბუკთა ნაკრებისთვის, ისე ეროვნულისთვის. დღევანდელ იუნიორთა გუნდში არანაკლებ პერსპექტიული მოთამაშეები არიან – მეტრეველი, კოკა ტომარაძე, თორნიკე შენგელია... უკრაინასთან გამართული მატჩებით ძალიან მიჭირს 4 წლის წინანდელი და ამჟამინდელი 18-წლამდელების შედარება, ისინი დაახლოებით ერთი ძალისანი არიან, თუმცა ესპანეთიდან გიორგი შარაბიძე და თორნიკე შენგელია გუნდს რომ შეუერთდებიან, შეიძლება უკეთესი ნაკრები გამოვიდეს, ვიდრე 4 წლის წინანდელი იყო,"* – სიფრთხილით გვითხრა თამაზ ოქრუაშვილმა.

აქედან გამომდინარე, სრულიად რეალურია სამი ჭაბუკის ეროვნულ გუნდში ხილვა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რიგითმა ჟურნალისტმა რამდენიც უნდა იყბედოს, გადამწყვეტი მთავარი მწვრთნელის, **იგორ კოკოშკოვის** სიტყვაა.

[...]ც დოსიედან მიხვდით, დღეს კოკა ტოძარაძეზე ვაპირებთ ლაპარაკს, მაგრამ ვიდრე მის ნაუბარს შემოგთავაზებდეთ, გიორგი ცინცაძისეულ დახასიათებას გთავაზობთ ამ სპორტსმენზე. ბუ (ცინცაძის მეტსახელია) ჭაბუკთა ნაკრების უკრაინასთან თამაშს დაესწრო და მატჩის მსვლელობისას კოკაზე მოკლედ ისაუბრა:

*"ტომარაძე ძალიან კარგი ბიჭია, აშკარად ეტყობა კლასი. ისიც უკანახაზელია და სიამოვნებით ვითამაშებდი კოკას გვერდით. ვნახოთ, რას გადაწყვეტს ნაკრების მთავარი მწვრთნელი."*

ყველაზე უკეთ თავად კოკა ტომარაძე აცნობიერებს სანაკრებო პერსპექტივას:

*"ეროვნულ გუნდში თამაში ჩემი ოცნებაა. ოცნების ახდენა კი არასოდესაა იოლი. ვიცი, რომ ნაკრებში მოხვედრას შრომა სჭირდება, დიდი შრომა..."*

ტომარაძეს სამუშაო ნამდვილად ბევრი აქვს – 25 ივლისიდან ჭაბუკებთან ერთად ქვედა ლიგის მატჩები აქვს სათამაშო. სწორედ ამ ტურნირზე ნაჩვენებ შედეგებზე იქნება დამოკიდებული ბევრი რამ.

*"საქართველოში ახლახან ჩამოვედი, მაგრამ გუნდს უკვე კარგად შევეწყვე, რადგან ერთსულოვნების მხრივ, არანაირი პრობლემა არ არის. 25 ივლისამდე კიდევ უფრო შევთამაშდებით და, ვფიქრობ, ზედა ლიგაში გადასვლა შეგვიძლია."*

კოკამ გასულ სეზონში "ბარსელონასთან" ერთად სამი სერიოზული ტურნირი ითამაშა: ესპანეთის ჭაბუკთა ჩემპიონატი (მეორე ადგილი), მადრიდის საერთაშორისო იუნიორთა ტურნირი (მეორე ადგილი) და ესპანეთის ახალგაზრდული ჩემპიონატი (მესამე ადგილი)...

*"წლეულს "ბარსას" არ უმართლებდა, ორჯერ ვიყავით ტიტულის მოგებასთან ახლოს, მაგრამ ორივე ფინალი ბოლო წუთებზე წავაგეთ. რაც შეეხება ახალგაზრდულ პირველობას, იქ ჩემპიონობა ნაკლებად რეალური იყო, რადგან 20-წლამდელებში შემადგენლობის ნახევარი ჭაბუკთა გუნდიდან იყო. ნახევარფინალში "ესტუდიანტესმა" გვაჯობა. არა უშავს, გაისად მხოლოდ ახალგაზრდებში მომინევს თამაში და ვეცდები, გუნდთან ერთად უკეთესად გამოვიდე."*

როგორც ახალგაზრდებში, ისე იუნიორებში კატალონიელებს ესპანეთში საუკეთესო გამთამაშებლები ჰყავთ, ამიტომ მწვრთნელმა ქართველი უკანახაზელი მსროლელად გადაიყვანა, კოკამაც გაამართლა და მეორე წელიწადია მეორე-მესამე ნომრების ფუნქციებს ასრულებს.

შეგახსენებთ, რომ 2006 წელს იგი კადეტთა ნაკრებს ტრავმის გამო ვერ დაეხმარა. ტრავმა ამჟამადაც აწუხებს, მაგრამ...

*"სერიოზული არაფერია, კოჭი მაწუხებს, თუმცა ვმკურნალობ და მალე ყველაფერი მოწესრიგდება. ბოლო თვეებში ინტენსიური ვარჯიშები გვქონდა, თან ორი ტურნირი ვითამაშეთ და ეტყობა, ფეხი გადამეღალა,"* – თქვა კოკამ და დასძინა – სერიოზულად რომ მტკიებოდა, უკრაინასთან ნამდვილად არ ვითამაშებდიო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## შერმადინი რეიტინგის სათავეში

წუხელ სასიხარულო ინფორმაცია მივიღეთ. გამოქვეყნდა ევროპის საკალთბურთო რეიტინგები, სადაც თბილისის "მაკაბი" მოხსენიებულია მოწინავე კლუბებს შორის, 1988 წლიანებში კი ამ კლუბის წევრი **გიორგი შერმადინი** ლიდერობს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ევროპის რეიტინგში ქართველი კალათბურთელი სახელდება, თანაც პირველ ნომრად. ამასთან, 20 რჩეულ შორის რეიტინგში ცენტრალური თავდამსხმელებიდან მხოლოდ შერმადინია დასახელებული.

ჭაბუკთა ნაკრები

# უკრაინამ ანგარიში გაათანაბრა



საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა უკრაინელ თანატოლებთან საკონტროლო მატჩების სერია დაასრულა. თუ საწყის ორ შეხვედრაში ქართველებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს, მომდევნო ორში უკრაინელებმა იმარჯვეს - 61:71 და 70:76. ასე და ამგვარად, ტესტ-მატჩების სერია მეგობრული ანგარიშით დასრულდა - 2:2.

მეორე შეხვედრაში **მეტრეველი-ტომარაძის** დუეტის აქტიურობის წყალობით, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა 20-ქულიანი სხვაობით დაამარცხა უკრაინელები (81:61) და მესამე მეტჩის სათამაშოდ თავდაჯერებული გავიდა. ამან უარყოფითი შედეგი გამოიღო: სტუმრებმა პირველი მეოთხედი საოცარი ანგარიშით მოიგეს - 22:3. დარჩენილ დროში ქართველებმა სიტუაციის გამოსწორება სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ - 61:71 უკრაინელი ჭაუკების სასარგებლოდ.

ამ შეხვედრაში ყველაზე მეტი 10 ქულა კოკა ტომარაძემ ჩააგდო, ხოლო ნიკა მეტრეველმა 8 ქულას 8 მოხსნა მიამატა.

სერიის მეოთხე დაპირისპირებაში სტუმრებმა კვლავ იბრძოლეს და გამარჯვებულის ბედი ბოლო წუთებზე თავის სასარგებლოდ გადაწყვიტეს - 76:70.

მატჩის სნაიპერი გახდა **ლებედინცევი** (27 ქულა), ხოლო ვიცე-ბომბარდირობა ნიკა მეტრეველმა იკისრა - 20 ქულა და 12 მოხსნა. 11 მოხსნით, 6 ქულითა და 4 შედეგიანი გადაცემით გამოირჩა დინამოელი **დავით მაისურაძე**. ბოლოს შემოგთავაზებთ როგორც ქართველთა, ასევე უკრაინის იუნიორთა ნაკრების თავკაცის კომენტარს.

**მიხეილ კობეშავიძე** (საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი): *"დიდი მადლობა უკრაინის ნაკრებს მატჩებში მაქსიმუმის გაღებისთვის. ასევე, მადლიერების სიტყვებით მინდა მოვიხსენიო კალათბურთის ფედერაცია, რომელმაც ესოდენ საჭირო მატჩებს გაუწია ორგანიზება. ორჯერ გავიმარჯვეთ, ამდენივე შეხვედრა წავაგეთ, მაგრამ ერთის თქმა თამამად შემიძლია - სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ვეცდებით, საუკეთესო ფორმაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის შევიდეთ."*

**ოლეგ რუბინი** (უკრაინის ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი): *"ასეთი მასპინძლობისა და ღირსეული თამაშისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ეს სერია ჩვენთვისაც სასარგებლო იყო და ქართველებისთვისაც. ორივე ნაკრებს საპასუხისმგებლო მატჩები ელის და იმედი მაქვს, ეს გუნდები მოახერხებენ დასახული მიზნის მიღწევას."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

წყალბურთი. ეროვნული ნაკრები

# წყალბურთელებს მთავარი მწვრთნელი მობეზრდათ

## სოსო მაისურაძემ ნაკრები დატოვა

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულ ნაკრებში მთავარი მწვრთნელი შეიცვალა. **სოსო მაისურაძის** ადგილი მისმა თანაშემწე **ირაკლი კიკალიშვილმა** დაიკავა.

ზოგადად, მთავარი მწვრთნელის შეცვლა ჩვეული ამბავია, რადგან ნაკრები ცოცხალი ორგანიზმია - მასზე არავის აქვს ჯვარი დაწერილი, ვილაც მიდის და ვილაც მოდის. თუმცა, ამ შემთხვევაში ცოტა სხვანაირადაა საქმე.

სოსო მაისურაძე თითქმის დამოუკიდებელი ქართული წყალბურთის არსებობის პირველი დღიდანვე ნაკრების სათავეშია. იმ წლებში, როდესაც ეროვნული ნაკრები აღარ არსებობდა, მაისურაძე ახალგაზრდულ გუნდს ხელმძღვანელობდა, რომელიც ხუთჯერ გაიყვანა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ბოლო წლებში კი ეროვნული ნაკრების აღდგენა დაიწყო და მას ედგა სათავეში.

თუმცა, საქმე იქამდე მისულა, რომ ნაკრების წევრებს, უბრალოდ, მობეზრებიათ წლების განმავლობაში ერთი და იგივე მწვრთნელი და ახალი თავკაცი მოუნდომებიათ. მოკლედ, ნაკრები მთავარ მწვრთნელს აუმხედრდა...

ყველაფერი უკრაინის ღია პირველობის მეექვსე ტურზე გადაწყდა, სადაც მწვრთნელსა და წყალბურთელებს შორის კონფლიქტი მოხდა, რამაც მაისურაძე იძულებული გახადა, გუნდი დაეტოვებინა. სხვათა შორის, საამისო ნიშნები უკრაინაში წასვლამდეც შეინიშნებოდა, როდესაც ვარჯიშებზე ნაკრები მაისურაძის მითითებებს ყურს არ უგდებდა...

ასე რომ, საქართველოს ნაკრებში მაისურაძის ხანა დამთავრდა. გუშინ, ამ საკითხზე კომენტარისთვის თავად ბატონ სოსოს შევეხმიანეთ, მაგრამ მან საუბარს თავი აარიდა - მოხდა გაუგებრობა და ყველაფერი პეკინის ოლიმპიადის შემდეგ გადაწყდება, როდესაც საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია საპრეზიდენტო არჩევნებს ჩაატარებსო.

სამაგიეროდ, ჩვენი ინფორმაცია დაადასტურა საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა **დავით რურუამ**.

- ნაკრები ისეთი რამ არის, რომ იქ მარადიულად ვერავინ იმუშავებს. ელემენტარულად, ოჯახი აიღეთ - წლების განმავლობაში ერთად ცხოვრების შემდეგ, ხშირად ცოლ-ქმარს ბეზრდება ხოლმე ერთმანეთი და ასე მოხდა ნაკრებშიც. წყალბურთელებს მოსწყინდათ ამდენი ხანი ერთი და იგივე მწვრთნელი და მისი შეცვლა მოითხოვეს. რას ვიზამთ, როდესაც გუნდს ესა თუ ის მწვრთნელი არ უნდა, ჩვენს სურვილს ძალით ვერ მოვახვევთ თავზე. რა აზრი ექნებოდა მაისურაძის დატოვებას, თუკი მას გუნდი არ დაუჯერებდა? ასეთ სიტუაციაში, თავად სოსომაც აღარ ისურვა მწვრთნელობა და წავიდა.

მოკლედ, ჯერჯერობით, ირაკლი კიკალიშვილი გაწვრთნის ნაკრებს. შემოდგომით კი არჩევნებს ჩავატარებთ, ახალ პრეზიდენტს ავირჩევთ და სამომავლო გეგმებს სერიოზულად ჩამოვაყალიბებთ. ვიმედოვნებ, ყველა მხარში ამოგვიდგება.

**კობა ხატისაშვილი**

ჩოგბურთი

## ლაბაძე, ისევ ნაგება



ირაკლი ლაბაძე

ვერაფრით დაუბრუნდა ძველ სათამაშო ფორმას ერთ დროს საქართველოს პირველი და მსოფლიოს 42-ე ჩოგანი **ირაკლი ლაბაძე**. 27 წლის ჩოგბურთელი იტალიაში იმყოფება, სადაც 100-ათასიან ტურნირში ცდის ბედს. თუმცა ირაკლი წყვილთა თანრიგსლა შემორჩა, რადგან გუშინ ერთეულთა ბადიდან გავარდა. მისი მეტოქე არგენტინელი **ხუან პაბლო ბრეჟიცკი** იყო. ლაბაძემ მატჩი ორ სეტში წააგო – 5:7, 5:7. ქართველი ჩოგბურთელი წყვილთა თანრიგის პირველ მატჩს დღეს ითამაშებს. ის სერბ **ილია ბოზოლიაჩთან** დუეტში სერბულ-ესპანურ წყვილს (**პაშანსკი, ერნანდესი**) შეებრძოლება.

## ჩადუნელმა ვერ გამოანათა

ამერიკაში, ილინოისის შტატის ქალაქ ვინეტკაში ვაჟ ჩოგბურთელთა შორის „ჩელენჯერის" სერიის ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში „უაილდ ქარდით მიიწვიეს 27 წლის **მიხეილ ჩადუნელი**. ეს სპორტსმენი ძალზე იშვიათად თამაშობს საერთაშორისო ტურნირებში. ასე რომ, ქართველისთვის „უაილდ ქარდის" მინიჭება „ნილსენ ჩემპიონშიპის" საკმაოდ სოლიდურ ტურნირში,ჩვენთვის მოულოდნელი იყო. სამწუხაროდ, ჩვენებურმა ღირებული ვერაფერი აჩვენა ტურნირზე და პირველივე საკვალიფიკაციო წრეში მე-7 ნომრად განთესილ კორეელ **აე-სუნ ანთან** დამარცხდა – 1:6, 3:6. ჩადუნელი ურეიტინგო ჩოგბურთელია, 2001 წელს მას მსოფლიო კლასიფიკაციაში ყველაზე მაღალი ადგილი, 1322-ე ეკავა.

## საოცარი მარცხი




იტალიურ კუნეოში **მაკა ჩახნაშვილმა** (179) ვერ შესძლო 100-ათასიანი ტურნირის, „ბანკა რეგიონალე ევროპეას" ძირითად ბადეში გასვლა. ჩვენი თანამემამულე საკვალიფიკაციო ბადეში მე-2 ნომრად იყო განთესილი, მან ორი წრე დასძლია, მაგრამ ფინალურ რაუნდში მე-8 ნომრად განთესილ სერბ **ტეოდორია მირჩიჩთან** (273) დამარცხდა – 6:1, 4:6, 3:6 და ერთეულთა თანრიგს დაემშვიდობა. პირდაპირ საოცარია, როგორ წააგო ჩვენმა საუკეთესო ჩოგბურთელმა მატჩი მასზე გამოუცდელ, 20 წლის ოპონენტთან, მაშინ, როცა მატჩის განმავლობაში 6:1, 4:1-ს იგებდა. მაკა ბრძოლას წყვილთა ბადეში განაგრძობს უნგრელ **კირა ნადისთან** (152) დუეტში. ბედის ირონიით, იქაც მისი მეტოქე ტეოდორა მირჩიჩია სლოვენიელ **ანდრეა კლეპაჩთან** (134) დუეტში.

სირიის დედაქალაქ დამასკოში 17 წლის **მარიამ კუპრეიშვილი** ტურნირის (10 ათასი დოლარი) პირველ წრეში არ გამოუცხადდა 15 წლის უკრაინელ **პოლინა კონოპს**.

## ბადე არის, მეტოქე ჯერ არა

გუშინ, ამერიკის ქალაქ ბოსტონში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი დოლარი) ძირითადი ბადის კენჭისყრა გაიმართა. ამ ტურნირში სამი ქართველი ჩოგბურთელი მონაწილეობდა, **სალომე დევიძე** და **სოფიო მელიქიშვილი** პირველივე საკვალიფიკაციო წრეში დამარცხდნენ, ხოლო ჩვენი უპირველესი იმედი, 18 წლის **ანა ტატიშვილი** (212) ძირითადი ბადიდან შეუდგება ჩოგნის ცემას. ტატიშვილის მეტოქე პირველ წრეში საკვალიფიკაციო ბადიდან გასული სპორტსმენი იქნება, საკვალიფიკაციოში კი ფინალური წრე გუშინ, გვიან ღამით გაიმართებოდა, ასე რომ, ანას მეტოქის ვინაობა ჯერ არ ვიცით. პირველ წრეში გამარჯვების შემთხვევაში, ანა ტატიშვილს მერვედფინალში ან მის მეწყვილესთან, **კიმბერლი კაუტსთან** (291) მოუწევს ორთაბრძოლა, ან - მე-3 ნომრად განთესილ უნგრელ **მელინდა ცინკთან** (120). წყვილთა თანრიგის პირველ წრეში ანა და კიმბერლი კანადელ **სტეფანი დუბუასა** (100) და ამერიკელ **ალექსა გლატჩს** (207) შეხვდებიან.

## ოქსანა პოზიციებს თმობს

გუშინ, 18-წლამდელ ჩოგბურთელთა განახლებული მსოფლიო კლასიფიკაცია გამოქვეყნდა. გოგონებში რეიტინგში 17 ქართველია, მაგრამ მხოლოდ ორს უჭირავს, ასე თუ ისე, მოწინავე პოზიცია. **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელიც კარგა ხანია არ თამაშობს ახალგაზრდებში, განაგრძობს ვარდნას რეიტინგში – ოქსანა 450 ქულით დღეისთვის მსოფლიოს 51-ე ჩოგანია ახალგაზრდებში (სექტემბერში მე-11 იყო). 16 წლის **ეკა გორგოძე** 209 ქულით 174-ე პოზიციაზეა. ათასეულში კიდევ ორი ჩვენებურია: 714. **ნინო მებუკე** და 820. **დიანა დავითაია**. ამავე ასაკის ბიჭების რეიტინგში მხოლოდ 14 ქართველია, თუმცა 7 მათგანი ათასეულშია. 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 199 ქულით მსოფლიო კლასიფიკაციაში 184-ე პოზიციაზეა. **ლაზარე კუხალაშვილი** 115 ქულით 337-ე პოზიციაზეა. სხვები: 412. **ნიკოლოზ ქურდაძე**, 512. **გიორგი ხმიადაშვილი**, 566. **სერგი სიხარულიძე**, 925. **რევაზ ოსაძე** და 933. **ალექსანდრე მეტრეველი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ ალექსანდრა კორაშვილთან

# პირველი ვიზიტი სამშობლოში და პირველი ინტერვიუ

**"ავსტრიის ავიახაზებისა" და "რენასა და დათოს" თასის გამარჯვებულ ალექსანდრე მეტრეველთან ინტერვიუ გუშინ შემოგთავაზეთ. დღეს ასეთივე წარმატებულ ალექსანდრა კორაშვილს შეგახვედრებთ, რომელიც ტომით ქართველი კი გახლავთ, მაგრამ უკრაინაშია დაბადებული და დღესაც ქალაქ ოდესაში ცხოვრობს (ეს ინტერვიუც გასულ შაბათს არის ჩაწერილი). ალექსანდრას საქართველოში მამა - ნოდარიც ახლდა, რომელიც ლაგოდეხში ყოფილა დაბადებული, თუმცა უკრაინაში გაიზარდა და ქართული არ იცის; აი, ბაბუა ლეონტი კი შესანიშნავად საუბრობს მშობლიურ ენაზე, მიუხედავად იმისა, რომ ხუთ ათეულ წელიწადზე მეტია, უკრაინაში ცხოვრობს. ამჟამად თბილისში ალექსანდრას ბაბუის ძმა ცხოვრობს ოჯახით და ყველა ერთად გულშემატკივრობდა საკმაოდ ნიჭიერ და კარგი საჩოგბურთო მომავლის გოგონას. საშა, როგორც მას ოჯახის წევრები ეძახიან, დიდსულოვნად კი დაგვთანხმდა ინტერვიუზე, მაგრამ ენაწყლიანი მოსაუბრე ვერ გამოდგა, - რომ არა მამა და ბაბუა, შესაძლოა, ეს ინტერვიუ არც შემდგარიყო. ალმოჩნდა, რომ საშას სიტყვაძვირობა იმ უხერხულობით ყოფილა გამოწვეული, რომ კარიერაში პირველად იძლეოდა ინტერვიუს. გამიკვირდა, რადგანაც უკრაინაში ალექსანდრა თავის ასაკში პირველი ნომერია, არც უფროსებთან ჭიდილშია ჯაბანი და იქაური საჩოგბურთო გამოცემების ყურადღებითაა გარემოსილი. ასეა თუ ისე, ჩვენი საუბარი შედგა და, ვფიქრობ, მკითხველიც ინტერესით გაეცნობა ინტერვიუს.**

**- საშა, რამდენი წლის ხარ და ჩოგბურთის თამაში როდის დაიწყე?**

- 12 წლის ვარ, ჩოგბურთის თამაში კი როდის დავიწყე, ზუსტად ვერ გეტყვით. საქმე ის არის, რომ ჩემზე 8 წლით უფროსი ძმა დადიოდა ჩოგბურთზე; კორტები ჩვენს სახლთან ახლოს იყო და მშობლებს ხშირად მივყავდი ძმის თამაშის სანახავად. ბავშვობაში საკმაოდ ცელქი ვიყავი - ბევრს ვმოძრაობდი, დავრბოდი... ერთხელაც, ხუთი წლის ასაშკი ჩემზე ბევრად უფროსებს ვაჯობე ადგილიდან ხტომაში. ეს მშობლებმა შეამჩნიეს და მიხვდნენ, რომ სპორტული მონაცემები მაქვს და ჩოგბურთზე მიმიყვანეს.

ჩოგბურთს ალლო იოლად ავუღე და ძალიანაც შემიყვარდა. ფიზიკურადაც მშვენივრად ვგრძნობდი თავს და მალე თანატოლებს ვაჯობე. კარგა ხანია, თანატოლებთან და უმცროსებთან არ მითამაშია, აზრი არ აქვს, ამიტომ უფროსებში ვცდი ხოლმე ძალებს.

**- ფიზიკური სიძლიერე ნამდვილად გეტყობოდა - ორი კვირის განმავლობაში შეხვედრა არ დაგითმია, ამას გარდა, წყვილებშიც იმარჯვე "რენასა და დათოს" თასზე. ათლეტიზმით სხვებისგან ნამდვილად არ გამოირჩევი, მაგრამ აშკარად მოგდევს ჯანი. სპეციალური, განსაკუთრებული სისტემით ვარჯიშობ თუ სხვაგან არის "საიდუმლოს" გასაღები დამალული?**

- განსაკუთრებული მეთოდით ნამდვილად არ ვვარჯიშობ, მაგრამ მძლეოსნობის მწვრთნელი კი მყავს და საერთო-ფიზიკურ მომზადებას მასთან გავდივარ. ასეთი მიდგომა აუცილებელია, რადგანაც ფიზიკური სიძლიერის გარეშე კორტზე წარმატებული ვერ იქნები. თუმცა ბუნებრივი მონაცემებიც მიწყობს ხელს: როცა სამედიცინო შემოწმება გავიარე ფუნქციონალურ მომზადებაზე, ექიმებმა საოცარი დიაგნოზი დამისვეს - ჩემი პულსი მშვიდ მდგომარეობაში უფრო მეტჯერ სცემდა, ვიდრე დატვირთვების დროს! ასეთ მდგომარეობამდე მისვლას ინდოელი იოგები ათწლეულების განმავლობაში ცდილობენ და ხშირად ვერ აღწევენო, მითხრეს. შესაძლოა, ეს არის საიდუმლოს გასაღები, თუმცა მეც ადამიანი ვარ და დაღლას მეც ვგრძნობ, ისე არა, რომ კორტზე წავიქცე - შემიძლია დღეში რამდენიმე მატჩიც ვითამაშო.

ასეთი შესაძლებლობების მიუხედავად, მამა მკაცრად აკონტროლებს ჩემი წვრთნის პროცესს და ამბობს, რომ მთავარი ჯანმრთელობის შენარჩუნებაა, ანუ ზედმეტი დატვირთვებისგან თავის არიდება აუცილებელია. მამა იმასაც ჩამჩიჩინებს, რომ კარგი განათლებაც მივიღო და მხოლოდ ჩოგბურთზე არ ვიფიქრო: ოდესის ჩვეულებრივ სკოლაში ვსწავლობ და ყველა საგანს ვაბარებ; საბედნიეროდ, ჯერ ორივე საქმეს თავს კარგად ვართმევ.

**- თქვი, რომ თანატოლებთან და უმცროსებთან აღარ თამაშობ, - აქაც 16-წლამდელებში იმარჯვე. ასე თუ გააგრძელე, სულ მალე გაიღება შენთვის ქალთა ტურნირების კარები, მაგრამ, დამეთანხმები, რომ ელიტაში შესვლისთვის მაინც სხვა დონის მომზადებაა საჭირო, რაც, ეჭვი მაქვს, უკრაინაში შეუძლებელი იქნება... ხომ არ ფიქრობ ამერიკაში ან ევროპის რომელიმე ცნობილ საჩოგბურთო აკადემიაში სწავლის გაგრძელებას?**

- აქაც მამის აზრს დავეყრდნობი და ვთვლი, რომ მამა არ ცდება: საქმე ის არის, რომ თანამედროვე ევროპული ჩოგბურთი ძალიან განვითარდა და ჩვენი აზრით, ამერიკულს გაასწრო. თუ კარგად დააკვირდებით, ამერიკელი ჩოგბურთელები ვეღარ ყოჩაღობენ და ვერც იქ მოვარჯიშე ევროპელები აღწევენ დიდ წარმატებებს. დღეს ევროპელი ჩოგბურთელები არიან წინა პლანზე - სერბები, ესპანელები, რუსები, ჩეხები, შვეიცარიელები და ასე შემდეგ. ასე რომ, არსად წასვლას არ ვაპირებ, მხოლოდ ვეცდები, ტურნირებში ხშირად ვითამაშო და ამ გზით ავიმაღლო ოსტატობა.

**- ჯერჯერობით, ყველაფერი კარგად მიდის და იმედია, ასევე გაგრძელდება. გაისად თუ ჩამოხვალ ამავე ტურნირებში სათამაშოდ?**

- აუცილებლად. საკმაოდ ძლიერი ტურნირები იყო და, ალბათ, მომავალ წელს კიდევ უკეთესი იქნება.

**- საქართველოში, შენს ისტორიულ სამშობლოში პირველად ხარ?**

- დიახ, პირველად ვარ და ძალიან მომწონს აქაურობა. დატვირთული გრაფიკის გამო, თბილისი კარგად ვერ დავათვალიერე, მაგრამ რამდენიმე ღირსშესანიშნაობა კი ვნახე: ვიყავი სამების ტაძარში, ფუნიკულიორზე, ძველ თბილისში; ხვალ მცხეთას დავათვალიერებთ. სამწუხაროდ, ლაგოდეხის ნახვა ვერ მოვასწარი - ერევანში მივდივარ საერთაშორისო ტურნირებზე. იმედია, გაისად მომეცემა მამისა და ბაბუის მშობლიური მხარის ხილვის შესაძლებლობა.

**- სტუმრებისადმი ქართველთა ტრადიციული კითხვაც არსებობს - სამზარეულო როგორ მოგეწონა, თუ დააგემოვნე ქართული კერძები?**

- ვიცი, რომ ქართული სამზარეულო ძალიან გემრიელია, მაგრამ როცა სპორტულ რეჟიმში ხარ, კვების რეჟიმიც თავისებურია და ამიტომ ტურნირის დროს კვების რაციონში ცვლილების შეტანა დიდ რისკთან არის დაკავშირებული: იმას კი არ ვამბობ, რომ მაწყენდა და ავად გამხდიდა, მაგრამ უცხო კერძებმა შეიძლება მცირე დისკომფორტი შემიქმნას, რაც თამაშზე იქონიებს გავლენას. რახან ტურნირი დასრულდა, უკვე შეიძლება ნამდვილ ქართულ სამზარეულოს გავუსინჯო გემო და, სხვათა შორის, დღეს მთელი ოჯახი ქართულ რესტორანში მივდივართ. ხაჭაპური კი დავაგემოვნე და ძალიანაც მომეწონა.

**- წარმატებებს გისურვებ და გაისადაც გელით.**

- დიდი მადლობა. აუცილებლად გეწვევით კვლავ.

**ზვიად შათირიშვილი**



ავსტრიის ავიახაზების გენერალური მენეჯერი საქართველოში ევა ბერგერი მთავარ პრიზს გადასცემს ალექსანდრა კორაშვილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ორი ტური დარჩა...


მაია ლომინეიშვილი

თურქულ საჭადრაკო ლიგაში ცამეტი ტური მიილია და ერთპიროვნული ლიდერი, ისევ და ისევ, **ნანა ძაგნიძის** გუნდი „ტრუვა სატრანჯსფორია", რომელიც ქალაქ ადანას ეკუთვნის. „ტრუვას" ცამეტი შეხვედრიდან ცამეტი გამარჯვება აქვს; პარტიათა მიხედვით კი, 96 ქულა დაუგროვდა. მეორე ადგილზე „დორუკ კოლეჯია", რომელშიც არც ერთი ქართველი არ თამაშობს, - „დორუკს" 11 მოგება და ორი წაგება აქვს; ქულათა საერთო რაოდენობა – 86,5. მესამე პოზიციას ინარჩუნებს **მერაბ გაგუნაშვილისა** და **სალომე მელიას** „თურქ ჰავა იოლარი სფორი". მათი მონაგარიც 11 მოგება და ორი მარცხია, მაგრამ ქულათა საერთო რაოდენობა 85 აქვს, ამიტომ მესამე ადგილზე არიან. მეოთხე ადგილზე აინაცვლა ქალაქ დენიზლის გუნდმა - „სერვერგაზი ბელედიესფორი", რომელშიც სამია საქართველოდან: **დავით არუთინიანი, თორნიკე სანიკიძე** და **მაია ლომინეიშვილი**. ამ გუნდის ანგარიშზე 9 მოგება და 4 მარცხია; ქულათა საერთო რაოდენობა -79. მერვე ადგილზეა დენიზლის კიდევ ერთი კლუბი - „ერ-ბაქირსფორი". აქ სამი ქართველია: **თამაზ გელაშვილი, ლევან აროშიძე** და **ნინო ხურციძე**. „ერ-ბაქირსფორს" 6 მოგება, ერთი ფრე და 6 წაგება აქვს.

სამი ქართველის „სავანეა" ქალაქ მერსინის „ტარსუს ზეკა სატრანჯი" - **დავით ზარქუა, ანა მათნაძე** და **ქეთი წაწალაშვილი** არიან ამ გუნდის წევრები. მათი მონაგარი არცთუ მწირია: 6 მოგება, ერთი ფრე და 6 წაგება, ჯამში 69 ქულა და ამ მაჩვენებლით მეშვიდე ადგილზე არიან. მეათეა **კონსტანტინე შანავასა** და **ლელა ჯავახიშვილის** გუნდი - „ჩალისფორი" (ანთალია). „სელჩუკ უნივერსიტისი" კი ბოლო - მეთექვსმეტე ადგილზეა. ამ კლუბში ორი ქართველი თამაშობდა - **მიხეილ მჭედლიშვილი** და **სოფიო გვეტაძე**, მაგრამ მჭედლიშვილმა ადრიანად დატოვა კლუბი და კვირას გამართულ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ყრილობასაც კი დაესწრო. კლუბში მხოლოდ გვეტაძე დარჩა. სამწუხაროდ, „სელჩუკებმა" ვერაფრის დაპყრობა და ძლევა ვერ მოახერხეს ამჯერად და ცამეტივე წაგებით უიმედო აუტსაიდერები არიან.

გამოსარჩევია რამდენიმე ჩვენებურის პირადი მაჩვენებელი. ბრწყინვალე შედეგი აქვთ მაია ლომინეიშვილს და ნანა ძაგნიძეს, რომლებსაც ცამეტიდან 11,5 ქულა დაუგროვდათ. მეცამეტე ტურში ლომინეიშვილმა 2006 წლის ევროპის ჩემპიონი თურქი **ეკატერინა ათალიკი** დაამარცხა, თანაც - შავებით! ტურნირის დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა, მაგრამ ამით თურქული ლიგა არ მთავრდება, - ეს მხოლოდ პირველი ეტაპი იყო. თუ რამდენჯერ მოუწევთ ქართველ მოჭადრაკეებს ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში თურქეთში ჩასვლა საკლუბო ტურნირებისთვის, ამას საქართველოში მათი ჩამოსვლის შემდეგ შეგატყობინებთ.

ზვიად შათირიშვილი

მეკლდეურობა. საქართველოს ჩემპიონატი

# მზადება ევროპისთვის

რამდენიმე წლის შესვენების შემდეგ მეკლდეურთა შეჯიბრებები კვლავ სტეფანწმინდაში, სოფ. გველეთის მიმდებარე ბუნებრივ კლდეებზე ჩატარდა. აქ 4 ივნისიდან, თავდაპირველად, დაიწყო საქართველოს ახალგაზრდული პირველობა მეკლდეურობის ორ სახეობაში - (რთული და სწრაფი ცოცვა) ვაჟებსა და გოგონებში სამ ასაკობრივ ჯგუფებში (1990-91 უფროსი, 1992-93 საშუალო და 1994-95 უმცროსი ასაკი). შეჯიბრებებში 8 გუნდი მონაწილეობდა – მესტია, ლენტეხი, ბათუმი, ქუთაისი, ქარელი, სტეფანწმინდა, თბილისი – 1 და თბილისი – 2. როგორც პირად, ისე გუნდურ პირველობაზე საუკეთესო შედეგი მესტიელებს ჰქონდათ. (ოქროს 7, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 1 მედალი.) მეორე ადგილი გუნდურ ჩათვლაში თბილისის პირველმა გუნდმა დაიკავა, მესამეზე ქუთაისის ნაკრები გავიდა.

ახალგაზრდული პირველობის შემდეგ ესტაფეტა საქართველოს ჩემპიონატმა მიილო. მიუხედავად ამინდის ჭირვეულობისა, შეჯიბრება სრული პროგრამით ჩატარდა. სწრაფ ცოცვაში გოგონათა შორის საუკეთესო შედეგი მესტიელმა **მარიანა იოსელიანმა** აჩვენა, მანვე გაიმარჯვა რთულ ცოცვაში და ახალგაზრდებში მოპოვებულ ორ ოქროს, დიდებში კიდევ ორი მიუმატა, იგი რთულ ცოცვაშიც უძლიერესი იყო და აბსოლუტურშიც. სისწრაფეში მეორე ადგილი **მარინე გუჯეჯიანმა** (მესტია) დაიკავა, მესამეზე **ნუცა ხუციშვილი** (თბ.1) გავიდა. რთულ ცოცვაში მეორე ადგილი თბილისელ **მარიამ კუციას** ხვდა, მესამე **მელანო გუჯეჯიანი** (მესტია) იყო.

ვაჟთა შორის რთული ცოცვის ფინალს, წვიმა დაემთხვა. აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, უძლიერესის სახელი **ავთო ქურასბედიანმა** მოიპოვა, რომელიც რამდენიმე წელიწადია ლიდერობს საქართველოს ნაკრებში. მანვე გაიმარჯვა სწრაფ ცოცვაში. მეორე – მესამე ადგილები შესაბამისად, **ბექა ნავერიანმა** (მესტია) და **დათა გომიაშვილმა** (სტეფანწმინდა) გაინაწილეს.

რთულ ცოცვაში ქუთაისელი **ემზარ კილაძის** გამოსვლა ერთ-ერთი სიურპრიზი იყო, მან შესანიშნავად იასპარეზა და მეორე ადგილი პირველად დაიკავა ქვეყნის ჩემპიონატში. მესტიელმა **გიო ზურებიანმაც** პირველად დაიმსახურა ბრინჯაოს მედალი.

ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ორი ან სამი მეკლდეური შეირჩევა. ისინი ინტენსიურად მოემზადებიან ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც წლეულს, ოქტომბერში, საფრანგეთში გაიმართება.

ფედერაციას ევროპის ჩემპიონატისთვისაც ფინანსურ მხარდაჭერაში სპორტის დეპარტამენტის იმედი აქვს. არმონაწილეობას, წესით, საერთაშორისო ფედერაციიდან მოკვეთა მოჰყვება.

**ტექნიკური შედეგები**

მეკლდეურობა, სწრაფი ცოცვა (ვაჟები)

**უფროსი ასაკი (ვაჟები)**

1990-91წ.წ.
ბექა ნავერიანი (მესტია)
შალვა ციბაძე (ქუთაისი)
გიორგი მაწკევლაძე (ქუთაისი)

**საშუალო ასაკის (ვაჟები)**

1992-93წ.წ.
ტოტა ქეხანი (მესტია)
გიორგი ზურებიანი (მესტია)
მირზა ქურასბედიანი (ლენტეხი)

**უმცროსი ასაკი (ვაჟები)**

1994-95წ.წ.
მამუკა ხუციშვილი (სტეფანწმინდა)
დათო მუხელიანი (ლენტეხი)
ლაშა ფირცხალაიშვილი (თბილისი-I)

**რთული ცოცვა (ვაჟები)**

უფროსი ასაკი
ბექა ნავერიანი (მესტია)
თემური გაბულდანი (თბილისი-I)
გიორგი მაწკევლაძე (ქუთაისი)

**საშუალო ასაკი**

ტოტა ქეხანი (მესტია)
გიორგი ზურებიანი (მესტია)
გიორგი გაბულდანი (თბილისი-I)

**უმცროსი ასაკი**

ლაშა ფირცხალაიშვილი (თბილისი-I)
მამუკა ხუციშვილი (სტეფანწმინდა)
სერგო გოგიტიძე (ბათუმი)

**გუნდური**

I – მესტია – 143 ქ.
II – თბილისი-I – 121 ქ.
III – ლენტეხი – 95 ქ.

**სწრაფი ცოცვა (გოგონები)**

უფროსი ასაკი
ნუცა ხუციშვილი (თბილისი-I)
ნათია უთრუტაშვილი (თბ-I)
მელანო გუჯეჯიანი

**საშუალო ასაკი**

მარიანა იოსელიანი (მესტია)
დუდუშა ლიპარტელიანი (ლენტეხი)
მარიამ კუცია (თბ-I)

**უმცროსი ასაკი**

თამარი ლომაძე (ბათუმი)
სალომე მეშველიანი (ლენტეხი)
აზა ჩიქოვანი (ლენტეხი)

**რთული ცოცვა (გოგონები)**

უფროსი ასაკი
ქეთინო გულბანი (მესტია)
ნუცა ხუციშვილი (თბ-I)
სოფო იმნაიშვილი (თბ-I)

**საშუალო ასაკი**

მარიანა იოსელიანი (მესტია)
მარიამ კუცია (თბ-I)
დუდუშა ლიპარტელიანი (ლენტეხი)

**უმცროსი ასაკი**

თამარი ლომაძე (ბათუმი)
აზა ჩიქოვანი (ლენტეხი)
მარიამ ქიტაძე (ბათუმი)

*მეკლდეურობა, საქართველოს ჩემპიონატი, 8-13 ივნისი 2008 წ. სტეფანწმინდა*

**სწრაფი ცოცვა (ვაჟები)**

ავთო ქურასბედიანი (თბ.-I)
ბექა ნავერიანი (მესტია)
დათა გომიაშვილი (სტეფანწმინდა)

**რთული ცოცვა (ვაჟები)**

ავთო ქურასბედიანი (თბ.-I)
ემზარი კილაძე (ქუთაისი)
გიორგი ზურებიანი (მესტია)

**გოგონები. სწრაფი ცოცვა**

მარიანა იოსელიანი (მესტია)
მარინე გუჯეჯიანი (მესტია)
ნუცა ხუციშვილი (თბ.-I)

**რთული ცოცვა (გოგონები)**

მარიანა იოსელიანი (მესტია)
მარიამ კუცია (თბ.-I)
მელანო გუჯეჯიანი (მესტია)

**B გუნდური**

მესტია – 84 ქ.
თბილისი-I – 57 ქ.
ქუთაისი – 14 ქ.

ლადო გურჩიანი
*შეჯიბრების მთავარი მსაჯი, მეკლდეურობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი*

ავტოსპორტი

# ჩქაროსნული მანევრირების ოსტატები

## ისტორია კი ასე იწყებოდა



ფილოლოგია საინტერესო დარგია და ურთულესიც. ძალიან მნიშვნელოვანია თუ ამ დარგში გამოცდილი მასწავლებელი გყავს. თუმცა მარტო გამოცდილება არ კმარა. პედაგოგს შეგირდებთან ურთიერთობის იდეალურად დამყარება უნდა შეეძლოს. ასეთად მახსოვს ქალბატონი **ლია ანდღულაძე**, განსაკუთრებით კი **დოდო ჯორბენაძე**, დოდო დეიდა, როგორც მას დღემდე ეძახიან და ეს ფამილარობა კი არ არის, არამედ უდიდესი პატივისცემა. ლექსებისა და პოემების, მოთხრობების დაზეპირების გარდა, ჩვენ ტესტებსაც გვიტარებდნენ. მაგალითად, ასეთს: შემოდგომაა, ფოთლები გაყვითლდა და ცვენას იწყებს. თქვენ პარკში ან ქუჩაში სეირნობთ. უცებ ხედავთ, როგორ მოაქვს ნიავს ფოთოლი და საცაა მიწაზე დაეცემა. აღწერეთ ეს გზა და თქვენი ფიქრები ამ მოვლენაზე. ანდა, მასწავლებელი გვიჩვენებდა ფოტოს და ჩვენ ამაზე თავისუფალი თემა უნდა აგვეგო.

აი, ახლაც ვზივარ მაგიდასთან, ვათვალიერებ ავტოსპორტში ჩემ მიერ გადაღებულ ფოტოებს, სხვათა შორის, არც ისე ცუდს, როგორც მეგობრები და სპეციალისტები ამბობენ. აი, სურათების სერიაც, რომელიც 1998 წელსაა გადაღებული და ასახავს ჩქაროსნული მანევრირების ოსტატების ასპარეზობას თბილისში, რიყეზე.

ვათვალიერებ ამ ფოტოებს და გონებაში ნელ-ნელა იმ შეჯიბრების მაშინდელი პერიპეტიები ისახება. მაშინ ახალი დაწყებული იყო ავტომრბოლების პროფესიონალებად და მოყვარულებად დაყოფა. ისინი ერთად ასპარეზობდნენ და მხოლოდ ოსტატობით გამოარჩევდი ერთმანეთისგან. უმეტესობა "ვაზ-2105"-ით, "ვაზ-2106"-ით, "ვაზ-2108"-ით გამოდიოდა. იშვიათად გაერეოდა ხოლმე უცხოური მოდელით მოასპარეზე.

რიყეზე ისინი მანევრირების სიზუსტეში, სისწრაფეში, მხედველობითი მახსოვრობის უნარში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და "ფიგურებს" არაჩვეულებრივად ხაზავდნენ. მოკლედ, შეჯიბრება ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობდა. ჩამოგითვლით მონაწილეებს და თავადაც მიხვდებით, ვისთან გვქონდა საქმე. აი ისინიც: **ნუგზარ წამლაშვილი**, სხვათა შორის, ალმართის ჩქაროსნული დაძლევის და რალის დიდოსტატი, **მერაბ ("გარეგინოვიჩი") შენგელია, ირაკლი ჯაჯანაშვილი, კახა კეჟერაშვილი, ჯემალ გულურაშვილი, ლევან ლომაძე, ზურაბ ბეჟაშვილი, ალეკო ასათიანი, მამუკა ჯანელიძე, ზაზა და კოტე იაშვილები** (ჩემი ბავშვობის მეგობრები), **ზურაბ ბაბუციძე, შალვა ოგბაიძე** და სხვები. მოგვიანებით მათ დაემატა **პაატა გამბარაშვილი** და მისი მეუღლე **ქეთევან დვალი, დავით წიკლაური, დავით იაშვილი** (ზაზასა და კოტეს უმცროსი ძმა, რომლისგანაც რალის კარგი პილოტი დადგებოდა), **ვიქტორ ბაგრამოვი, სანდრო იაშვილი** (ზაზა იაშვილის ვაჟი).

ტექნიკის შემოწმება და სამედიცინო დახმარების გაწევა ევალებოდა **ვახტანგ სულაძეს**. რბოლის ორგანიზება და შედეგების ზუსტად დაფიქსირება - **მამუკა მიქიაშვილსა** და **ზურაბ იაშვილს**, რომელსაც მეტსახელად "ენცოს" ეძახიან, "ფერარისადმი" უდიდესი სიყვარულის გამო. ზურაბს დღესაც შეხვდებით "ფერარის" უნიფორმაში გამოწყობილს ყველა შეჯიბრების დროს. ბოდიში, თუ ვინმე გამომრჩა.

მსაჯი ინფორმატორი გახლდათ **ნუგზარ ბაინდურაშვილი**. მას არასდროს გამორჩენია შეჯიბრების არც ერთი დეტალი და ავტომრბოლების ასპარეზობას ზოგჯერ იუმორითაც აღწერდა.

ძალზე მეგობრული და მხიარული ატმოსფერო სუფევდა ყოველ შეჯიბრებაზე, რომლის ორგანიზაცია ევალებოდა საქართველოს ავტოფედერაციის ორ ხელმძღვანელს, როგორც აღმოჩნდა, თანაკლასელებს, **ვიქტორ თოდაძესა და შალვა ოგბაიძეს**. ჩქაროსნულ მანევრირებაში ისინი მისაბაძნიც კი იყვნენ.

მალე პრიზიორების სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვებაც კი დაიწყეს. როცა ჩემპიონატის კალენდარი გაფართოვდა და მასში სხვა დისციპლინებიც გაჩნდა ავტოსპორტიდან, საჩუქრებმა უფრო სერიოზული სახე მიიღო: ავტომრბოლების ეკიპირება, მანქანის ზეთები და სხვა. შამპანურის შხეფებით წუწაობაც კი ხდებოდა პოდიუმზე. მახსოვს, ერთხელ, ბანანით სავსე მთელი ყუთითა და ნაყინით დააჯილდოეს,- ტრასაზე სიმამაცისთვის. მის მაგალითს ბევრმა ქალმა ავტომოყვარულმა მიბაძა და შეჯიბრებები უფრო საინტერესო გახდა. ცალკე ჩათვლაც კი შემოიღეს.მერე და მერე, უფრო მეტი ავტომოყვარული ჩაება ჩქაროსნულ მანევრირებაში, ახლა კი მათთან ერთად ასპარეზობა პროფესიონალებსაც ალარ ეთაკილებათ. თუმცა აღარაა ისეთი ატმოსფერო, როგორიც ადრე იყო. არა, მხიარულება და იუმორი არის, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ის პერიოდი ჯობდა. შეიძლება შემედავონ, მაგრამ მე ასე მიმაჩნია...

დავით ჩუბინიძე

ჩოგბურთი. უიმბლდონი

# პირველი ჩინელი უიმბლდონის ნახევარფინალში

"ოლ ინგლენდ კლაბის" საჩოგბურთო კომპლექსი სრულიად უილიამსური მესამე ფინალისთვის ემზადება. ორად ორი ჩოგბურთელი, რომლებსაც **სერენა** და **ვენუს უილიამსებისთვის** ფინალში გასვლაში ხელის შეშლა შეუძლიათ, რუსი **ელენა დემენტიევა** და ჩინელი **ძი ჭენი** არიან.



მართალია, ბალახის კორტების სპეციალისტად არც დემენტიევა ითვლება, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ ფინალის ერთ-ერთი საგზურისთვის, ტურნირის ძირითად ბადეში ორგანიზატორების მიერ სპეციალურად მიწვეული (უაილდ ქარდით) ჩოგბურთელი ითამაშებდა. თუნდაც, ამ ჩოგბურთელს ქალთა წყვილებში დიდი სლემის ორი ტიტული (ავსტრალია, უიმბლდონი) ჰქონდეს მოპოვებული.

ასეა თუ ისე, გუშინ ძი ჭენმა ერთ-ერთ მეოთხედფინალში ჩეხ **ნიკოლ ვაიდიშოვას** სამ სეტში აჯობა და კარიერაში პირველად გავიდა დიდი სლემის ტურნირის ერთეულთა ნახევარფინალში. სხვათა შორის, ის პირველი ჩინელი ჩოგბურთელია (ორივე სქესში), ვინც უიმბლდონის ნახევარფინალს მიაღწია.

მეოთხედფინალური ბარიერი იოლად გადალახეს უილიამსებმა. უიმბლდონის ოთხგზის ჩემპიონმა ვენუსმა ტაილანდელ **ტამარინ ტანასუგარნს** ორ სეტში მოუგო, სერენამ კი, ვისაც ამავე ტურნირის ფინალში თავისი და ორჯერ ჰყას დამარცხებული, ასევე ორი სეტი იმყოფინა პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკას** დასამარცხებლად. ნახევარფინალში ვენუსის მეტოქე დემენტიევა იქნება, რომელსაც სამი სეტი დაჭირდა თანმემამულე **ნადია პეტროვას** დასამარცხებლად, სერენა კი საჩოგბურთო გამოცდას ჩინელი ჩოგბურთელისგან ჩაიბარებს.

გუშინდელი შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესო მაინც რუსთა დაპირისპირება გამოდგა. დემენტიევამ, ვისი საუკეთესო შედეგიც აქამდე უიმბლდონის მეოთხედფინალში გასვლა იყო, პირველი სეტი იოლად მოიგო და მეორეშიც 5:1 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ყურადღება გაეფანტა, რამაც ლამის ტურნირის გარეთ დატოვა. პეტროვამ ანგარიშის გათანაბრება შეძლო და ტაიბრეიკზე სეტი თავად მოიგო. თითქოს, საფრანგეთის ღიას ისტორია უნდა გამეორებულიყო, სადაც ანალოგიურ სიტუაციაში, დემენტიევა **დინარა საფინსთან** დამარცხდა. მაგრამ ამჯერად, მან მეტად მოინდომა და მესამე სეტის მოგებით, შეხვედრაც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

*"თავისუფლად შემეძლო, შეხვედრა ორ სეტში დამემთავრებინა. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ შეცდომებს ვუხშირე. მერე საფრანგეთის ღიას მეოთხედფინალიც გამახსენდა. მესამე სეტის დაწყებამდე ვცადე, პარიზულ ისტორიაზე აღარ მეფიქრა და როგორც ჩანს, ამან გაამართლა"*, - შეხვედრის შემდეგ განაცხადა დემენტიევამ, ვინც ტურნირს შემორჩენილთა შორის, განთესვის უმაღლესი ნომრით (მეხუთე) თამაშობს.

ჭენმა იმითაც გამოიჩინა თავი, რომ ტურნირი ოთხ განთესილ ჩოგბურთელს დაატოვებინა. მეოთხე ვაიდიშოვა იყო, რომელმაც თითქოს, მეორე სეტში შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა, მაგრამ ჩინელმა გადამწყვეტ სეტში მას ყველა შანსი გადაუწურა.

სხვათა შორის, ჭენს, ვისაც შარშანდელი სეზონი, კანჭის ტრავმის გამო თითქმის მთლიანდ გაუცდა, ფინალის დღეს (შაბათს) 25 წელი უსრულდება და რა თქმა უნდა, საიუბილეოდ მისთვის საუკეთესო საჩუქარი უიმბლდონის ტიტულის მოპოვება იქნება, მაგრამ საეჭვოა, სერენას დამარცხება შეძლოს. თუმცა, მსოფლიოს პირველი ჩოგნის, სერბი **ან ივანოვიჩის** დამმარცხებლისგან ამჯერადაც ბევრი რამაა მოსალოდნელი.

რაც შეეხება სერენას, მან ამ ტურნირზე უკვე მეორე პოლონელს, მეორე რადვანსკას მოუგო. მეორე წრეში ტურნირი უმცროს, **ურსულა რადვანსკას** დაატოვებინა, გუშინ აგნიეშკას გაუსწორდა, წყვილებში კი, მან და ვენუსმა აგნიეშკასა და კიდევ ერთი პოლონელის, **მარტა დომახოვსკას** დუეტს მოუგეს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ქალები. მეოთხედფინალი**

**ელენა დემენტიევა (რუს, 5)**-ნადია პეტროვა (რუს, 21) 6:1, 6:7(6), 6:3
**სერენა უილიამსი (აშშ, 6)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 14) 6:4, 6:0
**ვენუს უილიამსი (აშშ, 7)**-ტამარინ ტანასუგარნი (ტაილ) 6:4, 6:3
**ძი ჭენი (ჩინ)**-ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 18) 6:2, 5:7, 6:1

ჩოგბურთი. WTA-ს რეიტინგი

# ანამ ტახტი შეინარჩუნა

როლან გაროსის მოგების შემდეგ, სერბი **ანა ივანოვიჩი** სათავეში ჩაუდგა ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (WTA) რეიტინგს. უიმბლდონის დაწყებამდე, სპეციალისტები იმის შესახებ ბჭობდნენ, თუ რამდენი ხანი გაძლებდა პირველი ჩოგანის რანგში სერბი მოთამაშე.



იანკოვიჩმა შანსი ვერ გამოიჩენა

უიმბლდონის მეორე წრეში წაგების შემდეგ, ივანოვიჩმა და **მარია შარაპოვამ** კონკურენტებს გზა გაუხსნეს. კლასიფიკაციის უმაღლეს საფეხურზე ასვლის შანსი რუსმა **სვეტლანა კუზნეცოვამ** და სერბმა **ელენა იანკოვიჩმა** მიიღეს, მაგრამ ამჯერად, ივანოვიჩი გადარჩა. კუზნეცოვამ და იანკოვიჩმა მერვედფინალში წააგეს თავიანთი შეხვედრები და გაახანგრძლივეს ანას საჩოგბურთო ოლიმპზე ყოფნა. პირველი ივლისისთვის, WTA-ს რეიტინგის ათეულში ასეთი მდგომარეობაა:

**WTA-ს რეიტინგი**

| | | |
|---|---|---|
| 1. ანა ივანოვიჩი | 90 | 3828 |
| 2. ელენა იანკოვიჩი | 140 | 3685 |
| 3. მარია შარაპოვა | 60 | 3626 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა | 140 | 3455 |
| 5. ელენა დემენტიევა | 250 | 2905 |
| 6. სერენა უილიამსი | 250 | 2676 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე | 140 | 2486 |
| 8. დინარა საფინა | 90 | 2287 |
| 9. აგნიეშკა რადვანსკა | 250 | 2171 |
| 10. ვერა ზვონარევა | 60 | 1972 |

*(პირველ გრაფაში მოცემულია უიმბლდონზე მოპოვებული ქულების რაოდენობა, მეორეში - რეიტინგში ქულების საერთო რაოდენობა)*

ძნელი გასახსენებლია ისეთი შემთხვევა, როცა "დიდი სლემის" ტურნირის მეოთხედფინალში, საუკეთესო ოთხეულის არცერთი ჩოგბურთელი არ ყოფილიყოს შემორჩენილი. ამჯერად კი, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მეოთხედფინალისტებს შორის, ყველაზე მაღალი განთესვის ნომერი **ელენა დემენტიევასა** (5) და **სერენა უილიამსს** (6) აქვთ, თუმცა უიმბლდონის მოგების შემთხვევაშიც, ვერცერთი მათგანი ვერ შეაღწევს WTA-ს რეიტინგის პირველ სამეულში.

უიმბლდონური სენსაციების წყალობით, ივანოვიჩს არ გაუჭირდება აშშ-ის ღია პირველობამდე პირველი ადგილის შენარჩუნება და სავარაუდოდ, სწორედ "დიდი სლემის" რიგით მეოთხე ტურნირზე გაირკვევა 2008 წლის სეზონისთვის ძალთა საბოლოო თანაფარდობა.

კლასიფიკაციის შემოღების დღიდან, ქალთა ჩოგბურთში სულ 17 მოთამაშე იყო პირველი ნომერი.

| ჩოგბურთელი | დრო | თარიღი |
|---|---|---|
| 1. შტეფი გრაფი | 377 კვირა | 17.08.87 |
| 2. მარტინა ნავრატილოვა | 332 | 10.07.78 |
| 3. კრის ევერტი | 260 | 03.11.75 |
| 4. მარტინა ჰინგისი | 209 | 31.03.97 |
| 5. მონიკა სელეში | 178 | 11.03.91 |
| 6. ჟუსტინ ანენი | 117 | 20.10.03 |
| 7. ლინდსი დავენპორტი | 98 | 12.10.98 |
| 8. სერენა უილიამსი | 57 | 08.07.02 |
| 9. ამელი მორესმო | 39 | 13.09.04 |
| 10. ტრეისი ოსტინი | 21 | 07.04.80 |
| 11. კიმ კლაისტერსი | 19 | 11.08.03 |
| 12. ჯენიფერ კაპრიატი | 17 | 15.10.01 |
| 13. მარია შარაპოვა | 17 | 22.08.05 |
| 14. არანჩა სანჩესი | 12 | 06.02.95 |
| 15. ვენუს უილიამსი | 11 | 25.02.02 |
| 16. ანა ივანოვიჩი | 5 | 07.06.08 |
| 17. ივონ გულაგონგი | 2 | 26.04.76 |

**გია თვალაბეიშვილი**

ინტერვიუ ენდი მარეისთან

# ბრიტანეთში ჩოგბურთი არ აინტერესებთ

**ტიმ ჰენმანისა** და გრეგ რუზეცკის დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ, შოტლანდიელი ენდი მარეი ბრიტანული ჩოგბურთის მთავარ იმედად რჩება. კუნძულელები სწორედ მარეიში ხედავენ იმ მესიას, რომელიც გაერთიანებულ სამეფოს უიმბლდონზე ასე ნანატრი ტრიუმფი უნდა მოუტანოს.



ამჯერად, ენდი, როგორც არასდროს, ისე ახლოსაა ამ მიზანთან. ის უიმბლდონის მეოთხედფინალშია გასული, სადაც ურთულესი მატჩი ელის ესპანელ რაფაელ ნადალთან. თუ შოტლანდიელი ამ ბარიერს გაივლის, ვინ იცის, იქნებ ბრიტანელებს მართლაც ეღირსოთ უიმბლდონის თანამემამულე ჩემპიონი.

**- ჩოგბურთიდან ტიმ ჰენმანისა და გრეგ რუზეცკის წასვლის შემდეგ, თქვენ ბრიტანული ჩოგბურთის მთავარი ვარსკვლავი ხართ. ამ სტატუსით, ალბათ, ძალიან ამაყობთ?**

- დანარჩენ ევროპასთან შედარებით, ჩვენ ძალიან შეზღუდულები ვართ. ყველა ფიქრობს, რომ თუ გაერთიანებულ სამეფოში საუკეთესო ხარ, ეს ოცნების უმაღლესი მწვერვალია და უკეთესი არაფერი არსებობს. მაგრამ თქვენ ვერასოდეს მოისმენთ ნადალისგან, რომ ის - ნომერ პირველია ესპანეთში. რაფას სურს, რომ მსოფლიო მას პლანეტის მეორე ჩოგანის რანგში აღიქვამდეს.

**- ჩვეულებრივ, სად ვარჯიშობთ ხოლმე?**

- შინ დიდ დროს არ ვატარებ, მაგრამ ხშირად ვარ როუჰემპტონში, ეროვნულ საწვრთნელ ცენტრში - ეს ინგლისური ჩოგბურთის შტაბია მრავალმილიონიანი დაფინანსებით. მაგრამ იქ ვერავის ნახავთ. ხშირად პარტნიორს ვერ ვპოულობ იმისთვის, რომ ერთი-ორი პარტია ვითამაშო.

ინგლისელი ჩოგბურთელების უმრავლესობა დღეგამოშვებით ვარჯიშობს. ასოციაციის წყალობით, აქ ბრწყინვალე ალჭურვილობაა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს ვინმეს აინტერესებს. რამდენჯერაც შევედი სატრენაჟორო დარბაზში, იქ არასდროს არავინ მინახავს.

ჩემი აზრით, გარკვეული პრობლემები არსებობს ინგლისურ მენტალობასა და ინგლისურ ეთიკასთან მიმართებაში. რაღაც არ არის წესრიგში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სპორტსმენებს ეხება. რაც მთავარია, არცერთი მათგანი არ აღიარებს ამას.

**- მაინც სად უშვებენ ისინი შეცდომებს?**

- მაგალითად, პირადად მე მიმაჩნია, რომ ასოციაციამ არ უნდა დახარჯოს დიდი ფული მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელების მოსაწვევად, მაგალითად ისეთის, როგორიცაა ბრედ გილბერტი. ეს განცხადება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უმადური და უკმაყოფილო ვარ იმ სამუშაოს მიმართ, რაც ამერიკელმა ჩემთან ყოფნის დროს გასწია. მაგრამ ჩემი აზრით, დღეს ბრიტანულ ჩოგბურთს კარგი, გამოცდილი მწვრთნელები და ფიზიოთერაპევტები სჭირდება, რომლებსაც კარგად ესმით ეროვნული სპორტის გასაჭირი.

**- გილბერტთან რა პრობლემები შეგექმნათ? რატომ შეწყვიტეთ მასთან თანამშრომლობა?**

- ყოველ დილასა და საღამოს ერთად ვატარებდით, ერთად ვახშმობდით... წარმოიდგინეთ, რომ ზედიზედ რვა საათს ერთი და იმავე ადამიანთან ატარებ, შემდეგ მიდიხარ სახლში და მასთან ერთად ვახშმობ. და ასე, ყოველდღე. "ზაზუნას დღეს" ჰგავდა. ამისგან უბრალოდ დავიღალე.

**- ხშირად გაკრიტიკებენ ფეთქებადი ხასიათის გამო...**

- დედაჩემი იუნიორთა დონეზე თამაშობდა და ერთხელ, რომელიღაც ტურნირი წააგო. ბებია ისე გაბრაზდა, რომ სტადიონიდან წავიდა და შვილი იქ დატოვა, არც კი დაინტერესდა მისი ბედით. ასე რომ, ფიცხი ხასიათი - ჩვენი ოჯახური თვისებაა, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობ თავი ხელში ავიყვანო.

**- გარდ ამისა, რთულ მოზარდსაც გიწოდებენ...**

- ჯიუტი სულაც არ ვარ. უკვე თვლა აღარ მაქვს იმ ადამიანების, რომლებმაც ცუდი ხასიათის მქონე ცუდად აღზრდილი მოზარდი მიწოდეს. მაგრამ ეს ასე არ არის.

**- მართალია, რომ საერთოდ არ ეტანებით ალკოჰოლს?**

- ბარსელონაში ორი ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, სპირტიანი სასმელებისკენ საერთოდ არ გამიხედავს. იმ ექსპერიმენტმა არ გაამართლა. საკუთარი მეგობრების თვალში სრულ იდიოტად გამოვჩნდი. მხოლოდ იმის გამო დავლიე რომ გამეგო - რას ნიშნავს იყო მთვრალი. ალკოჰოლის გემო მეზიზღება. შამპანურიც კი არ მომწონს. ლუდს საშინელ სასმელად მივიჩნევ, ვისკი კი, საერთოდ არ გამისინჯავს.

**- რას იტყვით ფეხბურთის შესახებ თქვენს ცნობილ გამონათქვამებზე?**

- მე შოტლანდიელი ვარ. მაგრამ ამავდროულად, ბრიტანელიც. ინგლისის წინააღმდეგ არასოდეს გამოვსულვარ. ის, რაც მოხდა, უბრალოდ ხუმრობა იყო, რომელიც არასწორად აღიქვეს. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მიდიოდა და ინგლისს პარაგვაის ნაკრებთან უნდა ეთამაშა. ჟურნალისტი ჩემგან და ტიმ ჰენმანისგან ინტერვიუს აღებას აპირებდა. ჯერ კიდევ საუბრის დაწყებამდე, ტიმს ინგლისის ნაკრების შანსებზე ჰკითხეს, მე კი, ასეთი შეკითხვა დამისვეს - ვის ვუქომაგებდი იმ მატჩში.

ჟურნალისტმა იმაზე მიანიშნა, რომ იმ ჩემპიონატში შოტლანდია არ თამაშობდა. მინიშნება გავიგე და ყველამ გავიცინეთ. შემდეგ ინტერვიუს ჩაწერა დაიწყო და ჟურნალისტმა მკითხა: "ვის გულშემატკივრობთ?" საუბრისწინა ხუმრობა გავიხსენე და სიცილით ვუპასუხე: "ნებისმიერს, ვისთანაც ინგლისი ითამაშებს".

ცხადი იყო, რომ ვხუმრობდი. შემდეგ, ეს ამბავი მკითხველს სხვანაირად მიაწოდეს, რაღაც ისტორიაც კი შეთხზეს, თითქოს მე პარაგვაის ნაკრების მაისურა შევიძინე. სრული სისულელე იყო...

**- როგორც ჩანს, ხუმარა ხართ...**

- დიახ, მიუხედავად ჩემი იმიჯისა, იუმორის გრძნობა ნამდვილად მაქვს.

**- რაზე ოცნებობდით ბავშვობაში?**

- შვიდი წლის ვიყავი და ჩემი კუმირი ანდრე აგასი იყო. ძალიან მინდოდა მისთვის ავტოგრაფის ჩამორთმევა, მაგრამ უიმბლდონზე ანდრესთან მიახლოება ვერ შევძელი. ხოლო როცა პროფესიონალი გავხდი, მაიამიში სახლის ყიდვა მოვისურვე. ერთხელ იმაზეც ვფიქრობდი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ინგლისში, სურეის საგრაფოში შევიძენდი პატარა სახლს.

**- საინტერესოა, რა არ უყვარს ენდი მარეის?**

- ბანანი. რაღაცნაირად საცოდავი ხილია. ჯერ ერთი, საშინელი ფორმა აქვს - უშნოდ მოღუნულია. გარდა ამისა, როცა ჩანთაში გიდევს და ხალხმრავალ ადგილას ვინმე გეჯახება, ყველაფერს სვრის. ამბობენ, რომ ყველაფერზე საკუთარი აზრი გამაჩნია. ვფიქრობ, ეს მართალია, ბანანთან დამოკიდებულებაშიც კი.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა. მსოფლიო რეკორდები

# მეორე დღესაც ორი რეკორდი

შტატ ნებრასკის ქალაქ ომაჰას "ქვესტ სენტერის" საცურაო აუზი აშშ-ის მოცურავეთა ჩემპიონატს მასპინძლობს, რომელიც იმავდროულად, აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების შესარჩევი ტურნირიცაა. მასზე უკვე ორი დღე მიილია და ორივე დღეს, მოცურავეებმა მსოფლიო რეკორდებით (თითო დღეს ორ-ორი რეკორდით) გამოიჩინეს თავი.

ტურნირის მეორე დღეს რეკორდული გამოდგა 100 მეტრზე გულაღმა ცურვის პიტები. ჯერ **ჰეილი მაკგრეგორიმ** დისტანცია 59.15 წამში გაცურა და **ნატალი კაფლინის** მსოფლიო რეკორდი მოხსნა. თუმცა კაფლინი რეკორდის დაკარგვას არ შეეგუა და რამდენიმე წუთში, ახალ ნიშნულს 0.12 წამი მოაკლო (59.03 წამი).

რეკორდების მიუხედავად, არც მაკგრეგორის და არც კაფლინს, ჯერ პეკინის საგზური გარანტირებული არ აქვთ. იმისათვის, რომ ოლიმპიადაზე ასპარეზობის უფლება მოიპოვონ, მათ ფინალი პირველ ორ ადგილზე უნდა დაასრულონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ-ერთ რეკორდსმენს (ან ორივეს, რაც სასწაული იქნება) პეკინის "წყლის კუბში" (პეკინის ოლიმპიურ საწყლოსნო კომპლექსს ასე ჰქვია) ვერ ვიხილავთ. ეს გარემოება ომაჰას ტურნირისადმი ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებს.

სანამ ეს ორი მოცურავე თავის ჯერს ელის, **კეიტი ჰოფმა**, ვისაც ტურნირის პირველი დღის ორიდან ერთი რეკორდი (400 მეტრზე ინდივიდუალურ-შერეულ სტილში) ეკუთვნის, საპეკინო მეორე საგზური მოიპოვა. ამჯერად, ის ყველაზე სწრაფი 400 მეტრზე თავისუფალ სტილში იყო. ჰოფმა დისტანცია ოთხ წუთსა და 2.32 წამში გაცურა, რაც ამ (რეკორდებით მდიდარი) სეზონის მესამე საუკეთესო შედეგია.

*"აქ იმისთვის გამოვდივარ, რომ პეკინში ასპარეზობის უფლება მოვიპოვო. ამიტომ, ჰიტებში დროზე ფიქრს არც ვაპირებდი, მაგრამ ჰეილის რეკორდის უპასუხოდ დატოვება არ შემეძლო. ჰოდა, პირველივე ჰიტში რეკორდი უკანვე დავიბრუნე. არ მეგონა, თუ ასეთი ძნელი ტურნირი იქნებოდა"*, - განაცხადა 25 წლის კაფლინმა, ვინც მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია.



ნატალი კაფლინი მსოფლიო რეკორდის დათმობას არ აპირებს

რაც შეეხება მაკგრეგორის, ის 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენია. ამ სეზონის დასაწყისში კი, 100 მეტრზე გულაღმაში კაფლინის ან უკვე ძველი რეკორდი (59.21 წამი) გაიმეორა.

*"საერთოდ, წინასწარ ძნელი სათქმელია, რომ რეკორდს დაამყარებ. მთავარია, ტურნირისთვის კარგად მოემზადო. წინ ფინალი გვაქვს და არ მგონია, რომ მასზე ვინმემ რეკორდებზე იფიქროს. თუმცა ჩვენ ერთმანეთს ბრძოლის ჟინი შევმატეთ და ამან შეიძლება ფინალშიც იმუშაოს"*, - ამბობს მაკგრეგორი. ნახევარფინალში ვერც კაფლინმა და ვერც მაკგრეგორიმ ველარ შეძლეს რეკორდის გაუმჯობესება, თუმცა ფინალში მათი კიდევ ერთი გაბრწყინებაა მოსალოდნელი.

გუშინ იოლი დღე ჰქონდა **მაიკლ ფელპსს**, ვინც ტურნირის პირველ დღეს, 400 მეტრზე ინდივიდუალურში მსოფლიოს თავისივე რეკორდიც გააუმჯობესა და პეკინის საგზურიც მოიპოვა. ამჯერად, მას არცერთ ფინალში არ უასპარეზია. სამაგიეროდ, 200 მეტრზე თავისუფალში ფინალში გავიდა და ასე აღნიშნა თავისი 23-ე იუბილე. სხვათა შორის, ამ სახეობაშიც, მისი მთავარი კონკურენტი მისივე მეგობარი **რაიან ლოხტეა**, ვისაც 200 მეტრზე თავისუფალის ნახევარფინალურ ეტაპზე საუკეთესო დრო (1:45.61) ჰქონდა.

პეკინში იასპარეზებს 100 მეტრზე ბრასში მსოფლიოს რეკორდსმენი **ბრენდან ჰანსენი**, ვინც დისტანცია 59.93 წამში გაცურა. *"ამჯერად, ჩემს რეკორდს ვერ შევწვდი, თუმცა აქ ამისთვის არც გამოვსულვარ. ჩემი მიზანი პეკინის საგზურის მოპოვება იყო და მიხარია, რომ ეს შევძელი. გარწმუნებთ, ეს იოლი საქმე არ იყო, რადგან ყველანი არნახულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვგრძნობთ"*, - განაცხადა ჰანსენმა.

100 მეტრზე ბატერფლაიში ფინიშის დაფას პირველი **კრისტინ მაგნუსონი** შეეხო, ვინც დისტანცია 58.11 წამში გაცურა. მეორეზე **ელენ ბრიდენი** გავიდა. ორივე მოცურავე ოლიმპიადაზე პირველად იასპარეზებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

### 2 ივლისი. ოთხშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. ეინდჰოვენი-ცსკა.
**16:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:25** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი.
**18:15** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-რეალი.
**20:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:20** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ
**21:20** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლიონი.
**23:10** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ტოტენჰემი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბირმინგემი-ასტონ ვილა.
**08:45** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**09:10** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. პოლონეთი.
**11:44** ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. თურქეთი-ხორვატია.
**14:25** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ატალანტა-მილანი.
**16:05** სპორტდოსიე. გოლფი.
**16:35** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბაიერნი-შალკე.
**18:15** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**18:45** სპორტის სამყარო.
**19:15** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ტოტენჰემი-ბირმინგემი.
**21:00** კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
**21:30** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**22:00** მძლეოსნობა. Lagardere Athletics Tour. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
**00:15** ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ჰოლანდია-რუსეთი.
**02:40** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. პოლონეთი.
**05:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ატალანტა-მილანი.

#### EUROSPORT

**10:30** ფეხბურთი. იუნიორთა ტურნირი. შვეიცარია.
**11:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ფინალი. ესპანეთი-გერმანია.
**13:15** ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
**13:45** სპიდვეი. დანიის გრანპრი.
**14:45** ფეხბურთი. ევრო 2008. ფინალი. ესპანეთი-გერმანია.
**17:00** ცხენოსნობა. კონკური. პორტუგალია.
**19:00** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. პოლონეთი.
**20:00** ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
**20:15** ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
**20:45** სპორტული მეგზური. ტელეჟურნალი.
**21:00** მულტისპორტი.
**21:10** პოლო. ბუენოს აირესი. არგენტინა.
**21:40** ცხენოსნობა. კონკური. პორტუგალია.
**22:40** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**22:45** გოლფი. US PGA-ის ტური.
**23:45** გოლფი. ევროპის ტური.
**00:15** გოლფ-კლუბი.
**00:20** აფროსნობა. Rolex Capri. იტალია.
**00:50** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**00:55** მულტისპორტი.
**01:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ფინალი. ესპანეთი-გერმანია.
**03:15** სპორტული მეგზური. ტელეჟურნალი.

#### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ექსტრემალური სპორტი.
**13:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. არიზონა-გრენდ რეპიდსი.
**17:30** არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. კლივლენდი-ორლანდო.
**18:30** პლაჟის რაგბი. საფრანგეთი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ექსტრემალური სპორტი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. მჩატე წონა. კ. სპინქსი (აშშ)-ვ. ფილიპსი (აშშ). სენტ ლუისი. აშშ.
**23:30** ბრძოლა წესების გარეშე.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** რალი. IRC-ს სერია. ბელგია.
**01:45** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ნორვეგიის თასი** | |
| ბრანი-ვალდრესი | 3:1 |
| რანჰეიმი-ტრომსიო | 0:3 |
| **ირლანდია** | |
| **ლიგის თასი** | |
| დერი-ბოჰემიანსი | 4:1 |
| დროგედა-კორკი | 0:2 |
| გალვეი-ბრეი | 3:0 |
| უნივერსიტი-უექსფორდი | 1:2 |
| **შვედეთი** | |
| გიოტებორგი-ტრელებორგი | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| სირიუსი-ბუნკეფლო | 1:2 |
| ბრომაპიოკარნა-ატვიდაბერგი | 0:1 |
| ჰაკენი-ფალკენბერგი | 0:1 |

მძლეოსნობა. ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი

# ამჯერად ამერიკის სახელით

მსოფლიოს ჩემპიონმა 1 500 და 5 000 მეტრზე სირბილში, კენიური წარმოშობის **ბერნარდ ლაგატმა** გუშინ აშშ-ის ჩემპიონატზე, რომელიც იმავდროულად, ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების შესარჩევი ტურნირიცაა, 5 000 მეტრზე სირბილში გაიმარჯვა და ოლიმპიურ საგზურს დაეუფლა.

ტურნირს, რომელმაც სტარტი კვირას აიღო და რვა დღეს გასტანს, შტატ ორეგონის ქალაქ იუჯინის მძლეოსნური არენა მასპინძლობს. რა თქმა უნდა, მასზე ყველა ძლიერი ამერიკელი მძლეოსანი ასპარეზობს, რომელთა ამბიციაც პეკინის ოლიმპიადაზე აშშ-ის დროშის ქვეშ ასპარეზობა და იქ თავის გამოჩენაა. შეგახსენებთ, რომ ტურნირის პირველ დღეს, ას მეტრზე სპრინტში ფანტასტიკური შედეგი (9.68 წამი) აჩვენა მსოფლიოს ჩემპიონმა ას და ორას მეტრზე სპრინტებში, **ტაისონ გაიმ.** მაგრამ მისი ეს შედეგი რეკორდად არ დაფიქსირდა, რადგან სპრინტერს დასაშვებზე ორჯერ ძლიერი ზურგქარი დაეხმარა.

ლაგატმა აშშ-ის მოქალაქეობა ოთხი წლის წინ მიიღო, რის გამოც, კენიის მძლეოსნობის ფედერაციამ თავისი უფლება გამოიყენა და მას ათენის ოლიმპიადაზე გამოსვლის ნება არ მისცა. კენიის სახელით, ლაგატს ორი ოლიმპიური მედალი აქვს მოპოვებული (ორივე 1 500 მეტრზე), მაგრამ ოქროს ერთხელაც ვერ შესწვდა. ჰოდა, ახლა იმედოვნებს, რომ ამ დანაკლისს პეკინში შეავსებს და ამას ამერიკის სახელით გააკეთებს.



კენიელი ლაგატი პეკინში ამერიკის სახელით იასპარეზებს

*"დღეს მე ოცნების პირველი ნაწილი შევისრულე – ამერიკის ოლიმპიური ნაკრების წევრი გავხდი. მაგრამ უფრო დიდი ოცნება ჯერაც შესასრულებელი მაქვს. ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ პეკინისთვის ფორმის პიკში შევიდე. მსოფლიოს ჩემპიონი კი ვარ, მაგრამ ოლიმპიურ ტიტულს ეს ვერ შეედრება. ჰოდა, პეკინში სწორედ ამ ტიტულის მოპოვებას ვაპირებ"*, - განაცხადა ლაგატმა, ვინც თითქმის ხუთივე კილომეტრი მონოტონურად ირბინა, მაგრამ როგორც სჩვევია, ბოლო წრეზე საგრძნობლად აუჩქარა ფეხს და მეტოქეებს დაწევის შანსიც კი არ მისცა. მისი შედეგია 13 წუთი და 27.47 წამი.

ლაგატი 1 500 მეტრზე გამოსვლასაც აპირებს. საერთოდ, ეს მისი ფავორიტი დისტანციაა, მაგრამ შესაძლოა, პეკინში ამ ორიდან მხოლოდ ერთზე იასპარეზოს. შესაბამის გადაწყვეტილებას ის იუჯინის ტურნირის შემდეგ მიიღებს. ოღონდ, მანამდე ოლიმპიური საგზური 5 000 მეტრზეც უნდა მოიპოვოს.

ათჭიდში გამარჯვება და ოლიმპიური საგზური **ბრაიან კლეიმ** მოიპოვა, ვინც სპორტიდან ლეგენდარული ჩეხის, **რომან შებრლეს** წასვლის შემდეგ, პეკინში მთავარი ფავორიტი იქნება. კლეიმ ამ სახეობაში ასპარეზობით, 8 832 ქულა'ს მოუყარა თავი, რაც მისი პირადი რეკორდია და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბოლო ოთხ სეზონში მსოფლიოს საუკეთესო შედეგიც.

*"რა თქმა უნდა, ამ შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ გარწმუნებთ, ეს ჩემი მაქსიმუმი სულაც არ არის. ბევრ სახეობაში შემიძლია უკეთესი შედეგის ჩვენება. აქ კი ყველას დავანახე, რომ ოლიმპიადისთვის ახლავე მზად ვარ და ფსიქოლოგიურ ომში ჩემი დამარცხება შეუძლებელია"*, - განაცხადა კლეიმ, ვისაც ათენში ოლიმპიური ვერცხლი აქვს მოპოვებული, ერთი წლის შემდეგ, ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს დაეუფლა, ამ სეზონში კი მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატიც მოიგო (ვალენსიაში).

კლეისთან ერთად, პეკინში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს **ტრეი ჰარდიმ** და მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **ტომ პაპასმა.**

საინტერესო გამოდგა მამაკაცთა შორის 800 მეტრის ფინალი, რომელიც **ნიკ სიმონდსის** გამარჯვებით (1:44.10) დასრულდა. მას თითქმის წამით ჩამორჩა ადგილობრივი კოლეჯის სტუდენტი **ენდრიუ უიტინგი.** სხვათა შორის, ორივე მორბენალი ოლიმპიადაზე პირველად იასპარეზებს.

არანაკლებ საინტერესო იყო 400 მეტრზე მორბენალ მამაკაცთა ნახევარფინალი, რომელშიც მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა **ჯერემი უორინერმა** თავის მთავარ მეტოქეს, **ლაშოუნ მერიტს** წამის ერთი მეათედით აჯობა.

დღეს და ხვალ ტურნირზე შესვენებაა, რის შემდეგაც მძლეოსნები ზედიზედ ოთხი დღე იასპარეზებენ.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი

## ალონსომ რენო გაანაწყენა



ალონსო ევრო 2008-ის ფინალზე

თუ გერმანულ გაზეთ FAZ-ში გამოქვეყნებულ ინფორმაციას დავუჯერებთ, "რენოს" ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, **ფერნანდო ალონსოს** საქციელით, რომელიც ბოლო დროს, თავის ყველა შეცდომას ბოლიდის არაკონკურენტუნარიანობას აბრალებს.

გაზეთმა ცნობა ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა. ეს უცნობი პიროვნება თურმე "რენოს" თანამშრომელი ყოფილა და მან ასეთი რამ განაცხადა: *"ფერნანდო მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. კანადაში თავს იმის უფლებაც კი მისცა, რომ საბოლოო ბრიფინგ ზე არ გამოცხადდა"*.

რა თქმა უნდა, ასეთი ტიპის განცხადებებს ყოველთვის სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგან გერმანული გაზეთი თავისი ინფორმატორის სახელს არ ამხელს. შესაბამისად, რთულია იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება ინფორმაცია სიმართლეს.

მაგრამ, მეორეს მხრივ, თუ კანადის ეტაპს გავიხსენებთ, მტკიცებულებების გარეშეც შეიძლება გაზეთს დავუჯეროთ. მაშინ, ფერნანდოს მაღალი ადგილის დაკავების კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ პილოტაჟისას შეცდომა დაუშვა, მოგვიანებით კი, იმის ნაცვლად, რომ ტრასაზე შეცდომისთვის ბოდიში მოეხადა, თავისი საჯინიბო დაადანაშაულა არასწორად შერჩეული ტაქტიკისთვის.

დაახლოებით იგივე განმეორდა საფრანგეთის ეტაპზე. ესპანელმა მესამე პოზიციიდან აიღო სტარტი, მაგრამ რბოლა მერვე ადგილზე დაასრულა და ჩამორჩა თავის ნაკლებად გამოცდილ თანაგუნდელ **ნელსინიო პიკეს**, რომელმაც 11-ე ადგილიდან მეშვიდეზე შეძლო გადასვლა. ფერნანდომ ამჯერადაც "რენო" გააკრიტიკა - ესპანელის განცხადებით, შეუძლებელია კარგი შედეგის ჩვენება მანქანით, რომელსაც დანარჩენი პილოტები ისე იოლად უვლიან გვერდს, თითქოს "რენო" ტრასის პირას იყოს გაჩერებული.

მიუხედავად ასეთი ურთიერთობებისა, "რენოს" აღმასრულებელი დირექტორი **პეტ სიმონდსი** თანახმაა, რომ ალონსომ 2009 წლის სეზონიც ფრანგულ საჯინიბოში გაატაროს.

*"არჩევანი ფერნანდოზეა. თუ ის ამ კრიზისიდან ჩვენს გამოყვანას შეძლებს, ნამდვილი გმირი გახდება"*, - ამბობს სიმონდსი.

გია თვალაბეიშვილი

ავტოსპორტი

## ფანხიოს მერსედესით



ორშაბათს, "მაკლარენის" პილოტებმა **ლუის ჰემილტონმა** და **ჰეიკი კოვალაინენმა** შთამბეჭდავ ავტოშოუში მიიღეს მონაწილეობა. ლონდონის ახლოს, ბრუქსლენდის ისტორიულ ტრასაზე, რომელსაც შარშან 100 წელი შეუსრულდა, კონცერნმა "მერსედესმა" და ადგილობრივმა მუზეუმმა ძველი ავტომობილების ფესტივალი მოაწყვეს, რომლის სახელწოდება იყო - Double Twelve.

"მაკლარენის" პილოტები 50-იანი წლების ფორმულა 1-ის ერთ-ერთი საუკეთესო მანქანის, Mercedes-Benz W196-ის საჭეს მიუსხდნენ. თავის დროზე, ფორმულას ლეგენდებმა **ხუან მანუელ ფანხიომ** და **სტირლინგ მოსმა** ამ მანქანებით მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპებზე, ჯამში ცხრა გამარჯვებას მიაღწიეს. სხვათა შორის, შოუს სტირლინგ მოსიც ესწრებოდა, რომელმაც პატარა ინსტრუქტაჟი ჩაუტარა ახალგაზრდა კოლეგებს.

გია თვალაბეიშვილი

ჩოგბურთი. პეკინი 2008

## ჩემპიონი პეკინში მიდის

ერთეულთა თანრიგში ათენის ოლიმპიურ ჩემპიონს, ჩილელ **ნიკოლას მასუს** პეკინის თამაშებში მონაწილეობის უფლება მისცეს. მასუ იმ 12 ჩოგბურთელს შორის მოხვდა, რომლებსაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) ე. წ. "უაილ-ქარდი" გამოუყო.

2004 წელს, მასუ ათენის თამაშების ტრიუმფატორი გახდა, როცა ერთეულთა თანრიგშიც იმარჯვა და წყვილებშიც (თანამემამულე **ფერნანდო გონსალესთან** ერთად). ერთი პერიოდი, ჩილელი მსოფლიო რეიტინგში მეორე ადგილზეც იმყოფებოდა, მაგრამ ახლა, საუკეთესო ასეულშიც ვერ შედის და პეკინში პირდაპირ მოხვედრის საშუალება არ ჰქონდა. ამიტომაც, ძველი დამსახურებების გამო, ITF-მა მას ტიტულის დაცვის უფლება მისცა.

*"ბედნიერი ვარ, რომ კვლავ მომეცა ჩემი ქვეყნის ღირსების დაცვის საშუალება. ჩილეს სახელით გამოსვლა ჩემთვის ყოველთვის პრიორიტეტული იყო, განსაკუთრებით იმ ბრწყინვალე შთაბეჭდილებების შემდეგ, რაც ოთხი წლის წინ, ათენში მივიღე"*, - განაცხადა მასუმ.

მამაკაცებს შორის დარჩენილი 5 უაილდ-ქარდის მფლობელები შემდეგი ჩოგბურთელები გახდნენ: **კევინ ანდერსონი** (სამხრეთ აფრიკა), **იონას ბიორკმანი** (შვედეთი), **კეი ნიშიკორი** (იაპონია), **მაქსიმ მირნი** (ბელარუსი) და **პენგ სუნი** (ჩინეთი). ქალებს შორის, ITF-მა შემდეგი მოთამაშეები გამოარჩია: **მარია კორიტცევა** (უკრაინა), **იუნ-იან ჩანი** (ტაივანი), **აიუმი მორიტა** (იაპონია), **ნურია ლაგოსტერა-ვივესი** (ესპანეთი), **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) და **სელიმა სფარი** (ტუნისი).

გია თვალაბეიშვილი



ოთხი წლის წინათ, მასუ კარგ ფორმაში იყო

კალათბურთი. ახალი ამბები

## ვაშინგტონმა ლიდერი შეინარჩუნა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თავისუფალი აგენტების ბაზარი იწყება. სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე ოთხი საათით ადრე, მნიშვნელოვანი კონტრაქტი გააფორმა "ვაშინგტონ უიზარდსმა". კერძოდ, დედაქალაქურმა კლუბმა შეინარჩუნა თავისი ერთ-ერთი ლიდერი, **ანტუან ჯეიმისონი**. ახალი ხელშეკრულების დეტალები პრესისთვის უცნობი გახდა.

გასულ სეზონში, ფორვარდი "ვაშინგტონის" საუკეთესო ბომბარდირი იყო. ის საშუალოდ მატჩში 21.7 ქულას აგროვებდა და გარდა ამისა, ფარქვეშაც შედეგიანად თამაშობდა - 10.2 მოხსნა (საუკეთესო მაჩვენებელი კარიერაში).

გია თვალაბეიშვილი

## ნოვიცკი კამანს ელის

"ლოს ანჯელეს კლიპერსის" ცენტრს, 26 წლის **კრის კამანს** ჯერაც არ გადაუწურავს გერმანიის პასპორტის მიღებისა და შესაბამისად, ქვეყნის ნაკრებში თამაშის იმედი. კალათბურთელს დიდი სურვილი აქვს, **დირკ ნოვიცკისა** და კომპანიას პეკინის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირზე დაეხმაროს.

გერმანიის მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კრისს ქვეყნის მოქალაქეობა საკვალიფიკაციო ტურნირამდე მიანიჭოს. ათენში შესარჩევი მატჩები 14 ივლისს იწყება. პირველ ეტაპზე გერმანიას ახალ ზელანდიასთან და კაბო ვერდესთან მოუწევს თამაში.

გასულ სეზონში, კამანმა რეგულარულ ჩემპიონატში 56 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 15.7 ქულა, 12.7 მოხსნა და 2.8 დაფარება დააგროვა.

გია თვალაბეიშვილი



## მოფარიკავე როჯერი



ოლიმპიურ პროგრამაში ჩოგბურთის დაბრუნების 20-წლისთავთან დაკავშირებით, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ფოტოალბომი გამოუშვა სახელწოდებით - "მოგზაურობა პეკინში: ჩოგბურთი ოლიმპიურ თამაშებს სახელს გაუთქვამს". ამ ბროშურაში შესულია მსოფლიოს 40 საუკეთესო ჩოგბურთელის ფოტო. ისინი სპორტის სხვა სახეობის ფორმებში არიან გადაცმულნი. სურათები დედამიწის სხვადასხვა წერტილებშია გადაღებული. ამით, ალბომის ავტორებმა ხაზი გაუსვეს ჩოგბურთისა და მთლიანად სპორტის ინტერნაციონალურობას.

პირველად, ამ პროექტში მონაწილეობის სურვილი ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** გამოთქვა, რომელმაც ოცნება აისრულა და ფეხბურთელის როლში მოგვევლინა. შემდეგ, რაფას მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. სხვათა შორის, მამაკაცთა უმრავლესობას სურდა, სწორედ ფეხბურთელი განესახიერებინა. საბოლოოდ, ჩილელი **ნიკოლას მასუ** და **ფერნანდო გონსალესი** მარათონელები გახდნენ, ATP-ის რეიტინგის პირველმა ნომერმა, **როჯერ ფედერერმა** კი, მოფარიკავის კოსტუმი მოირგო.

რაც შეეხებათ ქალებს, **ანა ივანოვიჩი** პლაჟის ფრენბურთელი გახდა, **სერენა უილიამსი** მოციგურავე, ხოლო **მარია შარაპოვა** - ტანმოვარჯიშე.

გია თვალაბეიშვილი

ფოტო-ინფო



ბოლო დროს, სულ უფრო ხშირად პაპარაცების მსხვერპლნი "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები ხდებიან. გუშინ, ფორვარდ **უეინ რუნის** ფოტო შემოგთავაზეთ, სადაც ის სიგარეტით ხელში აუზში იყო ჩასული. უფრო უწყინარი საქმით არის დაკავებული მისი პორტუგალიელი თანაგუნდელი **კრისტიანო რონალდო**, რომელიც ან ახლა სწავლობს ცურვას, ან ბავშვობის გახსენება გადაწყვიტა.